პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მოავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი.
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—30 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 5 აპრილი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 79 (2122)

დღიური

- სპარსეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ განიარაღების კონფერენციაზე.
- ეგვიპტის პრემიერი ინგლისთან ურთიერთობის შესახებ.
- რევოლიუციონურ მემაღაროების კონფერენცია ამერიკაში.
- თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რომში.
- მუშათა მასიური დემონსტრაციები ჩეხო-სლოვაკიაში.
- იტალიის ინტრიგები სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ.
- ინგლისის სამხედრო მინისტრი შეუძლებლად სთვლის განიარაღებას.
- ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციების საკავშირო ყრილობა.

უშედეგოდ დამთავრდა

პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია, რომელიც კენიგსბერგში მიმდინარეობდა ხანმოკლე გამოდგა; მან სულ ოთხი დღე გასტანა. იგი სრულიად უშედეგოთ შესწყდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სხვადასხვა კომისიების არჩევას მხარეთა შორის არსებულ ზოგიერთ სადაო საკითხების შესასწავლად და მათ გამო დასკვნების წარმოსადგენად მომავალი კონფერენციისათვის, რომლის მოწვევის ვადა არ არის განსაზღვრული.

პოლონეთ-ლიტვის უთანხმოების მთავარი საგანი, როგორც ვიცით, არის ვილნოს ოლქი რომელიც პოლონეთის მიერ დაპყრობილ იქნა 1920 წ. ლიტვას ვილნო თავის უდავო ტერიტორიად მიაჩნია და ვერ ურიგდება მის დაკარგვას. ამ ნიადაგზე პოლონეთ-ლიტვას შორის ბოლო დრომდე ფორმალურად „ომის მდგომარეობა" იყო და ყოველგვარი ფაქტიური ურთიერთობა ეხლაც შეწყვეტილია.

პილსუდსკის ამოცანა მდგომარეობს პირველ ყოვლისა იმაში, რათა თვით ლიტვას ოფიციალურად ალიარებინოს ვილნო პოლონეთის საკუთრებად, საბოლოო ანგარიშით კი იმაში, რომ ლიტვა ამა თუ იმ სახით სავსებით შეუერთოს პოლონეთს.

კენიგსბერგის კონფერენციაზე პოლონეთი შეეცადა კონტრაბანდით გაეტარებია ის თვალსაზრისი, რომ ვილნო მის კანონიერ ტერიტორიას შეადგენს. ვამბობთ: კონტრაბანდით, ვინაიდან ხმამაღლა ამის მოთხოვნა აუცილებლად გამოიწვევდა კონფერენციის ჩაშლას და საჯაროდ ცხადჰყოფდა, რომ პოლონეთის მესვეურთ არ სურთ არავითარი შეთანხმება ლიტვასთან. ამასთან მათ ყოველი ზომა იხმარეს რომ ტერიტორიალური საკითხი არ დასმულიყო კონფერენციის დღის წესრიგში, რათა ლიტვას საშუალება არ ჰქონოდა წამოეყენებია თავისი პრეტენზია ვილნოზე. ხსენებული ცდა კი იმაში გამოიხატა, რომ პოლონეთის დელეგაციამ თავის პროექტში, რომელიც ეხება მხარეთა ეკონომიურ ურთიერთობის მოწესრიგებას, საზღვრის ცნება შესცვალა ტერმინით: „საბაჟო ხაზი". მაგრამ „საბაჟო ხაზი" ჩვეულებრივი გაგებით იგივე სახელმწიფო საზღვარია. და პოლონეთს „საბაჟო ხაზი"-ს ცნების სახით ვილნო უნდოდა შეეტანა თავის სახელმწიფო საზღვარში და მასზედაც გავრცელებულიყო საფოსტო დამოკიდებულების, სააღებ-მიცემო და სხვა შეთანხმება, თუ ასეთი დაიდებოდა. თუ კონფერენცია ამ თვალსაზრისს გაიზიარებდა, ამით ვილნო არსებითად ცნობილი იქნებოდა პოლონეთის ტერიტორიად. მაგრამ ლიტვამ ამის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა; მისი შეხედულებით რაიმე ეკონომიური და ტექნიკური ხასიათის შეთანხმება არ უნდა ეხებოდეს ვილნოს ოლქს.

კონფერენციაზე წამოიჭრა საკითხი ლიტველ ემიგრანტების მუშაობის შესახებ პოლონეთში. ცნობილია, რომ ემიგრანტების ნაწილი პლეჩკაიტისის მეთაურობით მიზნად ისახავს ლიტვაში გადატრიალების მოხდენას პილსუდსკის დახმარებით და პოლონეთის ორიენტაციას ემხრობა, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეჩკაიტისის ჯგუფი პოლონეთის მიერ ლიტვის დაპყრობის საქმეს ემსახურება. პილსუდსკის მთავრობა ამ ემიგრანტებს იყენებს იარაღად თავისი მტაცებლური მიზნებისათვის, აიარაღებს მათ და ამზადებს ლიტვაზე გასალაშქრებლად. მთელი ეს მუშაობა კერძოდ ხდება ეგრედ წოდებულ ნეიტრალურ ზონაზე. და როცა კონფერენციაზე პოლონეთის დელეგაცია წინადადებას აყენებს ამ ზონის გაუქმების და იქ მოქალაქეთათვის მოგზაურობის თავისუფლების მინიჭებას, მათი მეორე სახელმწიფოში გადასვლის დაშვების შესახებ,—ეს სხვა არაფერია, თუ არა იმის ცდა, რომ პოლონეთს მეტი შესაძლებლობა მიეცეს ლიტვის წინააღმდეგ მომქმედი ემიგრანტულ ბანდების ორგანიზაციისათვის. ლიტვა კი კატეგორიულად მოითხოვს ლიტველ ემიგრანტების მოქმედების აღკვეთას პოლონეთის ტერიტორიაზე და პოლონეთის ხელისუფალთა მხრით ხელის აღებას მათ ორგანიზაცია-გამოყენებაზე ლიტვის წინააღმდეგ. სრულებით არ არის დამაჯერებელი პოლონეთის დელეგაციის არგუმენტი, რომ თითქო ლიტველი ემიგრანტები მხოლოდ თავშესაფრების უფლებით სარგებლობდენ პოლონეთში და ლიტვის დამოუკიდებულების მოსპობის იარაღს არ წარმოადგენდენ პილსუდსკის მთავრობის ხელში. უტყუარი ფაქტები, სულ წინააღმდეგ მეტყველებენ.

კონფერენცია, როგორც ვსთქვით, უშედეგოდ გადაიდო. სხვანაირად არ შეიძლებოდა მომხდარიყო. სანამ გადაუჭრელი რჩება ვილნოს საკითხი მანამდე ამ ქვეყნების რომელიმე მკვიდრი შეთანხმება წარმოუდგენელია. პოლონეთის პრესა, წინასწარ ითვალისწინებდა რა კონფერენციის ასეთ დასასრულს, ნიადაგს ამზადებდა ამისათვის. მაგ., „გლოს პრავდი" წერდა, რომ ლიტვის ეხლანდელ საერთაშორისო ურთიერთობის დროს შეუძლებელია მშვიდობიანობაზე ლაპარაკი აღმოსავლეთ ევროპაში"-ო. გაზეთს აშკარაა, მხედველობაში აქვს ლიტვა-საბჭოთა კავშირის საგარანტიო ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება სწორედ მშვიდობიანობის განმტკიცებას ისახავს მიზნად, მაგრამ სწორედ ეს არ მოსწონს პოლონეთის მმართველთ ვინაიდან აღნიშნული საგარანტიო ხელშეკრულება ხელს უშლის მთლიანი ანტი-საბჭოთა ფრონტის შექმნას აღმოსავლეთ ევროპაში, ლიტვის გადაყლაპვას პოლონეთის მიერ და აგრეთვე უკანასკნელის ჰეგემონიის დამკვიდრებას ბალტიის მხარის სახელმწიფოებზე. საყურადღებოა პოლონეთის რადიოს ცნობაც, რომ კონფერენცია მარცხით დამთავრდება, ვინაიდან „მოსკოვი აქეზებს ლიტვას შეურიგებლობა გამოიჩინოსო." ასეთი წინასწარი კამპანია პოლონეთის ხელმძღვანელებისათვის საჭირო იყო, რომ გაემართლებიათ კონფერენციის უშედეგობა და ამისათვის ბრალი ლიტვასთან ერთად საბჭოთა კავშირისათვის დაედოთ.

ამაო ცდაა. ვინ არ იცის, რომ საბჭოთა კავშირი ყველაზე უფრო მოწადინებულია მშვიდობიანობის, კერძოთ პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტის ლიკვიდაციას, რადგან ეს კონფლიქტი მუდამ არსებობს ომის მუქარით. სწორედ საბჭოთა მთავრობის ენერგიული გამოსვლის წყალობით იქნა აცილებული ე. წ. უკანასკნელ თვეებში ომი, რასაც პოლონეთი აშკარად ამზადებდა ლიტვის წინააღმდეგ. ჩვენი მთავრობა შემდეგშიაც განაგრძობს მუშაობას მშვიდობიანობის განსამტკიცებლად. ეს პოლონეთის იმპერიალისტებს არ მოსწონთ, მაგრამ ამით ისინი მხოლოდ თავის ყაჩაღურ ბუნებას აშკარავებენ.

საბჭოთა ნავთი ეგვიპტის და სამხრეთ-აფრიკის ბაზრებზე

როკფელერი, მიუხედავათ დეტერდინგის პროტესტისა, აძლევს საბჭოთა ნავთის დაკვეთას

შეერთებულ შტატებში მოელიან 100.000 მემაღაროეს გაფიცვას

ინგლის-ამერიკის ნავთის ტრესტების ბრძოლა

ახალი დაკვეთა საბჭოთა ნავთზე

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების პრესა იუწყება, რომ „ვაკუუმ სტანდარტოილ კომპანი"-მ დასდო ახალი ხელშეკრულებები საბჭოთა ნავთის სინდიკატთან. პრესა ხაზს უსვამს, რომ როკფელერი აძლიერებს საბჭოთა ნავთის შესყიდვას მიუხედავად დეტერდინგის პროტესტებისა. ხმებია, რომ შესყიდული ნავთი დანიშნულია ეგვიპტის და სამხრეთ-აფრიკის ბაზრებისათვის.

„ნიუ-იორკ ამერიკენ"-ი კომენტარიებს უკეთებს დეტერდინგის კამპანიას საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ და მის კამპანიას ფასების დაკლებისათვის ინდოეთში, რაც მიმართულია ამერიკელების წინააღმდეგ. გაზეთი მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ ხელი შეუწყოს ამერიკის ნავთის კომპანიების საქმიანობას საზღვარგარეთ, ვინაიდან ინგლისის მთავრობა ხელს უწყობს „როიალ დეტჩ შელ კომპანი"-ს და ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიას.

ეხმარებიან დეტერდინგს

ლონდონი, 3 აპრილი. ინგლის-ინდოეთის მთავრობამ დაავალა სატარიფო ბიუროს გამოიკვლიოს საკითხი „ინდოეთის დაცვის შესახებ ფასების მსოფლიო ომში". ეს არის პირველი ნაბიჯი ახალი ბაჟების დასაწესებლად საიმპორტო ნავთზე, რასაც მოითხოვდა დეტერდინგი, ვინაიდან მას საშუალება არ ჰქონდა გაეწია კონკურენცია უფრო იაფ საბჭოთა ნავთისათვის, რომელიც ინდოეთში შეაქვს ამერიკის კომპანია „ვაკუუმ ოილის". (ადს).

ხერსტის კამპანია დეტერდინგის წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ხერსტის ტრესტის გაზეთები განაგრძობენ კამპანიას ინგლისის ნავთის მრეწველობის წინააღმდეგ.

„ნიუ-იორკ ამერიკენ"-ი იუწყება, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც კარგად ხედავს საბჭოთა ნავთის წინააღმდეგ დეტერდინგის გამოსვლების არაგულწრფელობას, მხარს უჭერს ტრესტ „სტანდარტ ოილ"-ის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა ნავთის ყიდვაში გამოიხატება. (ადს).

ასი ათასი ამერიკელი მემაღაროე გაფიცვისათვის ემზადება

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ამერიკის მემაღაროეთა კავშირის მემარცხენე ფრთის კომიტეტის მიერ პიტსბურგში მოწვეულმა კონფერენციამ დაადგინა, დაუყონებლივ გამოაცხადოს მემაღაროეთა გაფიცვა ინდიანის, კანზასის, მისსურისა, ოკლაჰომის და არკანზასის შტატებში, რომლებშიაც 1 აპრილს გაუთავდა ვადა სატარიფო შეთანხმებებს.

კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია, სხვათა შორის, მოითხოვს საერთო ეროვნული შეთანხმების დადებას და აგრეთვე პროტესტს აცხადებს ზანგების მცირე ხელფასის წინააღმდეგ. კონფლიქტში მონაწილეობას მიიღებს 100.000 მემაღაროე. მაღაროების მეპატრონენი მოითხოვენ სამუშაო ხელფასის შემცირებას ერთნახევარი დოლარით კვირაში. (ადს).

მემაღაროენი გამცემელთა წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ამერიკის მემაღაროეთა კავშირის მემარცხენე ფრთის კომიტეტის მიერ პიტსბურგში მოწვეული კონფერენცია დამთავრდა. კონფერენციაზე გამართულ კამათის დროს დელეგატები მკაცრად ილაშქრებდნენ კავშირის რეაქციონურ თავმჯდომარე ლიუისის წინააღმდეგ და ხაზს უსვამდნენ, რომ მისმა პოლიტიკამ გამოიწვია კავშირის მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციების დაშლა. (ადს).

საბჭ. კავშირისათვის კრედიტების მიცემის საკითხი საფრანგეთში

სტეფან ლოზანი უკმაყოფილოა

პარიზი, 3 აპრილი. „მატენი" აქვეყნებს ამონაწერებს სტეფან ლოზანის ახალი წიგნიდან, რომელშიაც იგი ეკამათება დემონზის და აღშფოთებას გამოსთქვამს, იმის გამო, რომ საფრანგეთის დელეგაცია დასთანხმდა საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების დროს განიხილოს საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემის საკითხი.

„დეე ვისაც სურს, იმან მოაწეროს ხელი საბჭოთა სესხზე, — სწერს გაზეთი, — მაგრამ ფრანგი გადამხდელები არ გასწევენ ხარჯებს ასეთი ოპერაციებისათვის და არ დასთანხმდებიან იმაზე, რომ 3 მილიარდი ფრანკი კრედიტი იქნას გადადებული რუსეთთან ვაჭრობისათვის". (ადს).

საბჭოთა ნავთი ინგლისში

ლონდონი, 3 აპრილი. ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტის მუნიციპალურმა საბჭომ გააუქმა თავისი პირველი რეზოლუცია, რომელიც კრძალავდა საბჭოთა ნავთის შესყიდვას. (ადს).

ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობა

ნახას-ფაშა ინგლისის მემორანდუმის შესახებ.

ლონდონი, 3 აპრილი. ეგვიპტის პრემიერმა მუსტაფა ნახას-ფაშამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ეგვიპტის მთავრობის საპასუხო ნოტა ინგლისის მემორანდუმზე შედგენილია თავდაჭერილი ტონით. ეგვიპტის მთავრობა ფიქრობს, რომ ინგლისის მემორანდუმი წარმოადგენს ეგვიპტის შინაურ საქმეებში ჩარევის აქტს და მისი დასაბუთება არ შეიძლება არც დე-იურეთ და არც დე-ფაქტოთ.

მემორანდუმი, პრემიერის სიტყვით, შეუძლებლად ხდის ეგვიპტის მთავრობისა და პარლამენტის ამოცანების განხორციელებას.

ინგლისის დასახელებული მემორანდუმი წარდგენილ იქნა მას შემდეგ, როცა ეგვიპტის პარლამენტმა უარყო ინგლისთან მოწყობილი ხელშეკრულების დადება. ინგლისის მემორანდუმი აცხადებს, რომ ეგვიპტის პარლამენტის უფლების ჩარევას ეგვიპტის ინგლისის მთავრობა თავის დასაცავად უფლებების დასაცავად (ადს).

მასიური დემონსტრაციები ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 3 აპრილი. მუშებმა უდიდესი საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს სოციალური დაზღვევის რეფორმის წინააღმდეგ. **დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100.000 მეტმა მუშამ.** აყარებული პოლიციელები და ჟანდარმერია ქალაქის ცენტრებში მზად იყო მუშებზე თავდასხმისათვის, მაგრამ მუშების მტკიცე დისციპლინის გამო მნიშვნელოვანი შეტაკებებს არ ჰქონია ადგილი. **დემონსტრანტები** მხურვალედ ესალმებოდნენ კომუნისტური პარტიის ლოზუნგს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების შესახებ. ბრნოში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 20.000 მუშამ. მასიური დემონსტრაციები გაიმართა მთელ რეიხენბერგის ოლქში. პილზენში ყველა მიმართულებათა პროფორგანიზაციების მიტინგს დაესწრო 25.000 კაცი. მრავალრიცხოვანი მიტინგები გაიმართა მთელ რიგ ქალაქებში. ბარატისლავში და ოსტრავში სოციალ-დემოკრატებმა საბოტაჟი გამოუცხადეს დემონსტრაციას. (ადს).

ფერმერთა და მუშათა მთლიანი ფრონტი

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ფერმერთა მუშათა კონფერენციაზე, რომელიც სენპოლეში (მინეზოტას შტატი) შესდგა, მონაწილეობა მიიღეს ფერმერთა და მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა და აგრეთვე ჩრდილოეთ-დასავლეთ შტატების ფერმერთა და მუშათა პროგრესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. კონფერენციამ დაადგინა 4 ივლისს ჩიკაგოში მოწვეულ იქნას ყრილობა ფერმერთა და მუშათა საერთო-ნაციონალური პარტიის დასაარსებლად. ყრილობის მეორე ამოცანა იქნება კანდიდატების წამოყენება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის. კონფერენციამ უთანხმოების გამო ვერ აირჩია კანდიდატი (ადს).

რუშტი-ბეი რომში

რუშდი ბეი მუსოლინითან

რომი, 3 აპრილი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტევფიკ რუშდი ბეიმ, რომელიც იტალიაში იმყოფება, ინახულა მუსოლინი. საუბარი შეეხო პოლიტიკურ საკითხებს და ახალ ურთიერთობას იტალიისა და თურქეთს შორის (ადს).

იტალია-პოლონეთ-თურქეთის დაახლოება?

რომი, 3 აპრილი. პოლიტიკურ წრეებში რუშდი-ბეის იტალიაში ჩამოსვლას უკავშირებენ იტალია-პოლონეთ-თურქეთის დაახლოების მომზადებას, ვინაიდან ამჟამად რომში იმყოფება ზალესკი და პოლონეთის ელჩად რომში არის კნოლი, ყოფილი ელჩი ანგორაში.

„ლავორო დ,იტალიას" აზრით, ლოზანის ხელშეკრულების შემდეგ იტალია-თურქეთის ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ეხლანდელზე უკეთესი. „ჯორნალე დ,იტალია" აღნიშნავს რუშდი-ბეის მოხერხებულ პოლიტიკას ინგლის-საბჭოთა კავშირის პოლემიკის დროს განიარაღების მოსამზადებელ კომისიის სესიაზე..

რუშდი-ბეის—სწერს გაზეთი—საუბარი ჰქონდა ყველა უმნიშვნელოვანეს დელეგაციების ხელმძღვანელებთან. უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ რუშდი-ბეის საუბარს საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრ მიხალოკოპულოსთან, რომელთან, როგორც სჩანს, მოხერხდა შეთანხმება საბერძნეთის ლტოლვილების საკითხის შესახებ"

„ინგლისს არ შეუძლია განიარაღდეს"

ლონდონი, 3 აპრილი. კონსერვატორთა მიტინგზე ედინბურგში გამოვიდა სამხედრო მინისტრი ევანსი, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისს „არ შეუძლია განაგრძოს თავისი შეიარაღების შემცირება, სანამ შეიარაღების ასეთსავე შემცირებას არ მოახდენენ ევროპის სხვა ქვეყნები"-ო. ჯარების რიცხვის შემცირება ევანსს შეუძლებლად მიაჩნია, ვინაიდან ინგლისს აღარ ეყოლებოდა „საიმპერიო გარნიზონები"-ო. (ადს).

პროფინტერნის მეოთხე კონგრესის შედეგები

ორი კვირის ინტენსიურმა მუშაობამ პროფინტერნის კონგრესს შესაძლებლობა მისცა განეხილა საერთაშორისო პროფმოძრაობის ყველა უმნიშვნელოვანესი საკითხები და გამოემუშავებია მოქმედების განსაკუთრებული პროგრამა მთელ რიგ ქვეყნებისათვის. შესრულებულ იქნა მეტად დიდი მუშაობა; საჭირო გახდა 15 კომისიის და 4 სექციის შექმნა ყველა იმ საკითხების დასამუშავებლად, რომლებიც ამ ჟამად აინტერესებს საერთაშორისო პროფმოძრაობას. ზოგად რეზოლიუციების დრო უკვე გავიდა და სწორედ ამიტომ საჭირო შეიქნა თვითეულ ქვეყნის ამოცანის კონკრეტიულად ჩამოყალიბება, რამაც კონგრესი აიძულა ნახევარზე მეტი დრო მოენდომებია კომისიების და სექციების მუშაობისათვის

კონგრესი უეჭველ, დიდ მოვლენას წარმოადგენს მსოფლიო პროფმოძრაობაში, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ აქ წარმოდგენილი იყო 50 ქვეყანა და ყველა კონტინენტები. სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკას გარდა წარმოდგენილი იყო აგრეთვე ავსტრალია, აზია და აფრიკა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდენ ლათინურ ამერიკის და აღმოსავლეთის ქვეყნების დელეგაციები. კონგრესზე პირველად იღებდენ მონაწილეობას ზანგი მუშები, რომლებიც ეგრედწოდებულ „განათლებულ ქვეყნებში" მონების მდგომარეობაში იმყოფებიან.

რა საკითხი იდგა ამ მრავალეროვნებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარ კონგრესის ყურადღების ცენტრში? რა აღელვებდა მუშების წარმომადგენლებს, რომლებიც შეიკრიბენ დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან? ყველას აინტერესებდა საკითხი, — თუ რა მეთოდებით უნდა იქნეს წარმოებული შემდგომი ბრძოლა ცოფმორეულ კაპიტალისტურ რეაქციის წინააღმდეგ, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა მუშათა კლასის საარსებო პირობების გაუარესების წინააღმდეგ, ბრძოლა კაპიტალისა და მისი რეფორმისტ მოკავშირეების წინააღმდეგ. სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში დახატეს მუშების დევნისა და შევიწროვების გულშემზარავი სურათი. საკითხი მდგომარეობდა არა იმაში, რომ კონგრესს მორალურად დაეგმო გაბატონებულ კლასების ძალადობა, მიეღო ორიოდე პროკლამაცია და დაშლილიყო. არა. ამისთვის არ შეკრებილა ყრილობა, ეს როდი შეადგენდა დედამიწის ყველა კუთხიდან თავმოყრილ 50 ქვეყნის წარმომადგენელთა ამოცანას.

კონგრესის ამოცანა იყო: გამოენახა მუშების ელემენტარულ უფლებებისათვის, მუშათა ორგანიზაციების და კავშირების ლეგალურ არსებობისათვის ბრძოლის გზები და მეთოდები, გამოენახა მასების დაპყრობის ფორმები და მეთოდები, გამოერკვია დამოკიდებულება საერთაშორისო რეფორმიზმისა და მის ნაციონალურ სექციებისადმი, გამოემუშავებია კაპიტალისტურ რაციონალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები და პროგრამა პრაქტიკულ მოქმედებისათვის და ყველა ქვეყნების ფართე მასების გაერთიანებისათვის.

ამ კონგრესის თავისებურობაა — მისი პრაქტიკული, კონკრეტიული ხასიათი. თავის თავად ცხადია, დასახულ იქნა საერთო ხაზი, გამორკვეულ იქნა შედარებითი სტაბილიზაციის ეხლანდელი პერიოდის მიზეზები და თავისებურებანი, მაგრამ ამაში როდია კონგრესის მუშაობის სიმძიმის ცენტრი. ყველა მოხსენებების, კამათის და კომისიების და სექციების მუშაობის ცენტრში უმთავრესად იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ორგანიზაციულად უკეთ მოწყობა და განმტკიცება პოლიტიკური ზეგავლენის, როგორ უნდა იქნეს მოგერიებული ბურჟუაზიულ - რეფორმისტული ბლოკის იერიშები. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია რეზოლიუციები, ცალკე ქვეყნების შესახებ. ზოგიერთებს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ რეზოლიუციებში ძლიერ ბევრია პროფმუშაობის პრაქტიკის „წვრილმანი" საორგანიზაციო საკითხები. მაგრამ სწორედ პრაქტიკულ საკითხებისადმი ყურადღება ახასიათებს ამ კონგრესს. რეზოლიუციით გერმანიაში მუშაობის შესახებ, რეზოლიუციებით საფრანგეთში, ჩეხია - სლოვაკიაში, შეერთებულ შტატებში და ინგლისში მუშაობის შესახებ — ყველგან უმთავრესი ყურადღება მიქცეულია იმაზე, თუ რა უნდა აკეთონ პროფინტერნის მომხრეებმა ამა თუ იმ მომენტში. კონგრესი არავითარ დეტალებს არ სთვლიდა ზედმეტად ან უმნიშვნელოდ. საკითხი მუშაობის ფორმების, ორგანიზაციის და მეთოდების შესახებ, საკითხები მასების და პროფკავშირთა ხელმძღვანელ ორგანოების ურთიერთობის შესახებ, კოლექტიური ხელმძღვანელობის საკითხები, საწევრო გადასახადის აკრეფის სისტემა, ეს „პროზაიკული" საკითხები კონგრესზე ზედმიწევნით გულმოდგინეთ იქნა გარჩეული, რათა მუშაობა დაყენებული ყოფილიყო კონკრეტიულ - პრაქტიკულ ნიადაგზე. მიუხედავათ პროფმოძრაობის რევოლიუციონური ფრთის დიდი დამსახურებისა, უმცირესობათა რევოლიუციონურ კავშირების ძირითადი სისუსტე მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი ვერ ახერხებდენ რევოლიუციონური ტაქტიკის შედუღებას რევოლიუციონურ პრაქტიკასთან. მათ კარგ თეორიას თან არ სდევდა კარგი პრაქტიკული მოღვაწეობა და ამ კონგრესის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ რევოლიუციონური თეორია ორგანიულად შეედუღებია რევოლიუციონურ პრაქტიკასთან, რათა რევოლიუციონური კავშირები გადაეყვანა მუშათა მასების ყოველდღიურ ინტერესებისათვის ბრძოლის გზაზე. ბევრ ქვეყანაში არიან მუშები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მთავარია ზოგადი პროგრამის წამოყენება, ხოლო სამუშაო ხელფასი, სამუშაო დღე, შრომის დაცვა და სხვ. რევოლიუციონერს, მაინც და მაინც, არ უნდა აინტერესებდესო. სწორედ ბევრ კარგ რევოლიუციონერ მუშების ასეთმა დამოკიდებულებამ ფაბრიკა - ქარხნის ცხოვრების ამ „წვრილმანებისადმი" შექმნა „მაკრატელი", რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყველა ქვეყნებში — პროფინტერნის მომხრეთა პოლიტიკურ გავლენასა და ამ გავლენის ორგანიზაციულად განმტკიცებას შორის. კონგრესმა სწორედ ამ „მაკრატლის" წინააღმდეგ მიიტანა მთავარი იერიში. კონგრესმა განზრახ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება პრაქტიკული მუშაობის სფეროს, რათა მიეცა მთელი რევოლიუციონური პროფმოძრაობის ორიენტაცია, რომელიც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: პირველ რიგში საჭიროა ბრძოლა მუშათა კერძო, ადგილობრივ, სპეციალურ მოთხოვნილებათათვის და შემდეგ გადასვლა უფრო ზოგად მოთხოვნილებებზე, საჭიროა მთლიანი ფრონტის ტაქტიკის აშენება კონკრეტულ ყოველდღიურ მოთხოვნილებების საფუძველზე, საჭიროა არა მეტაფიზიკა მთლიანობის შესახებ, არამედ ბრძოლა მთლიანობისათვის.

შეიძლება ზოგიერთებს მოეჩვენოთ, რომ მთელი რიგი საკითხები ცოტათ თუ ბევრად ელემენტარულია. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ კონგრესზე წარმოდგენილ ქვეყნების სხვადასხვაობა. კონგრესზე წარმოდგენილი იყვნენ ქვეყნები, რომელთაც უკვე აქვთ პროფმოძრაობის ასი წლის ისტორია (ინგლისი). და მათთან ერთად ისეთი ქვეყნები, სადაც პროფმოძრაობა უკანასკნელი დროის პროდუქტს წარმოადგენს, მუშათა მოძრაობის სიახლე და პოლიტიკურ, სოციალურ და ყოფაცხოვრების პირობების სხვადასხვაობა არის დამახასიათებელი მომენტი, რომელსაც კონგრესი ანგარიშს უწევდა მუშაობის დროს. თუ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყნებისთვის დიდი ხანია გადაჭრილია, ხოლო ზოგიერთებისთვის ჯერ კიდევ სრულიად ახალ ამოცანას წარმოადგენს და სწორედ ამიტომ საჭირო შეიქნა ზოგიერთ ქვეყნებისათვის და ქვეყანათა ჯგუფებისთვის განმეორება ზოგიერთ რამესი განვლილი ეტაპიდან. ამავე დროს კონგრესი მხედველობაში იღებდა კონკრეტულ მდგომარეობას და ძალთა განწყობილებას ამა თუ იმ ქვეყნის ბურჟუაზიისა და მუშათა კლასს შორის და თვით მუშათა კლასის შიგნით.

პროფინტერნის მე-4 კონგრესი თვალსაჩინოდ განსხვავდება ამსტერდამის ინტერნაციონალის უკანასკნელ კონგრესისაგან. ამაში დარწმუნება შეიძლებოდა ერთი შეხედვითვე. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე ყურადღების ცენტრში იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ამა თუ იმ თანამდებობაზე, რამდენ ფულს აიღებს ესა თუ ის თანამდებობის პირი. ჩვენს კონგრესზე კი ყურადღების ცენტრში იდგა კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მწვავე საკითხები, ამიტომ დელეგატებმა ასეთი მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კამათში.

ყრილობა ჩატარდა თვითკრიტიკის ნიშანს ქვეშ. თითონ დელეგატები სრულიად გულახდილად ლაპარაკობდნენ თავის სისუსტესა და ნაკლზე და არ ეშინოდათ, რომ ამას გამოიყენებენ ჩვენი კლასობრივი მტრები. კონგრესის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან საქმით დაამტკიცა, რომ რევოლიუციონურ კავშირებს არა თუ არ ეშინიათ კრიტიკის, არა თუ არ ფარავენ თავის ნაკლს, არამედ თითონ ააშკარავებენ მას, რათა კოლექტიურ გამოცდილების ნიადაგზე აღმოფხვრან ყველა დეფექტები.

პროფინტერნის მე-4 კონგრესმა მთელი რიგი უაღრესად მნიშვნელოვანი დირექტივები მისცა პროფესიონალურ მოძრაობის მემარცხენე ფრთას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მითითება ზანგების, არაკვალიფიციურ მუშების, უმუშევარ მუშა - ქალების და ახალგაზრდობის ორგანიზაციულად დარაზმვის საჭიროებაზე. ეს მითითებები გამოწვეულია იმ შედეგებით, რომლებიც მოჰყვა კაპიტალისტურ რაციონალიზაციას: მოხდა ცვლილება მუშათა კლასის სტრუქტურაში, წარმოებაში ებმებიან არაკვალიფიციურ მუშების ახალი ფენები და მთელ რიგ ქვეყნებში არაკვალიფიციურ მუშების ორგანიზაციულად დარაზმვის პრობლემა — უახლოესი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

ჩვენ არ ვაპირებთ დაწვრილებით დავახასიათოთ კონგრესის მუშაობა. ვისაც სურს გაეცნოს ამ მუშაობას, მან უნდა წაიკითხოს არა მარტო რეზოლიუციები, არამედ პლენუმის სტენოგრამებიც. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ პროფინტერნის კონგრესი წარმოადგენს უაღრესად სერიოზულ ეტაპს პროფინტერნის შემდგომი განვითარებისათვის მსოფლიო რევოლიუციონურ პროფმოძრაობის მძლავრ ორგანიზაციად.

უეჭველია, პროფინტერნი გაიზარდა, მან ფრიად ღრმა ფესვები გაიდგა. ამას ვგრძნობდით ყრილობაზე; ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ 50 ქვეყნის წარმომადგენლები, ადასტურებს, თუ რა ფართო გავლენა მოიპოვა პროფკავშირების წითელმა ინტერნაციონალმა მუშათა მოძრაობაში და რა ღრმად შეიჭრა იგი პროლეტარულ მასებში. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერია გაკეთებული. ამსტერდამის ინტერნაციონალის სახით რეფორმიზმს ჯერ კიდევ თვალსაჩინო ძალები ჰყავს სხვადასხვა ქვეყნებში. მაგრამ კონგრესმა ნათლად დაგვანახვა, რომ პროფმოძრაობის რეფორმისტული და რევოლიუციონური ფრთა სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. იმ დროს, როდესაც ამსტერდამის ინტერნაციონალი რიცხვობრივად და პოლიტიკურად ქვეითდება, პროფკავშირების წითელი ინტერნაციონალი ზრდას განაგრძობს. ამას ვერ აბათილებს ის გარემოება, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის ცალკე სექციებში წევრთა რიცხვი იზრდება. საქმეც იმაშია, რომ რამდენადაც ძლიერია ცალკე სექციები ამსტერდამის ინტერნაცონალის შიგნით, იმდენად უფრო მწვავეა ნაციონალური და იმპერიალისტური წინააღმდეგობანი ამ ორგანიზაციის შიგნით და მით უფრო სუსტია იგი, როგორც ინტერნაციონალი; პროფინტერნში კი პირიქით, ხდება, რადგან აქ არ არსებობს არც ნაციონალური, არც იმპერიალისტური წინააღმდეგობანი.

პროფინტერნის მე-4 კონგრესმა ჯამი გაუკეთა ბრძოლის მთელ პერიოდს. მან აღნიშნა მასების დაპყრობის შემდგომი გზები და მეთოდები; ყველა რეზოლიუცია, ყველა დადგენილება ერთს ლაპარაკობს: უნდა გავაძლიეროთ მუშაობა, შევიდეთ ფაბრიკებსა და ქარხნებში, დავრაზმოთ მასები, სადაც კი იმყოფებიან, უნდა ვაწარმოოთ ყოველდღიური, მედგარი და გაალმასებული ბრძოლა ბურჟუაზიისა და რეფორმიზმის წინააღმდეგ თვითეული ფაბრიკისათვის, თვითეული ქარხნისათვის და თვითეული მუშისათვის.

მასებში! ასეთია პროფინტერნის მე-4 კონგრესის ლოზუნგი.

ფაბრიკებისა და ქარხნებისაკენ! ასეთია დირექტივა, ვინაიდან იგი ერთად - ერთი გზაა ნაყოფიერი ბრძოლისათვის ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ, თეთრი ტერორის წინააღმდეგ, ომის საფრთხისა და რეფორმისტული გავლენის წინააღმდეგ.

ა. ლოზოვსკი.

„პრავდა". 4 აპრილი.

უკანასკნელი ცნობები

ომი არაბეთში

ლონდონი, 4 აპრილი. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი ბასრიდან იუწყება, რომ ვახაბიტების დიდი გაერთიანებული ძალები დაიძრენ ირაკის საზღვრებისაკენ. ინგლისის ჯავშნოსნები და აეროპლანები აწარმოებენ დაზვერვას. ვახაბიტის სამხედრო ძალები 40.000 კაცისგან შესდგება.

მაკდონალდი ფულს აგროვებს

ლონდონი, 4 აპრილი. გუშინ მაკდონალდმა დაიწყო კამპანია, რომლის მიზანია 100 ათასი გირ. სტერლინგის შეგროვება მუშათა პარტიის საარჩევნო ხარჯების დასაფარავად. მუშათა პარტიის ფინანსიური მდგომარეობა ძლიერ გაართულა უკანასკნელმა კანონმა პროფკავშირების შესახებ, რომელიც კრძალავს პროფკავშირების თანხების გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის.

პოლიტიკურ პატიმართა წამება

ვენა, 4 აპრილი. ბუქარესტიდან იუწყებიან: მუშათა ფართო მასების საპროტესტო მოძრაობის ზეგავლენით ყილავის საპატიმროს ადმინისტრაციამ გაანთავისუფლა კარცერიდან სტეფანოვი და 8 სხვა პოლიტიკური პატიმარი და ბორკილები მოხსნა მათ. საპატიმრო ექიმმა განაცხადა, რომ სტეფანოვი და სხვა პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც კარცერში იყვნენ, მძიმედ არიან ავად; სამს მათგანს გართულებული ტუბერკულიოზი აქვს. მიუხედავად ამისა, საპატიმროს ადმინისტრაციამ მხოლოდ ის გააკეთა, რომ სტეფანოვი და სხვა პატიმარნი კარცერიდან ჩვეულებრივ საკნებში გადაიყვანა, მაგრამ ადმინისტრაცია წინანდებურად უარზეა, რომ მათ მიმართ ის რეჟიმი შემოიღოს, რომელიც კანონით არსებობს პოლიტიკურებისათვის.

280 კაცის დასჯა სიკვდილით

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. „ასსოშიეტედ პრეს"-ის ცნობით, კანტონის პოლიციამ დააპატიმრა 463 კაცი, რომელთაგან 280 უკვე დასაჯეს სიკვდილით. პოლიცია იუწყება, რომ ლიკვიდაცია უყო შეთქმულებას, რომლის მიზანი იყო კანტონის ხელში ჩაგდება. პოლიციის ცნობით, მას ხელში ჩაუვარდა კომუნისტური ლიტერატურა, ბომბები, იარაღი, ტყვია-წამალი და „25.000 წითელი ყელსახვევი, იმათი მსგავსი, როგორსაც კომუნისტები ატარებდენ დეკემბრის გადატრიალების დროს კანტონში".

საქსონიის მელითონეთა გაფიცვა

ბერლინი, 4 აპრილი. რადგან საქსონიის ლითონის მრეწველობის მუშებმა უარჰყვეს სამედიატორო გადაწყვეტილება ხელფასის შესახებ, ამიტომ დრეზდენში, ბაუტცენში, ხემნიცში, პლაუენში, ცვიკაუში და ლითონის მრეწველობის სხვა რაიონებში გამოცხადებულია გაფიცვა, რომელშიც 20.000 მუშა იღებს მონაწილეობას. გაფიცვა გამოცხადებულია სრულიად გერმანიის მელითონეთა კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების თანხმობით. წარმოების პატრონები ხუთშაბათისათვის იწვევენ თათბირს, რომელზედაც განიხილავენ საერთო ლოკაუტის გამოცხადების საკითხს საქსონიის მთელ მრეწველობაში.

რევოლიუციონერ მელითონეთა კონფერენცია

მოსკოვი, 4 აპრილი. გაიხსნა მელითონეთა რევოლიუციონური პროფკავშირების წარმომადგენლების კონფერენცია, კონფერენციაზე ესწრებიან: საბჭ. კავშირის, ამერიკის, გერმანიის, ავსტრიის, ინგლისის, იტალიის, ჩინეთის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის და შვეციის რევოლიუციონერი მელითონეები.

პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოში

მოსკოვი, 4 აპრილი. შესდგა პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს პირველი სხდომა. ერთხმად არჩეულ იქნა აღმასრულებელი, რომელშიაც შედიან ინგლისის, გერმანიის, ჩრ. ამერ. შეერთებულ შტატების, საფრანგეთის, ბალკანეთის, სკანდინავიის ქვეყნების, ლათინური ამერიკის, იაპონიის, ავსტრიის, შორეულ აღმოსავლეთის, საბჭოთა კავშირის, იტალიის, ჩინეთის, ინდონეზიის, კანადის და ბალტიის მხარის ქვეყნების წარმომადგენლები. პროფინტერნის გენერალურ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ლოზოვსკი (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 3 აპრილი. ბელორუსთა გრომადის პროცესის მე-23 დღეს დაჰკითხეს ბრალდების მოწმენი.

მოწმე **მინდალჩიკი** აცხადებს, რომ ბრალდებული კალდა აგიტაციას ეწეოდა ბავშვების სწავლების სასარგებლოდ ბელორუსულ სკოლებში.

მოწმე **კოშელევსკი** (პოლიციელი) ამტკიცებს, რომ ბრალდებული ვოზნიცი აგიტაციას ეწეოდა გადასახადების შეტანის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ბელორუსული სკოლების მოწყობისაკენ.

მოწმე გლები **კონცევიჩი** აცხადებს, რომ პოლიციის კომენდატმა აიძულა გამომძიებლისათვის ეთქვა, რომ თითქოს იგი უფასოდ იღებს ბელორუსულ გაზეთებს, მაშინ როდესაც ის თვითონ იწერდა გაზეთებს.

მოწმე პიკელი ამბობს, რომ თითქოს ტარაშკევიჩი და ვოლოშინი ეუბნებოდნენ გლეხებს, რომ თუ საღამოთ [illegible] რევოლიუცია, დილით იარაღი იქნება მოტანილი საბჭოთა რუსეთიდანო.

მეორე მოწმე, პოლიციის საიდუმლო აგენტი **იუშკევიჩი** ამბობს, რომ „თვითონ გაიგონა", როცა ვოლოშინმა სთქვა მიტინგზე: „ეხლა გრომადას ჰყავს 100.000 წევრი, როცა გვეყოლება 300.000 წევრი, ჩვენ პოლონეთს მოვსთხოვთ ხელი აიღოს ბელორუსიის ტერიტორიაზე".

პროცესის მე-23 დღეს პოლიციის საიდუმლო აგენტმა **ჩარკომ** განაცხადა, რომ თითქოს არსებობდა გრომადის ჯგუფები, რომლის წევრები შეიარაღებული არიან რევოლვერებით და თოფებით.

მოწმე **პეციშევსკი** ამტკიცებს, რომ გრომადა, პოლონეთის ს.-პარტია და „ვიზვოლენიე" „ყველა კომუნისტური ორგანიზაციებია". მოწმე დაკითხვის დროს იჩენს სრულ პოლიტიკურ უცოდინარობას: დამცველთა შეკითხვაზე—როგორი განსხვავებაა კომუნისტებსა და პოლონეთის სოციალისტურ პარტიის შორის, —მოწმე უპასუხებს: „პროგრამაში არის განსხვავება, მაგრამ პრაქტიკულად ორივე პარტია მოუწოდებს რევოლიუციისაკენ". თავმჯდომარე შეეცადა დახმარებოდა მოწმეს და ამ ნიადაგზე მოხდა კონფლიქტი დამცველთა და სასამართლოს თავმჯდომარეს შორის (ადს).

იტალიის ინტრიგები სამხრეთ-სლავიის წინააღმდეგ

დიპლომატიური „ეპიდემია"

ვენა, 3 აპრილი. სამხ.-სლავიის გაზეთების ცნობით, ალბანეთის საზღვარი დახურულია, რის საბაბად აცხადებენ ეპიდემიის არსებობას სამხრეთ-სლავიაში. ეს გარემოება შესამჩნევ ნერვიულობას იწვევს ბელგრადში, ვინაიდან ფიქრობენ, რომ **ალბანეთმა იტალიასთან დასდო ახალი ხელშეკრულებები, რომელთა საშვალებით იტალიის გავლენა ალბანეთში მნიშვნელოვნად გაიზრდება**

ბელგრადის „პოლიტიკა" იუწყება, რომ დაბა გაშის მიდამოებში ალბანეთის ემისარმა მაკედონელ პარტიზანებს დაურიგა ფული გაზაფხულზე გამოსვლების მოსაწყობათ. შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ ორი კვირის წინად ალბანეთში ჩავიდა მაკედონელ ავტონომისტების დელეგატი პროტოროვი, რომელმაც დაარიგა ფული სამხრეთ-სლავიის საწინააღმდეგო გამოსვლების მოსაწყობათ. ალბანეთში იმყოფება 250-მდე იტალიელი ოფიცერი, რომლებიც მუშაობენ ინსტრუქტორებად (ადს).

უცხოეთის პრესა მაქსიმ გორკის შესახებ

ვენა, 3 აპრილი. ავსტრიისა და ბალკანეთის ქვეყნების ყველა გაზეთებმა ვრცელი წერილები უძღვნეს მაქსიმ გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

მემარჯვენე გაზეთები აღნიშნავენ გორკის შემოქმედებისა და მოღვაწეობის რევოლიუციონურ ხასიათს, მაგრამ ამასთანავე ერთად ერთხმად აღიარებენ გორკის მნიშვნელობას, როგორც მწერლისას.

მემარცხენე გაზეთები აღნიშნავენ, რომ გორკის იუბილე იდღესასწაულეს მთელ მსოფლიოში სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულების ხალხმა.

ავსტრიაში გორკის იუბილეს იხდიან მუშათა მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები და თვითგანვითარების წრეები.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამხ. ა. რიკოვის მოხსენება

მოსკოვი, 4 აპრილი. დღეს ამხანაგი ა. რიკოვი გამოდის მოხსენებით საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

როგორია ადმინისტრატიული ხარჯები ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 4 აპრილი. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე ამხ. **ზანგვილი** თავის მოხსენებაში, სადაც ის ანალიზს უკეთებდა ცალკე საბჭოთა რესპუბლიკების ადმინისტრატიულ ხარჯებს, შეეხო აგრეთვე ამიერ-კავკასიის ადმინისტრატიულ ხარჯების მდგომარეობასაც.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიაში ადმინისტრატიული ხარჯები მეტად დიდია. მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთის ფედერაციაში ადმინისტრატიული ხარჯები თითო სულზე მოდის ერთი მანეთი და 19 კაპეიკი, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ასეთივე ხარჯები სულზე მოდის ორი მანეთი და 42 კაპეიკი.

ამხ. ზანგვილი თავის სიტყვაში შეჩერდა აგრეთვე იმ სპეციფიურ მიზეზებზე, რომელნიც იწვევენ ადმინისტრატიულ ხარჯების სიდიდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში. ერთ-ერთ ასეთ მთავარ მიზეზათ მომხსენებელს მიაჩნია ამიერ-კავკასიის ეროვნული შემადგენლობა. საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა, სხვა ლონისძიებებთან ერთად მიზნად ისახავს სახელმწიფო აპარატის დაახლოვებას მოსახლეობასთან, რაც ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ეროვნულ სხვადასხვაობის გამო თავისთავად იწვევს ზედმეტ ხარჯებს აპარატზე.

ამხ. ზანგვილის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **ამაიაკ ნაზარეტიანმა.**

დასასრულ, მოხსენების გარშემო პრაქტიკულ წინადადებების შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც ამიერ-კავკასიიდან შევიდა ამხ. ა. ნაზარეტიანი.

სამთო ინჟინერთა ყრილობა შახტის კონტრ-რევოლიუციის შესახებ

მოსკოვი, 4 აპრილი. გუშინ აქ გაიხსნა სამთო ინჟინრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. პირველ სხდომაზევე ყრილობამ მოისმინა მოხსენება შახტის მაღაროებში აღმოჩენილ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. სიტყვებით გამოდიოდენ ძველი, დამსახურებული ინჟინრები ორატორები ერთხმად გმობდენ შახტის მოღალატეების საქციელს და ფიცს სდებდენ მუშებისა და გლეხების წინაშე, რომ ისინი, ისე როგორც დღემდე, მომავალშიც თავიანთ ცოდნისა და ენერგიის დაუზოგავად განაგრძობენ სოციალიზმის მშენებლობას პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელობით.

კამათის დასრულების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო სპეციალური მიმართვა მთავრობისადმი. აღნიშნულ მიმართვაში გატარებულია იგივე აზრი, რომელიც გამოსთქვეს თავიანთ სიტყვებში ორატორებმა შახტის კონტრ-რევოლიუციონურ გარეწრების შესახებ.

როგორ მიმდინარეობს პურის დამზადება

მოსკოვი, 4 აპრილი. დღეს „იზვესტია"-ში მოთავსებულია ამხ. ლვოვის წერილი, რომელშიაც მოყვანილია პურის დამზადების უკანასკნელი შედეგები.

წერილში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 31 მარტამდე დამზადებულია 10.469 ათასი ტონა პური, წარსული 1927 წლის 31 მარტამდე კი დამზადებული იყო 10.059 ათასი ტონა პური.

ის დანაკლისი, რომელიც ჩვენ გვქონდა პურის დამზადების შესუსტების გამო 1927 წლის ოქტომბრიდან 1928 წლის იანვრის ბოლომდე, უკვე შევსებულია. ამასთან ერთად მიმდინარე გაზაფხულის თვეებში წარსულ გაზაფხულთან შედარებით პურის დამზადება სწრაფი ტემპით იზრდება.

საშიშროებას პურის კრიზის შესახებ, არავითარი საფუძველი არა აქვს.

ინგლისელების სამხედრო მზადება
ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე

შაბული, 3 აპრილი. აქ მიღებული ცნობებით, უკანასკნელ თვეებში ძალიან გაცხოველდა ინგლისელების სამხედრო მუშაობა ინდო-ავღანისტანის საზღვარზე. აშენებულია მთელი რიგი ახალი ფორტები, მნიშვნელოვნად გაფართოებულია ძველი ფორტები. ინგლისელები იღებენ ზომებს შეიარაღებულ ძალთა გადიდებისათვის სანაპირო რაიონებში, რისთვისაც ქალაქ დელისა და ლაგორის რაიონში სწარმოებს 50.000 ახალი რეკრუტის გაწვევა. ახალ გაწვეულთა ნაწილი უკვე გაგზავნა გარნიზონებში, რომლებიც მდებარეობენ ვაზირისტანში, კვეტში და ბელუჯისტანში. რეკრუტების გაწვევა სწარმოებს აგრეთვე სხვა რაიონებშიაც.

ქვეითა გარნიზონების და სამხედრო-საინჟინრო სამუშაოთა გაძლიერებასთან ერთად სანაპირო ცენტრებში აღიდებენ აგრეთვე საავიაციო რაზმებს. ინდუსთა პრესის ცნობით, ვანუდან, ნაგრადიტან და ჩანდარიდან ვაზირისტანში ჩავიდა ახალი საჰაერო ესკადრილიები. ამ დიდ საავიაციო ცენტრებიდან აეროდრომები გადატანილია ავღანისტანის საზღვრებისაკენ.

ვაზირისტანის ტერიტორიაზე და სხვა რაიონებში გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს საავტომობილო გზების ასაგებად და არსებული გზების გადასაკეთებლად. დამოუკიდებელი ზონის ტომებმა, რომლებიც აღშფოთებული არიან ინგლისელთა მზადებით, გაახშირეს თავდასხმა ინგლისის პოსტებზე და პატრულებზე. პრესის ცნობით, ინგლისის სარდლობას ინდოეთში განზრახვა აქვს კიდევ უფრო გააძლიეროს ინგლისის სამხედრო ძალები ავღანისტანის საზღვარზე, რის საბაბადაც მოჰყავთ ის მოსაზრება, რომ დამოუკიდებელი ტომების ზონაში აუცილებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, რომლის დარღვევა ვითომც საფრთხეს უმზადებს ინდოეთის უშიშროებას (ადს).

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ
გერმანიის პრესა კენისბერგის კონფერენციის შესახებ

ბერლინი, 3 აპრილი. გერმანული გაზეთები ცნობებს ქენისბერგის კონფერენციის შესახებ უკომენტარიოდ აქვეყნებენ და აღნიშნავენ, მხოლოდ მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებას.

ცენტრის პარტიის ორგანოს „გერმანია“-ს აზრით, ლიტვის მორალური პოზიციები ყოველი ახალი კონფერენციის შემდეგ სულ უფრო და უფრო დასუსტდება. (ადს).

ბრძოლა ჩინეთში
საბჭოთა მოქალაქეების საქმე ნანკინში.

შანხაი, 3 აპრილი. განსაკუთრებულმა სასამართლომ ნანკინში გაამართლა საბჭოთა 5 მოქალაქე, რომელნიც ჩინელთა ხელისუფლებამ წარსული წლის აგვისტოში დააპატიმრა სვატოუში (ადს).

ნანკინის ინციდენტი და იაპონია

პეკინი, 3 აპრილი. ტიანძინის გაზეთი „ტაკუნ-ბაო“ გამოსთქვამს კმაყოფილებას იმის გამო, რომ ნანკინის ინციდენტი მოგვარებულ იქნა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს.

ნანკინის ინციდენტის მოგვარება ჩინეთსა და იაპონიის შორის,—სწერს გაზეთი,—თითქოს არ უნდა იყოს ძნელი, ვინაიდან იაპონიას არ მიუღია მონაწილეობა ნანკინისათვის ყუმბარების დაშენაში. მაგრამ იაპონია უარს აცხადებს იმაზე, რომ ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხი შეტანილ იქნას ეხლანდელი მოლაპარაკების პროგრამაში, მაშინ როდესაც ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები დათანხმდა უთანასწორო ხელშეკრულებათა გადასინჯვაზე“ (ადს).

იაპონია და ნანკინის ინციდენტი

შანხაი, 3 აპრილი. „სინ-ვენ-ბაოს“ ცნობით, იაპონიის კონსულმა შანხაიში იადამ დაიწყო მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან ნანკინის ინციდენტის მოგვარების შესახებ. (ადს).

ანტი-იაპონური ბოიკოტის გაუქმება ამოიაში.

შანხაი, 3 აპრილი. ამოიდან მიღებული ცნობებით, იაპონიის კონსულმა ანტი-იაპონური ბოიკოტის ჩამტარებელ კომიტეტს მისცა წინადადება, გააუქმოს ბოიკოტი, რომელიც გამოცხადებულ იქნა იაპონელთა პოლიციის მიერ 4 კორეელის უკანონოდ დაპატიმრების გამო. კონსულმა ამასთანავე თანხმობა განაცხადა იაპონელთა პოლიციის გაუქმებაზე. სამხედრო ხელისუფლების მოთხოვნილებით, ბოიკოტის ჩამტარებელმა კომიტეტმა მოხსნა ბოიკოტი იაპონელთა წარმოებებში (ადს).

ბრძოლა ჩან-ძო-ლინსა და ნანკინელებს შორის

პეკინი, 3 აპრილი. პეკინ-ხანკოუს რკინის გზის რაიონში —ჩენტაიში— დაიწყო ბრძოლა ჩან-ძო-ლინისა და ნანკინის მთავრობას ჯარებს შორის

მექსიკის კომპარტიის ყრილობა

მექსიკა, 3 აპრილი. გაიხსნა მექსიკის კომპარტიის ყრილობა. ყრილობა საერთოდ პოლიტიკური ხასიათის საკითხებთან ერთად განიხილავს აგრეთვე წარმოებებში პარტიის მუშაობის გაძლიერების და ობრეგონის ბურჟუაზიული პროგრამის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს (ადს).

ქალაქის თავი-კომუნისტი

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. ბუენოს-აირესიდან იუწყებიან, რომ კორდობის პროვინციაში (არგენტინა) ქალაქ კანადა-ვერდეს მერად არჩეულ იქნა კომუნისტი. ეს პირველი შემთხვევაა არგენტინაში (ადს).

ახალი პრეტენდენტი
საბჭოთა ოქროზე

ნიუ-იორკი, 3 აპრილი. პრესის ცნობებით, რუმინეთის ნაციონალური ბანკი იმით ასაბუთებს თავის პრეტენზიებს საბჭოთა ოქროზე, რომ თავის დროზე რუმინეთის ოქრო შეტანილი იყო მოსკოვში. გაზეთების სიტყვებით, რუმინეთის მისია ვაშინგტონში ელის ინსტრუქციებს ბუქარესტიდან. (ადს).

სპარსეთში
სპარსეთის მეჯლისის არჩევნები

თეირანი, 3 აპრილი. გამოქვეყნებულია შაჰის განკარგულება სპარსეთის მეჯლისის არჩევნების დანიშვნის შესახებ (ადს).

სპარსეთის პრესა ლიტვინოვის სიტყვების შესახებ

თეირანი, 3 აპრილი. ყველა გაზეთებმა მთლიანად მოათავსეს ლიტვინოვის ორივე სიტყვა განიარაღების მოსამზადებელ კომისიაში.

ნაციონალური გაზეთი „სეტარეე ირანი“, აკრიტიკებს რა ერთა ლიგას, ურჩევს სპარსეთს დაიცვას თავისი უფლებები და არ იქონიოს ერთა ლიგის იმედი, ვინაიდან იგი „სრულიადაც არ არის სუსტი ერების დამცველი“.

გეოლოგების ყრილობა

მოსკოვი, 4 აპრილი. 20 მაისს ქ. ტაშკენტში შესდგება გეოლოგების მე-3 სრ. საკავშირო ყრილობა. ყრილობის საორგანიზაციო კომისიამ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ ყრილობის მონაწილე გეოლოგებს მიეცეს უფასოდ მგზავრობის უფლება სამსახურის ადგილიდან ტაშკენტამდე. საორგანიზაციო კომიტეტი ამავე დროს შუამდგომლობს, რომ საბჭოთა კავშირის რკინის გზაზე მგზავრობის დროს შეღავათი მიეცეს უცხოელ გეოლოგებსაც, რომლებიც ამ ყრილობაზე არიან მიწვეული (ადს).

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პლენუმში
ამხ. რიკოვის სიტყვა

მოსკოვი, 4 აპრილი. 2 აპრილს ამხ. რიკოვმა გახსნა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმი და თავის სიტყვაში მოკლედ შეჩერდა ამ ნებაყოფლობითი საზოგადოების ხუთი წლის მუშაობის შედეგებზე. ამხ. რიკოვმა, აღნიშნა რა საზოგადოების მიღწევები, ხაზი გაუსვა იმ განსაკუთრებულ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიდა ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნას სოფლად და გლეხთა ფართო მასებში ფეხის მოკიდებას.

„ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაკლოვანებები,—ამბობს ამხ. რიკოვი,—უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ სუსტია ქვედა საფეხურის ქსელი და საკმაო ენერგიული ტემპით არ სწარმოებს მისი მუშაობა. ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ განვავითარეთ დაბალი საფეხურის აქტივი და დღემდე ჯეროვნად ვერ მოვაგვარეთ ძირითადი უჯრედების მუშაობა ფაბრიკებში და სოფლებში“.

„საბჭოთა კავშირზე თავდასხმის საფრთხემ,—სთქვა შემდეგ ამხ. რიკოვმა,—ჩვენი საზოგადოება გახადა მთავარი ყურადღების საგნად ყველა იმათ მხრივ, ვინც საბჭოთა კავშირის ნამდვილ მოქალაქედ სთვლის თავს“.

შემდეგ ამხ. რიკოვი ეხება გამოჩენილი მეცნიერ-ქიმიკოსების და ინჟინერების წერილობით განცხადებას საკავშირო მთავრობისადმი. „ეს განცხადება,—ამბობს ამხ. რიკოვი,—მოწმობს, რომ აუცილებელია დავაჩქაროთ ჩვენი ქვეყნის ქიმიზაცია, ქიმიური მრეწველობისა და ქიმიურ ცოდნათა განვითარება. ეს საკითხი მეცნიერთა ჯგუფმა დააყენა იმ სახით, როგორც ჩვენ თავის დროზე დავაყენეთ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საკითხი“.

შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების მუშაობას თავდაცვისათვის ხელის შეწყობისა და მუშებსა და გლეხებს შორის სამხედრო ცოდნის გავრცელების დარგში, და შეჩერდა იმ საკითხზე, თუ რა როლს თამაშობს სამხედრო მრეწველობა ჩვენი ქვეყნის მთელ მეურნეობასთან დაკავშირებით.

„მეფის ხანაში,—ამბობს ამხ. რიკოვი,—და უმთავრესად ეხლაც ჩვენში დიდი ადგილი უჭირავს სპეციალურ სამხედრო მრეწველობას, მაშინ, როდესაც სხვა მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყნებში სამხედრო მრეწველობის ხვედრითი წონა უმნიშვნელოა. მაგრამ ამ ქვეყნებში ამავე დროს არსებობს „მშვიდობიანი“ მრეწველობა, რომელსაც შეუძლია თავისი საწარმოო ოპერაციები სულ მოკლე ხნის განმავლობაში შეუფარდოს სამხედრო მიზნებს. ჩვენ ძველი დროის მემკვიდრეობათ მივიღეთ სპეციალური სამხედრო ქარხნების ჯგუფი, რომელთაც არ შეუძლიათ მუშაობა მშვიდობიანი მიზნებისათვის, და ჩვენ გვაქვს მშვიდობიანი მრეწველობა, რომელიც შეფარდებული არ არის სამხედრო საჭიროებათა მუშაობისათვის. ჩვენი მრეწველობის მუშაობაში „ომისა“ და „მშვიდობიანობის“ ეპოქებს შორის გატარებულია მკაცრი განსხვავების ზღვარი. ამიტომ აუცილებელია ჩვენი მრეწველობის მუშაობაში ზედმიწევნით გავითვალისწინოთ და გამოვიყენოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნების და ამერიკის გამოცდილება.

საზღვარგარეთის პრესაში ხშირად სწერენ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება არსებითად არის იმავე არმიის ორგანიზაცია და რომ ეს საზოგადოება წარმოადგენს მომქმედი არმიის ერთ-ერთ რაზმს. თუ თავს დაესხმიან ჩვენს კავშირს, მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება იქნება წითელი არმიის არა მარტო ერთ-ერთი რაზმი, არამედ მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი (ტაში), მაგრამ საზღვარგარეთის პრესის მტკიცება ყველა იმ ამოცანების შესახებ, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ, სრულიად არ არის მართალი. ჩვენი საზოგადოების ამოცანები შეიცავს ყველა იმ ამოცანებს, რომლებიც დგას მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე, საბჭოთა კავშირის ყოველი აქტიური მოქალაქის წინაშე. სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანები შეიცავს ბრძოლას მშვიდობიანობისათვის და ამიტომ ბრძოლა მშვიდობიანობისათვის შედის ჩვენი საზოგადოების პროგრამაში. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიაზე ჟენევაში საბჭოთა დელეგაციამ განსახილველად შეიტანა წინადადება დაუყოვნებლივი სრული განიარაღების შესახებ. ეს წინადადება შევიტანეთ იმიტომ, რომ ჩვენ არასოდეს არ გვიწარმოებია და არც ვაწარმოებთ მტაცებლურ ომს. თუ ყველა სახელმწიფოები განიარაღდებიან, ჩვენთვის საჭირო არ იქნება ვიზრუნოთ თავდაცვის საქმისათვის. საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება რომ მიეღოთ ჟენევაში, ჩვენი საზოგადოება სიამოვნებით ამოშლიდა თავის პროგრამიდან ყოველივე იმას, რაც შეეხება საზოგადოების სამხედრო ამოცანებს. მაგრამ საბჭოთა წინადადებები უარყოფილ იქნენ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ განიარაღების იდეა სავსებით და სრულიად დამარცხდა? ჟენევაში პირველად მთელი მსოფლიოს წინაშე, ყველა მშრომელთა წინაშე, ჩვენი პროექტის გარშემო გაიმართა აშკარა ბრძოლა ომის მომხრეთა და მშვიდობიანობის მომხრეთა შორის. ეს ბრძოლა ჟენევაში დამთავრდა იმით, რომ გაიზარდა შეიარაღების ლიკვიდაციის მომხრეთა ძალები, განიარაღების მომხრეთა ძალები. თვით განიარაღების პრობლემა მთელი მსოფლიოს წინაშე დაისვა იმდენად ნათლად, გარკვეულად და პოპულიარულად, რომ საძნელოა აღმოჩნდეს ისეთი ნამდვილი მუშათა ან გლეხთა ორგანიზაცია, რომელიც გაეცნობა ჩვენს წინადადებას და თანაგრძნობით არ მოეპყრობა მას. განიარაღების საბჭოთა პროექტის ირგვლივ დაიწყო ყველა ძალთა მობილიზაცია სრული განიარაღებისათვის საბრძოლველად, ომის ნამდვილ მოწინააღმდეგეთა სტაბილიზაცია. ეს ბრძოლა ნამდვილი მშვიდობიანობისათვის, რასაკვირველია, საკმაო არ არის გაგრძელდეს მხოლოდ ერთი წლით, რომ მივაღწიოთ რეალურ წარმატებებს განიარაღების საკითხში. რეალური ხელისუფლება ბურჟუაზიულ ქვეყნებში ამჟამად არის არა განიარაღებისა და მშვიდობიანობის მომხრეთა, არამედ ომის მომხრეთა ხელში. ამიტომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის ხელის შეწყობის საკითხს დიდი ადგილი უნდა ეჭიროს თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების მუშაობის პროგრამაში, ვინაიდან თუ ომი დაიწყო, ამ ომის მახვილი პირველ რიგში მიმართული იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

წარმატება მშენებლობის დარგში უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ მუშის, გლეხის და სპეციალისტ-ინტელიგენტის შეკავშირებას როგორც ახალი საზოგადოების აქტიური და შეგნებულ მშენებლობისას. საკმაო არ არის მარტო მიწის მოხვნა, საჭიროა აგრეთვე პასუხისმგებლობის გრძნობა სახელმწიფოს წინაშე, პასუხისმგებლობა მისი მეურნეობისათვის, საკმაო არ არის მარტო ჩარხთან მუშაობა, საჭიროა აგრეთვე პასუხისმგებლობის შეგნება ყოველივე იმისათვის, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში, საკმაო არ არის მარტო თავის ვიწრო სპეციალობის დარგში მუშაობა, არამედ საჭიროა აგრეთვე აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციისათვის მუშაობაში,—ამაში მდგომარეობს მთელი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი, უძნელესი ამოცანა. ჩვენმა საზოგადოებამ მიზნათ დაისახა ქალაქის და სოფლის ყველა აქტიურ ძალთა გაერთიანება საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა ქვეყნის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო, ყველაზე უფრო რთული და უდიდესი ამოცანების გადასაჭრელად. ამ ამოცანების ზრდასთან ერთად და მასსების აქტივობის გადიდებასთან ერთად გაიზრდება თავდაცვისა, ავიაციისა და ქიმიური მრეწველობისათვის ხელის შემწყობ საზოგადოების როლი და მნიშვნელობა (მხურვალე ტაში, ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს).

ამხ. ვოროშილოვის სიტყვა

როცა ჩვენ გადავავლებთ თვალს განვლილ წელს,—სთქვა ამხ. ვოროშილოვმა,—ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოების წევრთა რიცხვი გაიზარდა ორი მილ.-დან სამ მილიონამდე. საზოგადოების სამი მილიონი წევრიდან ამჟამად სხვადასხვა სექციებში, უჯრედებში და წრეებში სულ მუშაობს მხოლოდ 500.000 წევრი. სამწუხაროდ მრავალი ნაკლი აქვს აგრეთვე მუშაობას აქტივისტებს შორის. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა მარტო წევრთა რიცხვის რაოდენობის გადიდებისათვის, არამედ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვისაც.

ამხ. რიკოვმა სწორად აღნიშნა, რომ აუცილებელია შევეცადოთ სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ახალი მასების ჩაბმას თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობ საზოგადოებაში. ამასთან ერთად უნდა გავაძლიეროთ ყველა სექციების, განსაკუთრებით თავდაცვის ხელის შემწყობ სექციის მუშაობა.

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ ის დიდი, მსოფლიო მნიშვნელობა, რომელიც აქვს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში ჩვენ მიერ წარდგენილ წინადადებას, იმპერიალისტების წინაშე მკვეთრად იქნა დასმული საკითხი: სურთ თუ არა მათ განიარაღება. კაპიტალისტურმა ქვეყნებმა უარჰყვეს ჩვენი წინადადება. ეხლა კაპიტალისტური ქვეყნები ცდილობენ დაფარონ თავისი მზადება ახალი ომისათვის, რამდენად, საერთოდ, შესაძლებელია დაუმალონ მშრომელებს მათი მტაცებლური ზრახვები. ამიტომ მათ მოუხდებათ რამდენიმე ხნით გადასდონ თავისი ინტერვენციონისტური გეგმები: მათთვის ძნელი იქნება, რომ ლაპარაკიდან განიარაღების შესახებ (თუნდაც თვალთმაქცური ლაპარაკიდან) გადავიდნენ ომის პროპაგანდაზე. იმპერიალისტები ამ წელში (მე ვფიქრობ, რომ აქ ერთგვარი გავლენა მოახდინა ჩვენი წარმომადგენლების გამოსვლამ ჟენევაში) აღარ ააჟღარუნებენ იარაღს, არ გვემუქრებიან აშკარად ინტერვენციით, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ყოველ გაზაფხულზე. ეხლა შეტევა ჩვენს წინააღმდეგ მზადდება სხვა სახით,—ჩვენ ეხლა გვემუქრებიან ეკონომიური ინტერვენციით.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმპერიალისტების ბანაკში არ სწარმოებს მზადება ომისათვის. ჟენევის შემდეგ ბრმებისათვისაც კი ნათელი გახდა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიას არ სურს განიარაღება, რომ იგი დაუღალავად ემზადება ახალი სისხლისღვრებისათვის და არჩევს ამისათვის შესაფერ დროს და პირობებს. სწორედ ამიტომ თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობმა საზოგადოებამ უნდა განამტკიცოს მუშაობა თავდაცვის საქმისათვის და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს წითელ არმიას.

თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების ყველა ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აქტივის კადრების გაფართოება და მატერიალური რესურსების გამონახვა. მე მგონია, რომ ძირითად ამოცანას შეადგენს თავდაცვა-ავიაქიმის ხელის შემწყობი საზოგადოების აქტივისტების ძლიერი კადრების მომზადება, რომლებიც შესძლებენ გაუძღვენ იმ უდიდეს ამოცანებს, რომელთა შესახებაც ილაპარაკა აქ ამხ. რიკოვმა.

მთელი რიგ ჯგუფების გარდა, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩაგვიბამს აქტიურ მუშაობაში (კულტურული ძალები სოფლად—სოფლის მასწავლებელი, აგრონომი, ქოხ-სამკითხველოს გამგე, კულტურული ძალები ქალაქად—მეცნიერების მოღვაწენი და პროფკავშირთა აქტივი) ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თადარიგის მეთაურთა შემადგენლობას. ჩვენ ამგვარად მივაღწევთ ორ მიზანს: ერთის მხრივ მივიღებთ ჩვენი ყველა ორგანიზაციის ყველა საფეხურების მომქმედ, ინიციატიურ მუშაკთა დისციპლინით აღჭურვილ, რამდენადმე მომზადებულ კადრს, მეორეს მხრივ მეთაურთა მრავალ ათასეულ რეზერვს დაუახლოვებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და სამხედრო მზადების პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.

მე მგონია, რომ მიმდინარე წელში ჩვენ შევსძლებთ მშვიდობიანი მუშაობის გაძლიერებას, თუ არ მოხდება რაიმე მოულოდნელი ამბავი. თუ ჩვენი მშვიდობიანი შრომა ჩაშლილი იქნება, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა გავაღრმავოთ ჩვენი საზოგადოების მუშაობა, გავაჩაღოთ ბრძოლა ყველა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ყველასათვის ცნობილია, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია ძლიერია იმდენად, რამდენადაც აქტივობას იჩენენ მუშები და გლეხები, რამდენადაც არმია გრძნობს ძმურ დახმარებას მშრომელთა მასსების მხრივ. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი საზოგადოების დახმარება ძველებურად განამტკიცებს წითელ არმიას. მუშები და გლეხები, წითელი არმიის დახმარებით, გაათკეცებული ენერგიით განაგრძობენ ჩვენი სოციალისტური მეურნეობის შენებას, რითაც სულ უფრო და უფრო გაძნელდება იმპერიალისტების შეიარაღებული თავდასხმა პროლეტარულ სახელმწიფოზე.

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის შესრულება

მოსკოვი, 4 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარის მოადგილის ამხ. კუზნეცოვის მოხსენება მიმდინარე საბიუჯეტო წლის განვლილ ხუთ თვეში საბჭოთა კავშირის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემოსავლის მხრით გამოიხატა 2,468 მილიონ მან.; ხელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემოსავრაც შეადგენს წლიური ნორმის 41 პროცენტს. ბიუჯეტის ასეთი შესრულება სრულიად ნორმალურია. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული საგადასახადო შემოსავალი ერთგვარ შეფერხებას განიცდის. მაგალითად, სარეწაო გადასახადის შემოსავალი განვლილ ხუთ თვეში წლიური ნორმის 25 პროცენტს შეადგენს, საშემოსავლო გადასახადის აკრეფა წლიური ნორმის 35 პროცენტს შეადგენს. საშემოსავლო გადასახადის აკრეფის სიმცირე აიხსნება საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაციით და სავაჭრო აპარატის ორგანოების შემცირებით. შემოსავლის მუხლების მიხედვით ყველაზე მეტია შემოსული სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—წლიური ნორმის 60 პროცენტი. აქციზის დარგში საერთო შემოსავალი განვლილ ხუთ თვეში შეადგენს წლიური ჯამის 40 პროცენტს და შარშანდელი წლის შემოსავალს უდრის. რაც შეეხება არასაგადასახადო შემოსავალს, იგი ხუთ თვეში შეადგენს წლიური ჯამის 30 პროცენტს, შარშან კი იმავე თვეების განმავლობაში შეადგენდა 28 პროცენტს. სრულიად ნორმალურად მიმდინარეობს თანხების მიღება სესხის სახით. განვლილი ხუთი თვის ცნობები გვიჩვენებს, რომ სესხთა რეალიზაციამ შესძლება შეასრულოს საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ მიღებული ჯამი—525 მილიონი მანეთი. საბიუჯეტო წლის განვლილ ხუთ თვეში დახარჯულია 2.435 მილიონი მანეთი ანუ წლიური თანხის 40 პროცენტი. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატს ყურადღება მიაქციოს ბიუჯეტის შესრულების საჭიროებას სარეწაო და საშემოსავლო გადასახადის ხაზით; სახ. კომისართა საბჭომ დაავალა აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის საბჭოს, ვაჭრობის კომისარიატს, ფინანსთა კომისარიატს და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს: მოაწესრიგონ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა ბალანსების განხილვისა და დამტკიცებისათვის საჭირო მუშაობა, რათა 1927—28 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავალი მრეწველობისა და ვაჭრობის მოგებიდან მთლიანად იქნას გადახდილი მიმდინარე საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. (ადს).

ფეიქართა საკავშირო ყრილობა
ყრილობის გახსნა

მოსკოვი, 4 აპრილი. გაიხსნა ფეიქართა მერვე საკავშირო ყრილობა.

საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს სახელით გამოვიდა ამხ. ტომსკი. თავის სიტყვაში ამხ. ტომსკი ეხება შახტის შეთქმულებას და აღნიშნავს, რომ ეს შეთქმულება შესაძლო გახდა მხოლოდ მთელ რიგ უარყოფით მოვლენების გამო.

„ჩვენ დავივიწყეთ—განაგრძობს ამხ. ტომსკი—ჩვენი ძირითადი ლოზუნგი: ახლოს მასებთან. ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საკმაო ყურადღება მუშათა მასისადმი, რომელიც გამოდიოდა საწარმოო თათბირებზე და გვაძლევდა სწორ მითითებებს სამეურნეო დეფექტების გამოსწორების შესახებ. ჩვენში ადგილი აქვს მეტად ზოგად და ზერელე დამოკიდებულებას სამეურნეო საკითხებისადმი. ცხოვრება მოითხოვს არა ზოგად მსჯელობას მეურნეობის შესახებ, არამედ კონკრეტულ პასუხს და კონკრეტულ კითხვებს. საწარმოო თათბირების მნიშვნელობა არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი, როგორც ეხლა. პროფკავშირები რომ უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობოდნენ საწარმოო თათბირების მუშაობას, შახტის შეთქმულება გაცილებით უფრო ადრე იქნებოდა აღმოჩენილი. პროფკავშირების ბრძოლა სამეურნეო ფრონტზე ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს“.

ეხება რა მუშების და სპეციალისტების ურთიერთ დამოკიდებულებას, ამხ. ტომსკი ამბობს:

„შახტის შეთქმულება ვერ შეარყევს ჩვენს დამოკიდებულებას სპეცებისადმი. სპეციალისტებისაგან ჩვენ მოვითხოვთ პატიოსან, კეთილსინდისიერ თანამშრომლობას მუშათა კლასთან. ჩვენ ვხედავთ და ვიცით, რომ სპეციალისტების დიდმა უმრავლესობამ თავისი ბედი დაუკავშირა მუშათა კლასის ბედს. ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ მხოლოდ არაკეთილსინდისიერ და უთავბოლო მუშაკების წინააღმდეგ“.

საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. კუიბიშევი, რომელმაც თავის სიტყვაში წამოაყენა საფეიქრო წარმოების ძირითადი ამოცანები. ეს ამოცანებია: ნედლეულის ბაზისის შექმნა ქვეყნის შიგნით, ძირითადი კაპიტალის განახლება, სამეურნეო მუშაობის მოწესრიგება ფაბრიკებში და პროფორგანიზაციების ჩაბმა წარმოების კონტროლში.

ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 4 აპრილი. გაიხსნა სამთამადნო მრეწველობის მუშათა კავშირის საინჟინრო ტეხნიკურ სექციების მეხუთე საკავშირო ყრილობა. ყრილობის მსჯელობის მთავარ თემას [illegible] საკითხზე შეადგენდა შახტის მაღაროს ინჟინერთა ერთი ჯგუფის გამცემლობა.

კავშირის ცეკას თავმჯდომარე ამხ. შვარცი, რომელმაც ყრილობას მიესალმა ცეკას სახელით, ამბობს, რომ შახტის გამცემლობა წარმოადგენს შავ ლაქას ჩვენი მრეწველობის აღდგენის საქმეში, რომელსაც რვა წლის განმავლობაში ემსახურებოდნენ ინჟინერები, ტეხნიკოსები და მემაღარო მუშები.

„მე დარწმუნებული ვარ,—სთქვა ამხ. შვარცმა,—რომ მიუხედავად შახტის ჯაშუშების საზიზღარი საქმისა, ჩვენ დავამტკიცებთ იმას, რომ შეგვიძლია მუშაობა“.

საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების სექციათა შორისო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. შეინი შახტის გამცემლობასთან დაკავშირებით აღნიშნავს საწარმოო საზოგადოებრიობის არა საკმაო განვითარებას ინჟინერებსა და ტეხნიკოსებს შორის, რაც ერთ-ერთი მიზეზია შახტის მსგავსი საქმის წარმოშობისა ჩვენს ცხოვრებაში.

საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების წინაშე მდგარ უდიდეს ამოცანების შესახებ ილაპარაკეს ამხ. [illegible], რომელიც ყრილობას მიესალმა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის სახელით და ამხ. რუბარმა—ს. მ. უ. ს. სათბობ მთავარ განყოფილების უფროსმა.

ყრილობამ დაადგინა თავისი დამოკიდებულება შახტის საქმისადმი გამოხატოს სპეციალურ მიმართვაში საკავშირო სახკომსაბჭოს სახელზე. მიმართვის ტექსტის შემუშავება დაევალა ყრილობის პრეზიდიუმს. (ადს).

მხატვარ სარიანის სურათების დაღუპვა

ერევანი, 3 აპრილი. ბათომიდან მიღებულია დეპეშა, რომ მარსელიდან ბათომში მომავალ გემზე, რომელიც იდგა სტამბოლის ნავთსადგურში, გაჩნდა ხანძარი. ცეცხლში დაიღუპა სომხეთის სახალხო მხატვარ მარტიროს სარიანის 34 სურათი. ეს სურათები დახატული იყო პარიზში და თავის დროზე გამოფენილი იყო. განსაკუთრებით ძვირფასია მათგან 10 ტილო, რომელთა ასლი აღარ დარჩენილა.

პარტიული ცხოვრება
სკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 4 აპრილი. 3 აპრილის საღამოს სხდომაზე საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა მოისმინა ამხ. ზატონსკის მოხსენება მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მუშათა და გლეხთა მასების ჩაბმის შესახებ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად (ადს).

უჯრედთა სარევიზიო კომისიების მუშაობა

პარტმუშაობის წარმატებით წაყვანისათვის სხვა პირობებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციების ფინანსიურ და ტექნიკური მუშაობის მოწესრიგებას. დღემდე ამ საკითხს ჩვენ არ ვაქცევდით სათანადო ყურადღებას. ის მიჩნეული იყო და არის მეორეხარისხოვან საქმეთ. ამავე დროს, როგორც ამას მოწმობს თბილ. ორგანიზაციის მეოთხე რაიკომის მიერ ჩატარებული გამოკვლევა, ბევრ უჯრედებში მნიშვნელოვნად მოიკოჭლებს ფინანსიურ-ტექნიკური მუშაობა, რაც თავის დაღს აჩენს საერთო პარტიულ მუშაობაზე.

ასე მაგალითად არ სწარმოებს საწევრო გადასახადის სწორი რეგისტრაცია, საქმეები გაურჩეველი და ფორმალურად შეუსრულებელი რჩება. მთელი კვირეების და თვეების განმავლობაში, არ სწარმოებს მუშაობა ძირითად პარტაპარატის რაციონალიზაციისათვის და სხვა. ამ ნიადაგზე, ადგილი აქვს პარტდისციპლინის შესუსტებას (დავალიანება საწევ. გადასახადის შეუტანლობის გამო, პარტდატვირთვისათვის განაწილების მოუწესრიგებლობა და სხვა) და წვრილ ბოროტმოქმედებასაც (საწევრო გადასახადების გაფლანგვა, უჯრედის თანხების არა თავის დანიშნულებისამებრ გამოყენება).

თბილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომმა, იმ მიზნით, რომ ასეთ მდგომარეობისათვის ბოლო მოეღო, გადასწყვიტა შემოიღოს პარტუჯრედებში სარევიზიო კომისიების ინსტიტუტი და ეს გადაწყვეტილება კიდევაც გაატარა ცხოვრებაში. ამ ღონისძიებამ თავისი სარგებელი მოიტანა. სარევიზიო კომისიებმა სრული გამართლება ჰპოვა ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის დეფექტები, რომელიც მათი არსებობის პირველ ხანებში თან სდევს სარევიზიო კომისიების მუშაობას.

ზოგიერთ მათგანს არა აქვს გარკვეული თავიანთი უფლება-მოვალეობა. სარევიზიო მუშაობა წარმოდგენილია, როგორც მხოლოდ უჯრედების საფინანსო ოპერაციების შემოწმება. რაც შეეხება უჯრედის ტექნიკურ საქმეებს, სარევიზიო კომისიები მათ ხშირად არც კი ეხებიან. გარდა ამისა, რევიზიის ჩატარების დროს ხშირად კმაყოფილდებიან მხოლოდ ფაქტების აღნიშვნით და კავშირს არ იჭერენ რაიკომთან.

სარევიზიო კომისიები უნდა ამოწმებდენ საწევრო გადასახადის შეტანას, მის აღრიცხვას, დოკუმენტებს ფულის შესახებ, საქმეებს, ოქმებს, საქმეების თავის დროზე მოწესრიგებას, ტექნიკურ მუშაობის სისტემას და სხვა. სარევიზიო კომისიები მოხსენებებს უნდა აკეთებდენ თავიანთი მუშაობის შესახებ უჯრედის პლენარულ კრებაზე და პრაქტიკულ წინადადებებს უნდა იმუშავებდნენ პარტმუშაობის გამარტივება-გაუმჯობესებისათვის.

ამასთან ერთად სარევიზიო კომისიებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი პასუხისმგებელნი არიან უჯრედის ფინანსიურ-ტექნიკურ მუშაობისათვის.

ზ. ტ—ა.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები
(წერილი შორაპნის მაზრიდან)

შორაპნის მაზრაში ჩამოყალიბებულია სულ 9 თემკომი და ერთი სამრეწველო რაიკომი, რომლებიც აერთიანებენ 34 კომუჯრედს და 5 საკანდიდატო ჯგუფს. ამ უჯრედებში და საკანდიდატო ჯგუფებში ირიცხება სულ 813 პარტიის წევრი და 410 კანდიდატი. მაზრაში კი საერთოდ 60 კომუჯრედი ითვლება და 6 საკ. ჯგუფი, რომლებშიაც გაერთიანებულია 1.083 პარტიის წევრი და 870 კანდიდატი,—ასე, რომ თემკომების და რაიკომის გარეშე რჩება 26 კომუჯრედი და ერთი საკანდიდატო ჯგუფი 270 პარტიის წევრით და 460 კანდიდატით, რომელთაც უშუალო ხელმძღვანელობას სამაზრო პარტიული კომიტეტი უწევს.

ქალთა პროცენტი მთელ ორგანიზაციაში უდრის 2,60, რაც მეტად მცირეა. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

უფრო ცუდადაა შორაპნის მაზრის პარტორგანიზაციაში მოჯამაგირეთა რიცხვის ზრდის საკითხი. პარტიის წევრებათ და კანდიდატებათ ირიცხება სულ 14 მოჯამაგირე, ე. ი. 2,51 პროც. ეს იმ დროს, როდესაც შორაპნის მაზრაში ითვლება 495 მოჯამაგირე.

შორაპნის მაზრა როგორც სივრცით, ისე მოსახლეობით დიდია. არის თემები, რომლებიც მაზრის ცენტრიდან დაშორებულია 30—40 ვერსამდე. ასეთი პირობების გამო, რა თქმა უნდა, მხოლოდ ორი ინსტრუქტორის არ ძალუძს სათანადო მუშაობის წარმოება. უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ ზემდგომი პარტორგანოები მიაქცევენ ამ მდგომარეობას ყურადღებას და ინსტრუქტორების რიცხვი გაზრდილი იქნება თუნდაც აპარატში მომუშავეთა ხარჯზე.

წარსულთან შედარებით პარტიულ ორგანიზაციულ მუშაობას გამოცოცხლება ეტყობა, პარტიის წევრთა შორის იზრდება და მტკიცდება აქტიობა და თვითმოქმედება.

ამასთან ერთად ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევათ უნდა ჩაითვალოს, ყველა ძირითად პარტ-ორგანიზაციების გეგმით მუშაობაზე გადასვლა.

თანდათანობით უმჯობესდება უპარტიოთა შორის მუშაობაც. ისინი მრავლად ესწრებიან კომუჯრედების ღია კრებებზე და აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საკითხების გადაწყვეტაში.

ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს ზოგიერთ სოფლის თემკომების და უჯრედების სისუსტე. უკანასკნელნი სხდომებზე ამა თუ იმ საკითხს ვერ ამუშავებენ დამაკმაყოფილებლად და ოქმებში ზოგიერთი საკითხი სრულიად გაუგებრადაა გაშუქებული. საილუსტრაციოთ მოვიყვან ერთ-ერთ თემკომის სხდომის ოქმის ამონაწერს. მოისმინეს: „საზანოს კოლექტივის დაარსების შესახებ, რომელსაც აღნიშნავს ამხ. №, რომელიც ეს საკითხი არის სერიოზული და არ არის უბრალო, რომელიც შეეძლით ორმა კაცმა ამ საკითხის გადაჭრა მნიშვნელოვანი საკითხი“. დაადგინეს: „ვარდგენთ ეს საკითხი იქნეს გადატანილი გაერთიანებულ უჯრედების კრებაზე, რომელიც იქნეს ყოველივე გვარი საშუალება გამონახული, როგორც ეს იქნა სანიმუშო საკითხი“.

საკითხების ასე „დამუშავებას“ ერთის მხრით ნიშნავს თემკომის პ.-მგ. მდივნის სისუსტეს, მაგრამ მეორეს მხრივ კი უფრო მის გულგრილობას საქმისადმი.

მაზრაში მთლად ჩამოყალიბებულია 29 სადელეგატო პუნქტი, რომელიც აერთიანებს 814 ქალს. მათ შორის კომუნისტია 24, კომკავშირელი კი 44. ქალთა განყოფილებამ გახსნა 12 კოლექტიური სამკერვალო, რომელშიაც გაერთიანებული არიან ღარიბი გლეხი ქალიშვილები.

ქალები ჩაბმული არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ სამუშაოებში: გლეხკომებში, საბჭოებში, კოოპერაციაში, გამოყოფილი არიან მსაჯულებათ და სხვა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა შორის მუშაობა შორაპნის მაზრაში ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ამის მიზეზათ, სხვათა შორის უნდა ჩაითვალოს ერთის მხრივ ის, რომ ადგილებზე ამ მუშაობას სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ პარტორგანიზაციები, მეორეს მხრით კი ძალზე ხშირი ცვლა სამაზრო ქალთა განყოფილების გამგეებისა.

თითქმის ყველა მომქმედ საბჭოთა, კოოპერატიულ, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებში ჩამოყალიბებულია კომუნისტური ფრაქციები, უნდა ითქვას, რომ კომფრაქციების მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება.

წარსულში ამ მიმართულებით სხვადასხვა წვრილმან დეფექტებთან ერთად იყო შემდეგი უმთავრესი ნაკლი: კომფრაქციები თავიანთ სხდომებზე არჩევდენ ყველა იმ წვრილმან საკითხებს, რომლებიც უნდა განხილულიყო პლენუმის სხდომაზე. ამასთან ერთად კომფრაქციები თავიანთ სახეს მალავდენ და კომფრაქციის სახელით გამოსვლას ერიდებოდენ.

ღარიბ გლეხთა ჯგუფები ჩვენს მაზრაში ჩამოყალიბებულია მხოლოდ თემსაბჭოებთან, მაგრამ მუშაობა მათში სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას. უფრო მასიურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ღარიბთა კრებები, რომლებიც იმართება ამა თუ იმ საარჩევნო და სხვა კამპანიების ჩატარების დროს.

მუშაობის გაცხოველებისა და თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის, [illegible] ბევრ ადგილებს დაუგზავნა მთელი რიგი დირექტივებისა და მითითებებისა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ამ მხრივ ჯერ კიდევ ვერ გააუმჯობესეს ადგილებმა მუშაობა, და ზოგიერთ შემთხვევებში ადგილებზე გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ ღარიბთა ჯგუფში შეყვანილი იქნა მთელი თემის ღარიბი გლეხობა. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ადგილები ჯერ კიდევ ვერ არჩევენ და ვერ ერკვევიან ღარიბთა ჯგუფებისა და კრებების მნიშვნელობაში.

აღნიშნულ დეფექტებს სამაზრო კომიტეტი სათანადო ანგარიშს უწევს და ზომებს ღებულობს მათ აღმოსაფხვრელად. მაზრის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველნაირათ უნდა შეუწყონ ხელი სამაზრკომს პარტმუშაობის გაცხოველება-გაფართოების საქმეში.

მ. ბრეგვაძე.

მიმაგრებულთა მუშაობის შესახებ
(„უჯრედელი“-ს წერილის გამო)

„უჯრედელი“ „კომუნისტი“-ს № 68 დროულად ეხება ჩვენი პრაქტიკულ მუშაობის ერთ-ერთ მახინჯ მოვლენას, როგორც არის უჯრედზე მიმაგრებულის „მკვდარ სულად“ გადაქცევა. ქალაქისა და სოფლის უჯრედის მუშაობაში ეს უარყოფითი მოვლენა სხვადასხვა სახით აშკარავდება. ქალაქის უჯრედზე მიმაგრებული, ხშირად კარგად მომზადებული ამხანაგია, შეუძლია გაუწიოს ნაყოფიერი ხელმძღვანელობა უჯრედის მუშაობას, მაგრამ ის იმდენად არის დატვირთული სხვა მუშაობით, რომ ან სულ არ დადის კრებებზე, ან თუ ესწრება, არავითარ აქტიურ მონაწილეობას უჯრედის მუშაობაში არ ღებულობს. მართლაც წარმოუდგენელია გაუწიოს ხელმძღვანელობა უჯრედს ისეთმა ამხანაგმა, რომელიც შორს სდგას მისი მუშაობისაგან, არ არის გაცნობილი მის ყოველ წვრილმანს, საერთოთ არ არის საქმის კურსში. რაც შეეხება სოფლის უჯრედებს, იქ მუშაობა ასე მიმდინარეობს: თუ მიმაგრებულის მუშაობა მოისუსტებს, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ იგი ვერ არის სათანადოდ მომზადებული და არ შეუძლია გაუწიოს ხელმძღვანელობა უჯრედის წევრთა ისეთ შემადგენლობას, რომლის მომზადების დონე მაღალია, ვიდრე მიმაგრებულის. გარდა ამისა, ძალიან ხშირად მიმაგრებულის საქციელი სასაცილო ხასიათს ღებულობს. ერთ-ერთი სოფლის უჯრედში მიმაგრებული სისტემატიურად დადიოდა კრებებზე, მაგრამ ან „[illegible]“ სდუმდა, ან საერთო კრებაზე რაიმე ხმაურის დროს მედიდური პოზით წევრებს უტევდა და აჩუმებდა, ადმინისტრატორის როლში გამოდიოდა.

ჩემის აზრით მომავალში ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა: ქალაქის უჯრედებისათვის შერჩეულ იქნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც არ იქნებიან დატვირთული სხვა მუშაობით, რაც ხელს შეუშლის მათ ნორმალურ მუშაობას უჯრედში. ყოველ შემთხვევაში პარტიული ორგანიზაცია მიიღებს ზომებს, რომ მიმაგრებული გაანთავისუფლოს სხვა სახის პარტიული დავალებებისაგან. გარდა ამისა, პარტორგანიზაციამ ის ვალდებული უნდა გახადოს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ამ მუშაობას, ზედმიწევნით გაეცნოს უჯრედის მდგომარეობას, მიიღოს მონაწილეობა ბიუროსა და უჯრედის სამუშაო გეგმის შედგენაში და სხვა. სოფლის უჯრედში მიმაგრების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი პირების შერჩევას, რომლებიც თავისი მომზადებით დააკმაყოფილებენ უჯრედის წევრთა შემადგენლობის მოთხოვნილებას.

ნ. ფ—ძე.

კომკავშირში
აზერბეიჯანის კომკავშირის ყრილობა

ბაქო, 4 აპრილი. 3 აპრილს საღამოს სხდომაზე აზერბეიჯანის კომკავშირის ყრილობამ მოისმინა მოხსენება კომკავშირის მორიგი ამოცანებისა და სოფლად მუშაობის შესახებ. მომხსენებელი ამხ. ნაიდენოვი შეჩერდა პარტიის პოლიტიკაზე სოფლად და განაცხადა: „კომკავშირის მონაწილეობამ პარტიის პოლიტიკის გატარებაში სოფლად დიდი ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენს მუშაობაში. აზერბეიჯანში დაახლოვებით 10.000 კომკავშირელი ითვლება, რომელთაც თავისი მეურნეობა აქვთ. უჯრედების ამოცანას შეადგენს ღარიბ და საშუალო შეძლების კომკავშირელების გაერთიანება კოოპერაციაში და ამ მხრივ მაგალითის ჩვენება გლეხებისათვის. კოოპერაციაში გაერთიანებულ მეურნე—კომკავშირელების მუშაობის ცოცხალი ხელმძღვანელობის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეურნე—კომკავშირელების სპეციალურ თათბირებს სასოფლო მეურნეობის განსაზღვრული სახეების შესახებ. ამასთანავე ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხთა კონფერენციების მოწყობის საკითხს, რომელზედაც განხილულ იქნება სასოფლო მეურნეობის კოოპერაციაში გაერთიანებისა და მისი უფრო მაღალ კულტურის დონეზე დაყენების საკითხები. ზოგიერთ მაზრებში კომკავშირმა უკვე მოჰკიდა ხელი ამ მუშაობას (ნუხისა და სხვა მაზრებში). საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გაღრმავება, აქტიური მუშაობა სოფლის საბჭოსა და მის სექციებში, ურთიერთი დახმარების გლეხთა კომიტეტების ორგანიზაცია და სხვა—აი კომკავშირის უჯრედების საქმიანობის სარბიელი სოფლად.

კომკავშირის ზრდის მოწესრიგებას სოფლად დიდ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ჩვენი ორგანიზაციები. გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ მაზრებში (ჯებრაილისა და სხვა) კომკავშირის ორგანიზაციებში კულაკები არიან. საჭიროა მათი გამორიცხვა და კავშირის ზრდის გაძლიერება მოჯამაგირე ახალგაზრდობის საშუალებით. საჭიროა აქტივის შექმნა ღარიბ მუშებისა და მოჯამაგირეებისაგან. 2—3 წელიწადში ბოლო უნდა მოეღოს სოფლის კომკავშირის რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობას, რაც საკმაოდ დიდია. უნდა შევებრძოლოთ აგრეთვე სოფლის ყოფა-ცხოვრების ისეთ ავადმყოფურ მოვლენას, როგორიცაა: ლოთობა, ხულიგნობა, ბანქოს თამაში და სხვა. საჭიროა ბრძოლა აგრეთვე რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან, საყოფაცხოვრებო ტრადიციებთან და სხვა.

ამავე სხდომაზე ყრილობას მიესალმენ აზერბაიჯანის დივიზიის, უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის, ფიზკულტურულების და სხვა წარმომადგენლები. შემდეგ გაიმართა კამათი ამხ. ნაიდენოვის მოხსენების გარშემო. [illegible] (განჯის მაზრა) წინადადებას იძლევა, რომ ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას ზაფხულის სამუშაოებზე, განსაკუთრებით იაილაღებზე.

ხლებნიკო (სალიანის მაზრა) ლაპარაკობს სოფლის კომკავშირის კულტურული დონის აწევის საჭიროების და წიგნების ნაკლებობის შესახებ.

ემილ ცუგლერი აღნიშნავს, რომ განჯის რაიონში კომკავშირის უჯრედში მხოლოდ 30-მდე გერმანელია. [illegible] გერმანელი ახალგაზრდობა ცხოველად [illegible] საკავშირო მუშაობის წარმოება [illegible] გერმანელ ახალგაზრდობა [illegible] რებით ნაყოფიერი უნდა იქნას ეს მუშაობა [illegible] ელენენდორფის მე-2 საფეხურის [illegible] თავის [illegible] გერმანი[illegible] მთელი ამიერ-კავკასიაში [illegible]

ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების უფლებათა გაფართოების საკითხი*)

იყო დრო, როცა საბჭოთა მართველობის შენება წარმოებდა უკიდურესი ცენტრალიზაციის საფუძველზე. ცენტრალურ უწყებებს ჰქონდა გადაცემული ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეთა ნაწილის უშუალო გამგებლობა, ყოველი სახალხო კომისარიატი საჭიროდ სთვლიდა ადგილობრივი აღმასკომების ყოველდღიურ მუშაობაში ჩარევას, ხშირად უმნიშვნელო, წვრილმანი საკითხების გადაწყვეტის დროსაც.

ასეთ მდგომარეობას თავის დროზე ჰქონდა გასამართლებლად პატივსადები მიზეზები: საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში საბჭოთა ძირითადი აპარატი ჯერ კიდევ არ იყო ორგანიზაციულად ჩამოყალიბებულ-განმტკიცებული; არ იყო შესწავლილი ადგილობრივი სამართველო და სამეურნეო ორგანოების მუშაკთა შედგენილობა, დაწესებულებებში ბევრგან ჩამჯდარი ანტისაბჭოთა ელემენტები მუშაობდენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა ჩასაშლელად.

ამჟამად გვაქვს სულ სხვა სურათი. საბჭოთა ორგანოებიდან განდევნილია, ჩვენი კლასობრივი და პოლიტიკური მტრები; ისინი აღიკვეთენ საერთოდ პოლიტიკური ასპარეზიდანაც. ძირითადი აპარატი თვისობრივად გაიზარდა და განმტკიცდა. ჩვენ აღვზარდეთ საიმედო საბჭოთა აქტივი. ამასთანავე, სახალხო მეურნეობის ადმინისტრაციასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაფართოვდა და გართულდა ადგილობრივი საბჭოების მუშაობა.

ცხადია, საბჭოთა ორგანოების ურთიერთობის შენარჩუნება ძველი სახით უკვე არ არის მიზანშეწონილი. ზედმეტი ცენტრალიზმი ამჟამად მხოლოდ მავნებელია. საჭიროა ცენტრალურ უწყებათა განტვირთვა ზოგიერთი საქმეებისაგან და ამ საქმეების გამგებლობის მაზრაღმასკომებზე გადაცემა. აუცილებელია აგრეთვე თემსაბჭოების უფლება-მოვალეობათა გაფართოებაც მმართველობისა და მეურნეობის ზოგიერთ დარგებში. გარკვევით უნდა იქნას ჩამოყალიბებული სხვადასხვა საფეხურის საბჭოთა ორგანოების ფუნქციები. პარალელიზმი სხვადასხვა ორგანოების მუშაობაში მხოლოდ მაშინ აღმოიფხვრება, თუ თვითეულს სიზუსტით ეცოდინება თავისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს რომელიმე საქმის გაძღოლისათვის. ყოველ საქმეს მიჩნეული უნდა ჰყავდეს ერთი პატრონი.

ზემდგომმა საბჭოთა ორგანოებმა უნდა აწარმოებდენ ხელმძღვანელობას საერთო დირექტივების მიწოდებით, აგრეთვე ამ დირექტივების შესრულების სისტემატიური შემოწმებით. ამავე დროს ზემდგომი ორგანოები არ უნდა ერეოდენ ქვემდებარე დაწესებულებათა ყოველდღიურ ოპერატიულ მუშაობაში. ზევიდან წვრილმანი მზრუნველობის მოხსნა და საკუთარი თვითმოქმედების გაძლიერება ხელს შეუწყობს ადგილობრივი საბჭოების გამოცოცხლებას და მათ მიერ სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ადგილობრივი მართველობის დეცენტრალიზაციის საკითხი ამჟამად იპყრობს საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღებას. საკავშირო და რ.ს.ფ.ს.რ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებმა წამოაყენეს პროექტი საბჭოთა მართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობათა გაფართოების შესახებ. ამ საკითხის შესწავლა დავალებული აქვს ჩვენში ცაკის განსაკუთრებულ კომისიას.

ცხადია, ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების ახალ ურთიერთობის ჩამოყალიბება ადვილი საქმე არაა. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა გავითვალისწინოთ როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მიმდინარე ამოცანები, ისე ჩვენში არსებული კონკრეტული პირობები. ამ საკითხისადმი ფრთხილი მიდგომა მით უფრო საჭიროა, რომ რეფორმა უნდა შეეხოს საბჭოთა მმართველობის ყველა მომენტებს: ადმინისტრატიულ მართველობას, სოციალურ კულტურის ყველა დარგს (სახალხო განათლება, ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა), მიწის და სატყეო სამმართველოს, ადგილობრივ ბიუჯეტს, ადგილობრივ მრეწველობას, სასოფლო-მეურნეობას, სამაზრო აღმასკომისა და სათემო საბჭოს უფლება-მოვალეობათა დადგენის დროს საჭირო იქნება, ერთის მხრივ, ამ ორგანოებისათვის დღემდის მინიჭებულ ფუნქციების უფრო გარკვეულად და კონკრეტულად ჩამოყალიბება, მეორე მხრივ, მათზე ახალ მოვალეობათა დაკისრება სათანადო უფლებათა მინიჭებით—ადგილებზე დაგროვილი გამოცდილების მიხედვით.

განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი ადგილობრივი საბჭოების მუშაობის ცალკე დარგების მიხედვით.

1. ადმინისტრატიული და საერთო მმართველობის დარგი

თემსაბჭო წარმოადგენს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს თემის ტერიტორიაზე. მაშასადამე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი წესრიგისათვის სამოქმედო რაიონში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სათემო საბჭომ უნდა განახორციელოს, სხვათა შორის, სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახადის დადების საშუალებით. ამჟამად სათემო საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი შემდეგ საკითხებზე: ა) სანიტარულ ღონისძიებათა მიღება, ბ) სტიქიურ უბედურებების წინააღმდეგ საზოგადოებრივი ბრძოლის ორგანიზაცია და განხორციელება, გ) ხანძრის წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღება, დ) ეპიდემიის, ეპიზოოტიის და მცენარეთა მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლა, ე) ნათესებისა, ბაღებისა და სხვ. წაბლენის და გაფუჭების საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღება, ვ) გამვლელი ჯარების დაბინავება.

მას შემდეგ, რაც თემსაბჭო ორგანიზაციულად საბოლოოდ განმტკიცდა, შეიძლება მას მიენიჭოს სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლება აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, კერძოთ ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვის დარგში. ადგილობრივ პირობების მიხედვით, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე გადაეცეს თემსაბჭოს სოფლად ვაჭრობის წარმოების წესისა და ვაჭრობისათვის დანიშნულ ადგილების განწესრიგების შემუშავება-დადგენა.

მასთანავე, თემსაბჭოზე ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, მის მიერ მიღებული სავალდებულო დადგენილება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად მაზრაღმასკომის პრეზიდიუმს. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა დაეკისრება თემაღმასკომს.

არსებულ დებულების თანახმად (მუხ. 5 § 1) თემაღმასკომს ევალება დაიცვას საზოგადოებრივი მყუდროება თემის ფარგლებში, ებრძოლოს ბოროტმოქმედებას; ბოროტმოქმედების გამოაშკარავების დროს დააკავოს კიდეც ის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ საქმეზე და ამის შესახებ აცნობოს რაიმილიციის სამმართველოს. საჭიროა უფრო გარკვევით მოიხაზოს თემაღმასკომების უფლება დანაშაულობის და რევოლუციონური წესრიგის დარღვევის წინასწარ ასაცდენად, აღსაკვეთად და გამოსააშკარავებლად, თემაღმასკომს უნდა მიენიჭოს განსაზღვრულ შემთხვევებში (ქურდობა, შენობისათვის ცეცხლის წაკიდება, მკვლელობა და სხვა) მოკვლევის წარმოების, გაჩხრეკის, დაპატიმრების და სხვა, კანონით დაწესებულ მოქმედების შესრულების უფლება. სახალხო სამართლის სამოქალაქო დარგში თემაღმასკომი იმუშავებს საგამომძიებლო ხელისუფლებისა და საპროკურორო ზედამხედველობის ხელმძღვანელობით.

თემაღმასკომს შეიძლება გადაეცეს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება კანონიერ წესის თანახმად.

მოჯამაგირეთა და ღარიბი გლეხებისათვის საზიანო და დამამძიმებელ გარიგებათა გამოაშკარავებისას თემაღმასკომს უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს სახალხო სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი ასეთ გარიგებათა გაუქმების შესახებ. ამჟამად თემაღმასკომის უფლება ამ მხრივ გამოიხატება მხოლოდ ცნობების მიწოდებაში სათანადო ორგანოებისათვის.

თემაღმასკომს შეიძლება გადაეცეს ხელშეკრულებების დადება მორწმუნეებზე საყდრების და კულტის ქონების გადაცემის შესახებ.

მაზრაღმასკომს შეიძლება დაეკისროს იმ საზოგადოებათა წესდების დამტკიცება, რომელნიც მოქმედებას გაიშლიან არა მარტო თემის ფარგლებში, უკეთუ მათი მოქმედება არ სცილდება მაზრის ფარგლებს. ასეთ საზოგადოებათა დამტკიცებას ამჟამად აწარმოებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

მაზრაღმასკომი ხელმძღვანელობს მაზრის ფარგლებში მომქმედ ყველა საბჭოთა დაწესებულების საქმიანობას. მას უნდა მიეცეს უფლება არა მარტო გააუქმოს თავის ქვემდებარე დაწესებულებათა დადგენილება, არამედ შეაჩეროს, ზემდგომ ორგანოში დასაბუთებული პროტესტის წარდგენით, ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებების ადგილობრივ რწმუნებულთა ყოველი დადგენილება-განკარგულება, უკეთუ მას მაზრაღმასკომი სცნობს უკანონოდ. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა ცენტრალურ დაწესებულებათა ზოგიერთი წარმომადგენლობა მაზრებში თავს გრძნობენ ადგილობრივ ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებლად.

2. კულტურულ-სოციალური დარგი

სავსებით სწორია ის გეზი, რომელიც აქვს დასახული ამ დარგში მუშათა და გლეხთა ინსპექციის პროექტს. ადგილობრივი დაწესებულებანი, რომლებიც ემსახურებიან სათანადო ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის მოთხოვნილებებს, უნდა იმყოფებოდენ, როგორც საერთო წესი, ამ ერთეულის აღმასკომის ბიუჯეტზე. ადგილობრივ მნიშვნელობის კულტურულ-განმანათლებელი და სამკურნალო-სანიტარო დაწესებულებანი უნდა გადაყვანილ იქნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამაზრო და სათემო ბიუჯეტზე. ამ შემთხვევაში ადგილობრივ ბიუჯეტს უნდა აუნაზღაურდეს ყველა საჭირო ხარჯები სახელმწიფო სალაროდან. აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ სკოლებისა და საავადმყოფოების მომარაგების ის არანორმალური წესი, რომელიც დღეს გვაქვს. ადგილობრივ დაწესებულებათა მომარაგება სახელმძღვანელოებით, სახ. ხელსაწყოებით, მედიკამენტებით, და სხვა გაერთიანებულია ცენტრალურ უწყებათა ხელში. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს „ძიძობა“ მხოლოდ მავნებელია. ცენტრს არ შეუძლია გაითვალისწინოს ადგილების ყოველი წვრილმანი მოთხოვნილება, დროზე მიაწოდოს მათ საჭირო ნივთები, ყოველთვის შეამოწმოს გაგზავნილი ნივთების ვარგისიანობა და სხვა. სკოლისა და საავადმყოფოს უნდა მიეცეს უფლება უშუალოდ შეიძინოს დაწესებულებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში ყველა საჭირო ნივთი და ხელსაწყო. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს უნდა მიეცეს ინდივიდუალური ხარჯთ აღრიცხვისა და კრედიტის განკარგულების უფლება.

კულტურულ-განმანათლებელ და სამკურნალო-სანიტარო დაწესებულებათა ქსელის მოწყობის უფლება უნდა მიენიჭოს და ამ დაწესებულებათა გახსნა იმ აღმასკომს, რომლის ბიუჯეტზე იმყოფება დაწესებულება. გამონაკლისი ამ საერთო წესიდან შეიძლება დაუშვათ თემისათვის—ჩვენი სოფლის კულტურული ჩამორჩენილობის გამო. ჯერჯერობით თემში კულტურულ-განმანათლებელ და სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის დამტკიცების უფლება უნდა დავუტოვოთ მაზრაღმასკომებს. აქედან—დახურვის დაწესებულებათა ადმინისტრატიული გამგებლობა უნდა შეუნარჩუნოთ მაზრაღმასკომის სათანადო განყოფილებას. თემსაბჭოს ამავე დროს უნდა მიეცეს უფლება წარმოადგინოს თავისი კანდიდატები სკოლის გამგისა და მასწავლებელთა თანამდებობაზე და წამოაყენოს დასაბუთებული აცილება მაზრაღმასკომის განათლების განყოფილების მიერ დანიშნული პირის წინააღმდეგ.

რათა განტვირთვის სკოლები ზედმეტი მიმოწერისაგან, უნდა გაუქმებულ იქნას ოქმების და საწარმოო გეგმების წარდგენა განათლების განყოფილებაში. ამ მასალების გადასინჯვა უნდა ხდებოდეს ადგილზე სკოლის საინსპექტორო გამოკვლევის დროს.

სოციალურ უზრუნველყოფის დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პენსიების დანიშვნის საქმის გამარტივებას, ინვალიდების სხვადასხვა კატეგორიების ჩარიცხვის უფლება ეკუთვნის საექიმო-საექსპერტო კომისიას, ხოლო ინვალიდების პენსიაზე ჩარიცხვა—სამაზრო ბიუჯეტიდან [illegible] ფარგლებში უნდა დაეკისროს თემსაბჭოს. პენსიონერების აღრიცხვას ზედამხედველობის წესით უნდა აწარმოებდეს სოციალური უზრუნველყოფის სამაზრო ორგანო. გამარტივებული უნდა იქნეს პენსიების გაცემის წესიც.

3. საფინანსო-საბიუჯეტო დარგი

ადგილობრივი ბიუჯეტი უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განმტკიცდა. შემოსავლებულობა და ორგანიზაციულად ყალიბდება სათემო ბიუჯეტი. სათემო ბიუჯეტის დამტკიცება მიმდინარე წლიდან გამარტივებულია. დეფიციტიან მაზრებში ბიუჯეტების შედგენა სწარმოებს იმ ანგარიშით, რომ დეფიციტის მთელი სიმძიმე მოექცეს მაზრაღმასკომის ბიუჯეტში, რათა თუ შემდეგ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის გადამუშავება საჭირო შეიქნა, შემცირება ან თუ სხ. ცვლილება სრულიად არ შეეხოს თემის ბიუჯეტს, რომლის შესრულება იწყება მაზრაღმასკომის მიერ დამტკიცებისთანავე. სათემო ბიუჯეტი სდგება საკუთარი შემოსავლისა და მაზრაღმასკომის მიერ წინასწარ განსაზღვრული სახელმწიფო სუბვენციის ფარგლებში. ადგილობრივი ბიუჯეტ. განსამტკიცებლად მთავარი მნიშვნელობა აქვს საკუთარი წყაროების მოპოვებას. ამ მიზნით საჭიროა პირველ რიგში სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონებაში და სათევზაოებში ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონების წილის გადიდება და ამ წილის დაყოფა სამაზრო და სათემო მნიშვნელობის ქონებად. ასეთი დაყოფის დროს აღმასკომებმა წესად უნდა მიიღონ ამა თუ იმ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე; ამიტომ სათემო ბიუჯეტში უნდა მოაქციონ ძირითადი მეურნეობის ყველა საშემოსავლო წყაროები.

სამაზრო და სათემო აღმასკომებს უნდა მიეცეს უფლება უშუალოდ მიიღონ და თავისი საბიუჯეტო შემოსავალში ჩარიცხონ კანონით დაწესებული ანარიცხები ყველა იმ სახელმწიფო გადასახადისა თუ შემოსავლისაგან, რომელიც მათს სალაროში შემოდის.

უზრუნველყოფილ უნდა იქნას კრედიტების შეუფერხებელი გახსნა იმ შემთხვევებისათვის, როცა გვიანდება მაზრაღმასკომის ბიუჯეტის დამტკიცება. ახალ საბიუჯეტო წლიდან უნდა გაეხსნას კრედიტი: ყველა, უდეფიციტო ბიუჯეტის მქონეთ მაზრაღმასკომებს ყოველთვიურად წლიური დანიშნულების მე-12 წილი, ხოლო დეფიციტის მქონეთ—გასული წლის ხარჯთ-აღრიცხვის კვალობაზე.

ჩვენი მაზრების და თემების ფინანსიური ხელმოკლეობის პირობებში აუცილებელია განსაზღვრულ ფარგლებში კრედიტების გადაჯგუფების უფლების მინიჭება სამაზრო და სათემო აღმასკომებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს სასოფლო მოსახლეობის თვითდაბეგვრის სისტემის გაუმჯობესების საჭიროება. საქართველოს თემის სპეციფიური პირობების გამო თვითდაბეგვრის წესით აკრეფილი თანხა შეადგენს თემის ფაქტიური ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს. დღეს მოქმედი კანონის თანახმად, თვითდაბეგვრით მიღებული თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამს, რომელიც შეწერილი, თემში თუ სოფელში შემავალ ყველა მეურნეობაზე. ფაქტიურად აღნიშნული საზღვრის ნორმა გადალახულია თითქმის ყველა მაზრებში. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიეცეს მაზრაღმასკომს უფლება განსაზღვროს ამა თუ იმ შემთხვევისათვის თვითდაბეგვრის ნორმები თავისი შეხედულებისამებრ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მაზრაღმასკომი თვითდაბეგვრის გატარების დროს ანგარიშს გაუწევს ადგილობრივ პირობებს და არ გადავა პარტიის საერთო ხაზს თვითდაბეგვრის საკითხში. ადგილობრივ მუშაკებმა ცოტა რამ კი ისწავლეს სოციალისტური მშენებლობის შვიდი წლის მანძილზე.

4. მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა

თემაღმასკომს აქვს უფლება მოაწყოს საწარმო და დასდოს სამეურნეო ხასიათის ხელშეკრულება. საჭიროა ამ უფლების კონკრეტიზაცია და დამოუკიდებელ ბიუჯეტის მქონე თემაღმასკომებისათვის იურიდიული პირის უფლებების გაფართოება. ადგილობრივი მნიშვნელობის ზოგიერთი საწარმო, რომელიც ამჟამად სახელმწიფოს თუ მაზრაღმასკომის გამგებლობაში იმყოფება, შეიძლება გადაეცეს ქვემდგომ აღმასკომს იმ პირობით, თუ ის შესძლებს წარმოების მოვლა-პატრონობას და წესიერ ექსპლოატაციას.

ადგილობრივი მნიშვნელობის სანერგეები უნდა გადაეცეს მაზრაღმასკომებს. საცდელ-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უნდა მიეცეს მეტი დამოუკიდებლობა ოპერატიულ მუშაობაში.

მაზრაღმასკომის სამიწადმოქმედო განყოფილებას უნდა მიეცეს უფლება გასცეს შრომითი სარგებლობისათვის ადგილობრივ მნიშვნელობის სახელმწიფო საადგილ-მამულო ქონება, ამ ქონებიდან გამოყოს ნაკვეთები სკოლებისა, საავადმყოფოებისა და სხვა საჭიროებისათვის.

კომლთა გაყოფის და კომლთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების რეგისტრაცია უნდა დაეკისროს თემაღმასკომს, მაზრაღმასკომის სამიწადმოქმედო განყოფილებისათვის ზედამხედველობის უფლების შენარჩუნებით.

თემაღმასკომსავე შეიძლება გადაეცეს ხელშეკრულებათა რეგისტრაცია მიწის იჯარით გაცემის შესახებ ერთი წლის ვადამდე.

მაზრაღმასკომს უნდა დაეკისროს მიწათმოწყობის ჩატარების საქმის ხელმძღვანელობა მაზრის ფარგლებში; მიწათმომწყობთა შტატი გადაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტზე. თემაღმასკომს დაევალება ზედამხედველობა მიწათმოწყობის ჩატარებაზე ღარიბისეული გლეხობის ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეების დაცვა და ტყის პროდუქტების განაწილება (გარდა იმ წილისა, რომელიც მზადდება გეგმითი წესით) უნდა დაეკისროს მაზრის აღმასკომს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის საერთო კონტროლის შენარჩუნებით. სახელმწიფო სატყეოთა შტატი უნდა გადაირიცხოს ადგილობრივ ბიუჯეტზე—საჭირო ხარჯების ანაზღაურებით სახელმწიფო საშუალებებიდან. ეს ღონისძიება საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ მუდმივი ზედამხედველობა ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის დაცვასა და მოშენებაზე.

შეიძლება აღინიშნოს კიდევ მრავალი საქმე სხვადასხვა დარგში, რომელთა გამგებლობა და გაძღოლა შეიძლება გადაეცეს ადგილობრივ აღმასკომებს მათი მუშაობის გამოცოცხლებისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიმდინარე ამოცანების განსახორციელებლად მართველობისა და მეურნეობის დარგში.

საჭიროა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების უფლება-მოვალეობათა გადასინჯვის დაჩქარება. ამ რეფორმას მოითხოვს ძირითადად საბჭოთა აპარატის განმტკიცების და გაჯანსაღების საჭიროება. მშრომელი მოსახლეობა მოელის, რომ ახალი უფლებებითა და ფუნქციებით აღჭურვილი ძირითადი საბჭოთა ორგანოები უფრო მხნედ და ძალუმად აამუშავებენ მმართველობის ჩარხს საბჭოთა სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

დ. ქუჩულორია.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

უკანასკნელი მოგიკანი

დასრულდა ერთი შინაარსიანი და ნაყოფიერი სიცოცხლე!

გარდაიცვალა ნიკო ნიკოლაძე—ჩვენი ძველი ინტელიგენციის უხუცესი წარმომადგენელი. ძველი იყო იგი ასაკით და მოღვაწეობის ხანგრძლივობით, მაგრამ უკანასკნელ დღეებამდე ცოცხალი, მოძრავი და მომქმედი.

ამ დიდი მოღვაწის მუშაობის სხვადასხვა მხარე, სხვადასხვა ნაირს გამოძახილს პოულობდა საზოგადოებაში. მაგრამ ბევრი მისი ღირსებები და თვისებანი საზოგადოთ, მისი დიდი მოღვაწეობა ყოველთვის ერთხმად იყო ცნობილი. ნიკო ნიკოლაძის პოპულიარობა შედეგი იყო მისი გამჭრიახი ჭკუისა და დაუშრეტელი ენერგიისა. დიდი ერუდიციით აღჭურვილი, ბევრის მნახველი და ბევრის მომსწრე, ის სიკვდილის კარებამდე ყოველ საქმეს ახალგაზრდული ენერგიით და რწმენით შეებმებოდა ხოლმე. და ყველას სწამდა, რომ ნიკოლაძე აღწევდა კიდეც იმ საქმეებს, რომელსაც შეჰკიდებოდა, მთელ მის მოღვაწეობას ახასიათებს ერთი მთავარი ხაზი, რომელიც წითელ ზოლივით მიყვება მის ხანგრძლივ მუშაობას. ეს იყო ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის მოსაპოვებლად, მისი კულტურული განვითარების ახალი მტკიცე და მკვიდრი საფუძვლის ჩასაყრელად მისი ეკონომიკის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის განვითარების აუცილებლობა. ამ შეხედულებას ატარებდა იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მას ემსახურებოდა მუდამ. ამიტომაც იყო, რომ სადაც რამე ეკონომიური მნიშვნელობის საქმე გამოჩნდებოდა, ნიკოლაძეც იქ იყო და ხშირად ეს საქმეები მისი ინიციატივით იყო დაწყებული.

ამ საქმის სამსახურად ემზადა იგი ახალგაზრდობაში და სწავლობდა ეკონომიურ მეცნიერებას. მას ემსახურება მაშინაც კი, როცა თავის ჯიხაიში საკუთარი ბუდეს იჩენს და სამაგალითოდ აწყობს თავის კარ-მიდამოს. მისი მეურნეობა ერთი პირველი საჩვენებელი მეურნეობათაგანია იმერეთში ამისათვის იმწყვდევს თავს ეს დიდი კაცი ათეულ წლობით პატარა ჭაობიან ფოთში და აუარებელ ენერგიას ახარჯავს მისი ნავთსადგურის გაფართოების საქმეს. ამ იდეის სამსახურის, მისი განხორციელების სურვილი აკავშირებს მას ქალაქის თვითმართველობასთან, ჭიათურის შავი ქვის საქმესთან, ტყიბულის ნახშირთან, რკინის გზასთან, ბანკებთან, რიონზე ნაოსნობის საქმესთან, სარწყავი არხების გაყვანასთან და სხ. და სხ. ამ ხაზს არ ცილდება იგი შემთხვევით, რამოდენიმე წლის განმავლობაში სამშობლოს გარეთ დარჩენილი. ევროპაში ყოფნის დროს იგი ზრუნავს ჭიათურის შავ ქვაზე და სხვა ჩვენებურ საქმეებზე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სამსახურის სურვილი იზიდავს მას უკან სამშობლოსაკენ და, როცა აქ ეცნობა უკვე გაჩაღებულ სამეურნეო მუშაობას, ყველას მოუწოდებს გვერდში ამოუდგენ ამ მუშაობის მაწარმოებელ ხელისუფლებას, თანამშრომლობ მასთან.

ასეთი იყო ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის მთავარი ხაზი.

მაგრამ იგი მარტო მეურნეობაში მომუშავე როდი იყო. იგი იყო პირველი ქართველი პუბლიცისტი და იმავე დროს მათ შორის ერთი უძლიერესთაგანი. იგი იყო პუბლიცისტი არა მარტო საქართველოს, არამედ სრულიად რუსეთის მასშტაბით ჩერნიშევსკის და გერცენის თანამშრომელი და თანამოკალმე.

პოლიტიკაშიც და პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც მას ყოველთვის თავისი საკუთარი ადგილი ეჭირა. უხდებოდა ბრძოლა მისივე თაობის წევრებთან და შემდეგ ახლად გამოსულ ჯგუფებთანაც. ებრძოდა მას ჩვენი თაობაც, ახლად მოვლენილი მარქსისტული ინტელიგენცია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სხვებთან შეუდრეკელი და შეუპოვარი მოკამათე, ამ ჯგუფს განსაკუთრებულად ეკიდებოდა.

მე ვფიქრობ, რომ მისთვის ჯანს არ ეღალატა და სამუდამოდ არ მოგვშორებოდა, იგი კიდევ ბევრს გაკეთებას შესძლებდა. ამის საბუთი იყო მისი გაუტეხელი გული, ფხიზელი გონება და დაუშრეტელი ენერგია.

ნ. ელიავა.

ნ. ნიკოლაძის დამკრძალავ კომიტეტის სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შესდგა დამკრძალავ კომიტეტის სხდომა.

სხდომამ მოისმინა და დაამტკიცა საპროცესიო კომისიის მიერ გამომუშავებული წესი, რომლის მიხედვით დღეს, შუადღის 3 საათზე, ხელოვანთა სასახლეში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და წარმოთქმული იქნება სიტყვები განსვენებულის შესახებ.

ნაშუადღევის სრულ 4 საათზე ცხედარს გამოასვენებენ დამსახურებული საზოგადო მოღვაწენი და ხელოვანნი.

პროცესია გაივლის თავისუფლების მოედანს, სასახლის ქუჩას, რუსთაველის პროსპექტს და ჭავჭავაძის ქუჩით გაემართება მთაწმინდისაკენ. პროცესიის დროს წესრიგის დასაცავად, კომიტეტმა დაადგინა სთხოვოს ქალაქის კომენდანტს და მილიციას მიიღოს შესაფერი ზომები.

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ხელოვანთა სასახლეში შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის წინ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობის შესახებ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში, სიტყვა წარმოსთქვა ინჟ. წულუკიძემ.

პანაშვიდის განმავლობაში სიმებიანი ორკესტრი ასრულებდა სამგლოვიარო ჰიმნებს.

პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

სამაგალითოდ მუშაობდა დიდი-ჯიხაიშის თემსაბჭოს საალმშენებლო და საფინანსო სექციები

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს თელავის თემსაბჭოს განათლების სექციას

დიდი-ჯიხაიშის საბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი ჯიხაიშიდან)

დიდი ჯიხაიშის თემ-საბჭოსთან მოეწყობლია 7 სექცია: საალმშენებლო, საგზაო, სასოფლო-სამეურნეო, საექიმო-სასანიტარო, საფინანსო-საგადასახადო, კოოპერატიული და კულტურულ-საგანმანათლებლო. თემსაბჭო 81 წევრსა და 25 კანდიდატს აერთიანებს, რომელთა 95 პროცენტი ჩაბმულია სექციების მუშაობაში. სექციებზე ხელმძღვანელობა თემსაბჭოს და თემ-აღმასკომის მხრივ ძალზე მოისუსტებდა, ხოლო სექციების მოთხოვნილებებს თემ-აღმასკომი დროზე აქცევდა ყურადღებას, სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ შეუწყო ხელი ზოგიერთ სექციების მუშაობის გამოცოცხლების საქმეს.

საალმშენებლო სექცია

სექციაში საბჭოს 9 წევრს ირიცხება. დღემდის მას ქონდა 15 სხდომა, სადაც 24 საკითხია განხილული, სექცია მუშაობას აწარმოებდა წინასწარ შემუშავებული გეგმით. სექციის თაოსნობით შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: საექიმო პუნქტის, 7 წლედისა და 4 წლედების შენობები საფუძვლიანად იქნა შეკეთებული. დამთავრდა წარსულში დაწყებული აღმასკომის შენობის ორი ოთახის აგება, კლუბისათვის დამზადებულია იქნა 26 საჯდომი სკამი, ბაზრობისათვის გაკეთდა 16 ცალი და ფარდული; სექციის თაოსნობით საკრედიტო ამხანაგობა ამჟამად აგებს სახერხ ქარხანას. მიმდინარე საალმშენებლო მუშაობისათვის შეძენილია ხე-ტყის ნედლი, დასამუშავებელი მასალა, რომლითაც უნდა აშენდეს: საზაფხულო კლუბი, ბაზრის ყაფანი, სახალხო სახლი და მთლიანათ დამთავრდება აღმასკომის და სამი წლის წინეთ დაწყებული 9 წლედის შენობა, რომელიც დღესაც მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს. სექცია უდიდეს ყურადღებას აქცევს თემის კეთილმოწყობის საქმეს. მიღებულია სათანადო ზომები მთავარი ქუჩის დუქნების წინ ცემენტის ტროტუარების გასაკეთებლათ და ბაზარზე მდებარე არხების გადასახურავად.

სექციის მუშაობის ძირითად ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მის რიგებში და საქმიანობაში არ იყო ჩაბმული საბჭოს წევრებს გარდა ღარიბ და საშუალო გლეხობის, დელეგატ-ქალების და კომკავშირის აქტივი.

საგზაო სექცია

სექცია მუშაობას აწარმოებდა როგორც საგზაო მშენებლობის, ისე ბოგირების კეთების დარგში. სექციის თაოსნობით თემში აღრიცხული იქნა მუშა-ხელი და საქონელი. ორი ვერსის მანძილზე გაკეთდა ახალი საურმო გზა. დაზიანებული გზების ნაწილიც საფუძვლიანათ იქნა შეკეთებული. შეკეთდა 7 ბოგირი და სხვა. სექციაში 13 საბჭოს წევრი ირიცხება. დღემდის მას ქონდა 4 სხდომა, სადაც 6 საკითხია გარჩეული. არც ამ სექციაში, ჩაბმული საბჭოს არა წევრები.

სასოფლო-სამეურნეო სექცია

სექციის მუშაობა და მოცულობა არ იყო შეფარდებული ადგილობრივ მეურნეობის ხასიათთან. ჩატარებული საქმიანობა უმთავრესათ ტეხნიკური ხასიათისაა. სექციის მიერ არავითარი ღონისძიებები არ იყო მიღებული გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების და საქონლის საუკეთესო ჯიშების გასავრცელებლათ. სექცია მონაწილეობას იღებდა მიწის სადაო საკითხების მოგვარებაში, მაგრამ აქ იგი ადმინისტრატიულ გადახრას იჩენდა. დადგენილებებში აღნიშნულია იძულებითი წესი ამა თუ იმ მოქალაქეთა მიწის ჩამორთმევის შესახებ. სექცია დროზე არ უდგენდა თემსაბჭოს და თემ-აღმასკომს თავის დადგენილებებს დასამტკიცებლათ. მას ბევრი უშინაარსო და უაზრო დადგენილებები აქვს გამოტანილი, რომელსაც არავითარი პრაქტიკული შედეგი არ გამოუღია.

საექიმო-სასანიტარო სექცია

პრაქტიკაში წესათ შემოღებული იყო სექციასთან დროებითი ქვე-კომისიების გამოყოფა. ასეთი კომისიები იკვლევდნენ და თვალყურს ადევნებდნენ თემში არსებულ დაწესებულებების სანიტარულ მდგომარეობას. ცალკე უბნებშიც არსებობდა სისუფთავის დაცვის კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევდენ სექციიდან მიმაგრებული წევრები. ყურადღება ექცეოდა სანიტარულ განათლების საქმესაც. ექიმის მიერ მოსახლეობაში ტარდებოდა საუბრები საექიმო-სასანიტარო მნიშვნელობის საკითხებზე. გამოცემული იქნა სავალდებულო დადგენილება სისუფთავის დაცვის შესახებ. სექციის წევრებზე ტეხნიკურ სამუშაოების განაწილებას და მათ შემოწმების საქმეს ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამ სექციასაც ეტყობა ადმინისტრატიული გადახრა.

მაგალითად ოქმი № 2 ერთ-ერთ საკითხზე გამოტანილ დადგენილებაში ნათქვამია: ვინც დაარღვევს საექიმო-სასანიტარო სექციის დადგენილებებს, დამნაშავე დაჯარიმებული იქნება თემ-აღმასკომის თავმჯდომარის მიერ. საკითხავია, რა განმარტება მისცა თემ-აღმასკომმა ასეთ დადგენილებაზე სექციას? არავითარი.

საფინანსო-საგადასახადო სექცია

მუშაობის მოცულობით და შინაარსით ეს სექცია საუკეთესოთაგანია თემ-საბჭოსთან არსებულ სექციათა შორის. სექციაში მხოლოდ 11 საბჭოს წევრი ირიცხება. დღემდის ჩატარებულია 6 სხდომა, განხილულია 10 საკითხი. მუშაობა წარმართული იყო წინასწარ შემუშავებული გეგმით. სექციამ გამონახა მთელი რიგი ახალი საშუალებანი თემის ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროების გასადიდებლად. სექციის თაოსნობით თემში აღრიცხული იქნა ყველა სავაჭრო წამოწყება დარაბა-დუქნები, რომელთაც ადგ. ბიუჯეტის სასარგებლოთ ხდებათ სადარაბო წლიური შეფასებით გადასახადი. აღრიცხულია თემში მომუშავე ეტლები და მის მსგავსი გადასაზიდი საშუალებები, რომელთაც ასეთივე ხასის გადასახადები ხდებათ. სექცია იღებდა გადამწყვეტ ზომებს სასოფლო სამეურნეო გადასახადის და თვითდაბეგვრის თანხების დაჩქარებით აკრეფისათვის. სექცია მხურვალე მონაწილეობას იღებს საგლეხო სესხის რეალიზაციის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში. დღემდის განაღდებულია 2.000 მანეთის ობლიგაცია. სექცია ადევნებდა თვალყურს უპატენტოთ მოვაჭრეებს, მევახშეობას და მის მსგავს ბოროტმოქმედებებს. ყურადღება ჰქონდა მიქცეული ხმასაც, რომ თემსაბჭოს დადგენილებს გარეშე არავის მოეხდინა მოსახლეობის თვითდაბეგვრა.

კოოპერატიული სექცია

ამ სექციას დღემდის ორი სხდომა ჩაუტარებია, სადაც მცირე მნიშვნელობის საკითხებია განხილული. მისი მუშაობა მთლიანად უშინაარსოა. მას ერთხელაც არ მოუსმენია კოოპერატივის გამგის მოხსენება. ჩატარებულ სხდომების ოქმები დღემდის არც კი იყო გადაგზავნილი თემაღმასკომში. ერთი სიტყვით სექცია მხოლოთ ქაღალდზე არსებობდა, და არავითარი მნიშვნელოვანი საქმე არ გაუკეთებია.

კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია

მოსახლეობაში ტარდებოდა საუბრები საპოლიტგანმანათლებლო საკითხებზე. რამოდენიმეჯერ ჩატარებული იქნა ანტირელიგიური პროპაგანდაც. სექციის თაოსნობით დიდი ჯიხაიშის ქაშვეთის უბანში გაიხსნა 4 წლედი. ყურადღება ექცეოდა სათეატრო მუშაობის გამოცოცხლების საქმესაც. თუმცა ამ ზამთრის პერიოდში ალბათ ცუდი ამინდების გამო ამ მხრივ ბევრი არა გაკეთებულა რა. სექციას არ მოუსმენია თემში არსებულ კულტურულ დაწესებულება-ორგანიზაციების მოხსენებები, რაც მისი მუშაობის ძირითად ნაკლათ უნდა იქნეს მიჩნეული. ერთი სიტყვით ამ სექციის მუშაობა ვერ იყო შინაარსიანი და დამაკმაყოფილებელი. დღემდის სექციის ჩატარებულ 9 სხდომაზე 20-მდე საკითხია განხილული (ამ რიცხვში შედის სექციის ბიუროს ოქმები და მის მიერ გარჩეულ საკითხების რიცხვიც).

ასეთია დიდი ჯიხაიშის თემსაბჭოს სექციების საქმიანობა. მომავალში უნდა გაძლიერდეს სექციებზე ხელმძღვანელობა, მათი მუშაობის გაშინაარსიანების და გაუმჯობესების მიზნით. სექციებში საბჭოს წევრებთან ერთად უნდა ჩააბათ არა წევრებიც: ღარიბ და საშუალო გლეხობის, დელეგატი-გლეხი ქალების, სოფლის მშრომელი ინტელიგენციის და კომკავშირის აქტივი. თემაღმასკომმა სისტემატიურათ უნდა დასვას საბჭოს და თავის სხდომებზე სექციების თავმჯდომარეების მოხსენებები. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს სექციების შემდგომი მუშაობის გამოცოცხლებისა და გაჯანსაღების საქმეს.

ბიგა.

თელავის თემსაბჭო

(წერილი თელავიდან)

განათლების სექცია

განათლების სექცია ჩამოყალიბდა თემსაბჭოს არჩევნების შემდეგ და მუშაობას შეუდგა გ. წ. 5 მაისიდან. სექციაში ირიცხებოდა საბჭოს 20 წევრი. მათ შორის 7 ქალი.

სექციის სოციალური შემადგენლობა შემდეგია: 11 მასწავლებელი, 8 მოსამსახურე, 2 მუშა, 1 ექიმი და 1 დიასახლისი.

საანგარიშო ხნის განმავლობაში სექციის სხდომები ეწყობოდა ორ კვირაში ერთხელ, მხოლოდ სულ ჰქონდა 20 სხდომა, რაც ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. სხდომებს ესწრებოდა საბჭოს 17 წევრი და 79 არასაბჭოს წევრი, მათ შორის 48 ქალი არასაბჭოს წევრი, უმრავლესობა მასწავლებლობა.

სექციასთან არსებობს ბიურო, რომელსაც ჰქონია 4 სხდომა, ბიურომ თავის სხდომებზე დაამუშავა სამუშაო გეგმა და ნაწილობრივ მუშავდებოდა სექციის სხდომებს წესრიგი, ნაწილობრივ კი ეს წესრიგი მუშავდებოდა თვით სექციის სხდომებზე.

სექციის სხდომებზე გარჩეულია სულ 80 საკითხი.

სექციის სხდომებზე მოსმენილია მოხსენებები: სახალხო ბაღის, 1-ლი და მე-2 ცხრაწლედის, კურდღელაურის, გულგულის, ვარდისუბნის და მაღაროსკარის 4 წლედის სკოლების, მუსიკალური სკოლის და პოლიტგანის. აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაობის შესახებ სექციამ გამოიმუშავა არსებული ნაკლულოვანებების გამოსასწორებლად შესაფერისი ღონისძიებანი, რომელთაც ზოგის უკვე განხორციელებულა:

საბავშვო სკოლებში ღარიბი ბავშვები უფასოდ იკვებებიან; ხშირად ეწყობა მშობელთა მშობლების კრებები, ეცნობიან სკოლის მუშაობას და ეხმარებიან საჭირო შემთხვევაში სკოლას. მოეწყო სოფლად და ხელოსნებში 6 სამეცნიერო საღამო და სოფლად 4 წარმოდგენა. მშობლებთა მიერ სკოლიდან გამოყვანილ მოსწავლეთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. მუსიკალურ სკოლაში მოემატა ორი კლასი: სკრიპკის და სიმღერის და ეს სკოლა შეტანილ იქნა თემაღმასკომის ბიუჯეტში, მოწაფეთა 50 პროც. განთავისუფლდა სწავლის ფულიდან.

სექციების სხდომებზე მოსმენილ იქნა აგრეთვე ყველა სკოლების დამხმარე საბჭოების მოხსენებები, რის შემდეგაც სექციის მიერ მიღებულ ღონისძიებები გატარდა ცხოვრებაში.

სექციის წევრების მიერ გამოკვლეულია სამკითხველოები და სახალხო თეატრი, გამოკვლევის მოხსენების მოსმენის და სექციის მიღებულ ზომების შემდეგ განხორციელდა შემდეგი: გადადგმულია ნაბიჯები ცენტრალური სამკითხველოსთვის შენობის აგებისათვის; სამკითხველოს მუშაობა გადაყვანილია გეგმაზე; მოწყობილია სახ. თეატრთან მუდმივი დასი, დაწყობილია ამ თეატრის ცენტრ. გათბობა; ჩატარებულია მშობლებთა შორის სექციის წევრ ექიმის საშუალებით 10 საუბარი ჯანმრთელობის დაცვაზე.

განათლების სექციის საანგარიშო მოხსენება ჩატარდა თემ-საბჭოს სხდომაზე.

სექციას გამომუშავებული აქვს შემდეგი კვარტალისათვის სამუშაო გეგმა.

ყველა იმ მრავალ მიღწევებთან, რომელიც სექციას აქვს, აღსანიშნავია ზოგიერთი დეფექტებიც:

ა. სექციის წევრთა მხოლოდ 65 პროც. ესწრებოდა სხდომებს, საჭიროა მისი გაზრდა;

ბ. სექციის ბიუროს ჰქონია მხოლოდ 4 სხდომა, რომელზედაც გამოუმუშავებია სექციაზე გასარჩევი დღის წესრიგი. საჭიროა სექციის სხდომის წინ ყოველთვის ხდებოდეს ბიუროს სხდომა, რომელზედაც უნდა მუშავდებოდეს სექციის განსახილველად საკითხები და სხვა.

გ. სექციის მიერ არ ყოფილა გამოკვლეული სკოლების მდგომარეობა და მის შესახებ მოხსენებები უკეთებიათ მხოლოდ სკოლის გამგეებს. შემდეგისათვის რომ ნათელი და უნაკლული წარმოდგენა ჰქონდეს სექციას სკოლების მდგომარეობაზე, საჭიროა სექციის მიერ მათი უშუალოდ გამოკვლევა და მოხსენებების ისე მოსმენა.

ვან—ლი.

სენაკის საბჭო

(წერილი სენაკიდან)

საექიმო-სასანიტარო სექცია

საექიმო-სასანიტარო სექციაში 11 წევრია, მათ შორის 4 ქალი. სოც. მდგომარეობით 4 მოსამსახურე, 3 დიასახლისი, 4 გლეხი.

საანგარიშო წლის განმავლობაში სექციის სხდომა მოწვეული იყო 5-ჯერ. შესდგა ორჯერ, გაირჩა 4 საკითხი.

სექცია მუშაობდა წინასწარ შედგენილ გეგმის მიხედვით, გეგმა სდგებოდა სექციის მიერ და ქალაქის აღმასკომის მეშვეობით ამტკიცებდა საბჭო.

სექციის ბიუროს მუშაობა

სექციის ბიუროს მუშაობა სათანადოთ არ სწარმოებდა. სექციის ბიუროს არ ჰქონდა განსაზღვრული სხდომების დრო. ამიტომ არის, რომ 12 თვის განმავლობაში მხოლოდ 2 სხდომა შესდგა და ისიც გაირჩა მხოლოდ 4 საკითხი. თითქოს ქ. სენაკში ჯანმრთელობისა და სანიტარიის საქმე ზედმიწევნით იყოს დაცული.

სექციის მუშაობა

სექცია ადგენდა რა სამუშაო გეგმებს, მთავარ ყურადღებას აქცევდა ქალაქში სანიტარიის დაცვას. ამ მხრივ გაკეთდა შემდეგი: გამოკვლეულ იქნა ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. ქალაქის შენობების და დუქნების უკანა ეზოები გასუფთავდა. საავადმყოფოში გამოყოფილია ერთი მუდმივი საწოლი ქალაქის უკიდურეს ღარიბ გლეხთათვის დახმარების უფასოდ აღმოჩენის მიზნით. დაარსებულ იქნა ქალაქის პოლიკლინიკა, რომელიც მთლიანად ეკუთვნის ქალაქს და დიდ დახმარებას უწევს მშრომელ მოსახლეობას. ამნაირად ნაკაზი, მიცემული ამომრჩევლების მიერ, რაც გამოიხატებოდა ქალაქში სანიტარული წესების დაცვაში და საავადმყოფოში ერთი საწოლის დადგმაში ღარიბ მოსახლეობისათვის, შესრულებულ იქნა პირველი არა მთლიანად.

მაგრამ ყველაზე უფრო აღსანიშნავია პოლიკლინიკის მუშაობის გაჯანსაღება და მისი დახმარება მასასთან.

აღსანიშნავია, რომ სექციის წევრები ძლიერ ზანტად მუშაობდენ ზოგიერთების გამოკლებით. 11 წევრისაგან—სექციის სხდომებს დაესწრო სისტემატიურად 7 წევრი, ხოლო 4 წევრს თვალითაც არ უნახავს სექცია. სექციის წევრებს გააქტივება საკითხი არც კი დასმულა სექციის სხდომაზე და არც ბიუროში.

წევრები სექციას უნდა მიემაგრებოდა სამკურნალო დაწესებულებებზე მათთვის მეთვალყურეობის გაწევის და პირ-ვარამის შეწყვეტის მიზნით, სამწუხაროდ ეს საკითხი არავის მოსვლია აზრად, რაც უნდა მიეწეროს ბიუროს სისუსტეს.

სექციას არ დაუთვალიერებია ქალაქის განაპირა ქუჩები იქ სანიტარული წესების დაცვის მიზნით, თორემ ისეთ ანტისანიტარულ მდგომარეობას, განსაკუთრებით ზაფხულში, არ ექნებოდა ადგილი, როგორიც ეს იყო.

შემდეგი დიდი ნაკლი ის არის, რომ სექციის სხდომების მოწვევას აწარმოებდა არა ბიურო და მისი თავმჯდომარე, არამედ ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე, რაც არანორმალურია.

სექციას ამავე დროს არ ჰქონდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული საავადმყოფოსა, სამარის სადგურის და პოლიკლინიკის მუშაობისათვის. მართალია, უკანასკნელის გამოკვლევა მოხდა, მაგრამ რატომ არ შეიძლებოდა ერთი წლის განმავლობაში გამოკვლევა ამ დანარჩენ დაწესებულებების, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქალაქის საბჭოს არ ეკუთვნიან.

ამნაირად, სექციას შესრულებული აქვს ამომრჩეველთაგან მიცემული ნაკაზი ნაწილობრივ, მაგრამ საექიმო-სასანიტარო სექციის მეტი უნდა გაეკეთებინა ქალაქის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ბ. უჩანეიშვილი.

ჯილდო საუკეთესო სექციებს

სენაკის სამაზრო საკონკურსო კომისიის მიერ საუკეთესო მომუშავე სექციებისათვის დაწესებულ იქნა ჯილდოები, რომლებიც მიცემა საბჭოებთან არსებულ თვითეულ დარგის სექციას. სულ არის განსაზღვრული ექვსი ჯილდო:

1. საალმშენებლო და კეთილ მოწყობის სექციისათვის 1500 კუბიკური ფუტი ხე-ტყის მასალა, რომელიმე კულტურულ სოციალური დაწესებულებისათვის შენობის ასაგებად.
2. საგზაო და ხიდების სექციისათვის—30 კასრი ცემენტი ხიდ-ბოგირების ასაგებად, აგრეთვე ფულად 50 მან. ცემენტის გადასაზიდი.
3. საფინანსო-საგადასახადო სექციისათვის—მოეწყობა სამხედრო კუთხისა ტირით.
4. კულტურულ-საგანმანათლებლო სექციისათვის რადიო-მიმღების მოწყობა. ან სამასი მანეთის ღირებულების სასწავლო ხელსაწყოების შეძენა სკოლის კეთილმოსაწყობად.
5. საექიმო-სასანიტარო სექციისათვის—სამასი მანეთის ღირებულების საექიმო ხელსაწყოების შეძენა.
6. სასოფლო-სამეურნეო და საკოოპერაციო სექციისათვის—სამასი მანეთის იარაღების გადაცემა თემაღმასკომებისათვის—გასაქირავებელი პუნქტის მოსაწყობად.

აგრეთვე რამოდენიმე საუკეთესო სექცია, წარდგენილი იქნება დასაჯილდოვებლად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ რესპუბლიკანურ საკონკურსო კომისიაში.

ანგარიშის ჩატარების კამპანია ამავე მაზრაში უჩვეულო ზამთრის გამო ვერ დაიწყო განსაზღვრულ ვადაზე. ამჟამად კი მიმდინარეობს გაცხოველებით ღარიბთა წინასწარი კრებები. ზოგიერთ თემებში ანგარიშგება სავსებით დამთავრებულია. ამომრჩევლები დიდ აქტივობას იჩენენ საბჭოების მუშაობის შეფასებაში.

ნიკო ნიკოლაძე

გარდაიცვალა ნიკო ნიკოლაძე ადამიანი, რომელიც 65 წლის მანძილზე ღებულობდა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რასაკვირველია, ამ დიდი ხნის სიგრძეზე მისი მონაწილეობა ყოველთვის ერთგვარი არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც თავის სიცოცხლის მიხედვით, ისე მისი შინაარსით.

საქართველომ ამ ხნის განმავლობაში თავის განვითარების დიდი გზა გაიარა, სხვადასხვა იყო მისი საზოგადოებრივ ძალთა შემადგენლობა, სხვადასხვა იყო ამ ძალთა წინაშე წამოჭრილი ამოცანები და მიზნები. ნიკოლაძეც ამ ძალთა შეხლა-შემოხლასა და მათი შორის ატეხილ ბრძოლის ერთი მონაწილეთაგანია.

როგორც საზოგადო სარბიელზე მომუშავე, ის განსაზღვრული კლასისა და წოდების შვილი იყო, ამ კლასისა და ამ წოდების დამცველი და მოამაგე. ამ მხრივ ის არ შეადგენს არავითარ გამონაკლისს; ის არ ეკუთვნოდა იმ რამოდენიმე რჩეულთა რიცხვს, რომელიც დიდის თუნდა სიმწარითა და თავის თავზე ძალდატანებით აჯერებს თავისი კლასის მიტოვებას და სხვა კლასის მხარეზე, სხვათა ბანაკში ჩადგომას და მასთან ბრძოლას.

მიუხედავათ ამისა ნიკოლაძე მაინც შესანიშნავი პიროვნება იყო.

პირველ ყოვლისა ის ერთათ ერთი იყო იმ თავისიანებთა შორის, რომელსაც გაცილებით უფრო უკეთესათ ესმოდა ისტორიის სვალი გზების ხვეულება. მას ჩინებულათ ჰქონდა გათვალისწინებული ის, თუ „რა უშველის აზნაურობას". ნიკოლაძე ამ წოდების შვილია, მაგრამ მან ისიც იცის ზედმიწევნით, რომ ამ წოდების ასე შენარჩუნება აღარ შეიძლება, ის ბევრ სიკეთესა და დამსახურებას აკუთვნის ამ წოდებას, მაგრამ მან კარგათ იცის ისიც, რომ „ამოდენა აზნაურობა ერთობ მძიმე და აუტანელი ტვირთია ხალხისათვის", ვინაიდან „რომელიმე პაწია ერს" არ შეუძლია ამოდენი „უქმოებლათ სარჩენი" ხალხის შენახვა.

ნახულობს თუ ვერა, ნიკოლაძე აზნაურობისათვის საშველს, მისი გაჭირვებიდან გამოსასვლელ გზასა და სადს?

რასაკვირველია ვერა, ან და პოულობს ისეთს, რომელიც არ ვარგა იმისათვის, რომ გადაარჩინოს „ეს წოდება, უმრავლეს შემთხვევაში მაინც ნარჩევი ნაშთი საქართველოს უმჯობესის წარმომადგენლობისა"1).

ნიკოლაძემ სწავლა უცხოეთში დაათავა, ის საფრანგეთში სწავლობდა და ამიტომ მან კარგათ შეითვისა ის აზრი, რომ „მრეწველობის უქონლობა ცხადია უდიდესი ნიშანია ქვეყნის ჩამოქვეითებისა და უკან ჩამორჩენის". აი ამაზე უთითებს ის თავად-აზნაურობას.

ბატონ-ყმობა გაუქმებულია, გლეხი „თავისუფალია". მართალია ეს „თავისუფლება" იმგვარია, რომ კიდევ აძლევს თავადაზნაურობას საშუალებას უქმათ და უდარდელათ იცხოვროს, მაგრამ ნიკოლაძემ იცის, რომ ეს მოვლენა დროებითი და წარმავალია. დღეს უპირატესობა ფულსა და შეძლებას ეკუთვნის, საჭიროა, რომ თავად-აზნაურობამ ხმალი შეატრიალოს, ახალ ცხოვრებას ალღო აუღოს, ერთ წერტილზე არ გაიყინოს და ამ ახალ პირობებშიაც საუკეთესო ალაგი დაისაკუთროს.

ნიკოლაძე ამასაა მოწადინებული, ვინაიდან მას სწამს, რომ „არც ერთს ახალ გამოსულ მოდგმას არ უღვივის გულში ისეთი ღრმა და ისეთი მხურვალე ურთიერთისადმი სიყვარული ოჯახის თუ გვარის სხვადასხვა წევრებს შუა, როგორც ამ (თავად-აზნაურობაზეა ლაპარაკი პ. ს.) წოდებას"2).

გულწრფელათ სწამს ნიკოლაძეს ეს აზრი და ეს მით უფრო ამტკიცებს, რომ იგი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია ამ „მაღალი წოდების".

ამასთან ერთად მას ღრმათ სწამს, ისიც, რომ „დაბალ წოდებაში ოჯახის წევრებს შუა, თუნდა მამასა და შვილს შუა, ან ძმებ შუა, თითქმის ისეთი მსუბუქი და უძლური კავშირია, როგორც პირუტყვებ შუა"3).

აი ამიტომ ის გულამღვრეულია თავად-აზნაურობის საქციელით, რომელსაც არ გააჩნია, თურმე ყუათი, რომ შეიგნოს ახალი ცხოვრების გარდაუვალი კანონების სიმკაცრე და თავის თავის სასიკვდილო ლახვარს თვითონვე ამზადებს.

1870 წლის დამდეგს უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ, ის ასე სწერს „დროებაში":

„ვინც მე ბრძოლაში და ჯაფაში მეგულებოდა გარეული, ისინი მშვენიერ სასახლეებში: აბრეშუმით და ხავერდით შემკულნი დამხვდენ"4).

ნიკოლაძე მათ შესახებ გულდაწყვეტილ, ამბობს:

„...ისინი სიუხვეს დიდკაცობასა და სიამოვნებას შეჩვევიან და შიგ ნიჭი და ახალგაზრდობა ჩაუფლავთ"5).

დროთა სვლამ თავისი გაიტანა. თავად-აზნაურობა—ეს „მაღალი წოდება", („ნაშთი საქართველოს უმჯობესი წარმომადგენლობისა") როგორც კარჩაკეტილი მეურნეობის მესვეური, საქართველოში,—ამ კაპიტალისტურ ურთიერთობის გზაზე დამდგარი ქვეყანაში, მგლის შიშით დაფანტულ ფარას წარმოადგენს.

„კედელი შუბლით ვის გაუტანიაო"—ასე ამბობს ის თვით ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ—და ხვალინდელი დღის ზრუნვაზე ხელაღებული მამაპაპისეულ ქონებას ბზესავით აბნევს.

თავად-აზნაურობა, როგორც „მაღალი წოდება", თავად-აზნაურობა, ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისაგან ჩამოშორებული და ახალ ცხოვრების დუღილში უმოქმედოთა და უმოძრაოთ ჩარჩენილი, კარგავს ყოველივე ძალასა და გავლენას. მისი მეხვეური ატყობს, რომ „აზნაურობის მაზანდა დღეს ნამეტნავათ დავარდნილი გახლავს".

ნიკოლაძეს ერთ ხანს კიდევ აქვს იმედი თავად-აზნაურობის საქმის შემობრუნების, ვინაიდან მის ხელში ეგულება მიწა-წყალი. „უძვირფასეს სიმდიდრეთ მხოლოთ მიწა-წყალია მიღებული, რადგანაც მარტო ეს არის მუდმივი მომცემი მოსავლისა, შეურყეველ საფუძველი კერძო პირის, მთელი ერის და თვით სახელმწიფოს კეთილდღეობისა". ამის იმედითაა ერთ ხანს ნიკოლაძე; ამიტომაცაა, რომ ის, ილია ჭავჭავაძისებურათ თითქმის ერთად-ერთს ხსნას თავად-აზნაურობისათვის საადგილ-მამულო ბანკების დაარსებასა და მოწყობაში ხედავს.

„ჩვენი მეურნეობის ასამაღლებლათ, თუ საშველათ სხვა საგანი და ძალა არა გვაქვსრა, გარდა ამ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკისა (თბილისის), რომელსაც დღეს იქით, იმედია, დიალაც შეეძლება დიდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას"6).

ადგილ-მამული ხომ ნიკოლაძეს თავად-აზნაურობის ხელში ეგულებოდა და ბანკებიც სწორეთ ამ ადგილ-მამულში მოწყობილ მეურნეობის დაწინაურებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ეხლა არ იცის, რომ თავად-აზნაურობის სრულ გაკოტრებას და უმიწაწყლო დარჩენას სწორეთ ამ ბანკებმა შეუწყო ხელი. მცონარეობასა და უსაქმურობას მიჩვეული ხალხი ბრძოლას, გარჯას, რასაც ასე გულმოდგინეთ ურჩევდა ნიკოლაძე, ვერ შეეჩვია.

* * *

ვერაფერი სარგებლობა მოუტანა თავადაზნაურობას ნიკოლაძის წერამ და ქადაგებამ. გადატრიალდა ისტორიის ჩარხი და ერთი კლასი, გუშინ ცხოვრების სათავეში მდგომი, უფსკრულისაკენ გადაეშვა. გადარჩა თითო ოროლა, მაგრამ, თავად-აზნაურობა როგორც კლასი განადგურების გზიდან ველარ შემობრუნდა.

ატყობდა, თუ არა ამას ნიკოლაძე? უსათუოთ!

როგორ იმოქმედა ამ გარემოებამ მაზე? ააღებინა, თუ არა მას ხელი საზოგადოებრივ საქმიანობაზე?—არა!

ნიკოლაძემ კარგათ მოხაზა ცხოვრების ახალი პირობების ზედაპირი, ჩინებულათ შეიგნო და შეითვისა ეს პირობები და ახალ, აღმავალი, კლასის (ბურჟუაზიის) რიგებში ჩადგა.

ვინ გაიგებს რამდენ ხანს გაიყოლია კიდევ მან გულში ამ „უმჯობესი ნაშთის" ქირისუფლობა, მაგრამ მის საქმიანობისათვის ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია.

იწყება 80-იანი წლები, ეს ის დროა, როდესაც ჩვენში სწრაფად იზრდება ახალი ცხოვრების ყლორტები. აქა-იქ ცის კამარაში თავი მისცა ქარხნის მილიდან ამოსულმა ბოლმა, საქართველოს ხევებსა და ბილიკებს გვერდში გაეკრა „ცეცხლის ეტლი" (მაშინ ასე ეძახდენ რკინის გზას).

ნიკოლაძემ კარგათ იცოდა, რომ კავკასია საზოგადოთ და საქართველოც კერძოთ რუსეთის კაპიტალიზმის წყალობით სწრაფათ ებმის მსოფლიო ბაზრის აღებ-მიცემობაში, ამიტომ ის მიილტვის იქ ამ ახალი წყაროს, ახალი ძალის სათავისაკენ.

1882 წლის ზაფხულის დამლევს ის პეტერბურგს მიემგზავრება.

აქ ის უმთავრესათ გაბმულია „საქმიანი ხალხის" წრეებში. მართალია, ის მსახურობს, მაგრამ სამსახურიდან ერთად და მის გარეშე აინტერესებს სხვადასხვა პრაქტიკული საქმეების მოგვარება.

ეს ხანა მისი მოღვაწეობისა არ არის იმდენათ ნაყოფიერი ლიტერატურაში და პუბლიცისტიკაში.

ის ეხლა თითქოს უფრო მეტს (არ მინდა ვთქვა განსაკუთრებულს) მნიშვნელობას საქმიანობას, რუსები რომ „დელიაჩესტვოს" ეტყვიან, იმას ანდომებს.

1894 წელს ნიკოლაძე უკვე ფოთის ქალაქის თავათ აირჩიეს, მაგრამ მარტო ამ პატარა ჭაობით სავსე ქალაქში არ ეტევა მისი საქმიანობა.

არ არის საჭირო—და ეს ძნელიც იქნებოდა ასე სახელდახელოთ, — ყოველივე იმის ჩამოთვლა, რაც გაკეთდა ნიკოლაძის თაოსნობითა და მონაწილეობით. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მას საქართველოში სწორი და ტოლი არ ჰყოლია.

ნიკოლაძის საქმიანობა რუსეთის პირობებში მიმდინარეობდა და, რასაკვირველია, მარტო მის ნიჭსა და გამჭრიახობას არ მიეწერება მისი მუშაობის ასეთი ნაყოფიერება. უეჭველია, თუ ყოველთვის არა, ზოგიერთ შემთხვევებში მაინც, მას სჭირდებოდა ისეთი ზომებისათვის მიმართვა, რომელზედაც ამბობენ ხოლმე «цель оправдывает средства».

1917 წლის შემდეგ ნიკოლაძეს ჩვენ ვხედავთ, როგორც დამფუძნებელი კრების წევრსა და აქ „ეროვნულ დემოკრატების" პარტიაში შემავალს.

მისი ამდროინდელი მოღვაწეობა—ეს ასე ვთქვათ, გუშინდელი დღის ამბავია.

აქ საგულისხმოა ის, რომ ნიკოლაძე, თუ მას ამ პარტიის პროგრამა კი სწამდა (ჩვენ კი არ გვაქვს არავითარი უფლება, რომ ამაში ეჭვი შევიტანოთ), სწამდა ალბათ ისიც, რომ საქართველოს დაწინაურება და წინსვლა შესაძლებელი და მოსახერხებელია ეროვნულ კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზე. ისტორიის მსვლელობამ ბურჟუაზიას წესი აუგო საქართველოში და ამით, რასაკვირველია, ნიკოლაძის პოლიტიკურ რწმენის დაღუპვა აუცილებელი გახადა.

* * *

ადამიანი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე გაცილებით მეტ დროს საზოგადოებრივ საქმიანობას (როგორიც არ უნდა იყოს ის თავისი შინაარსითა და მიმართულებით) მოანდომებს, არ შეიძლებოდა გაქცეოდა პოლიტიკას.

ვერ გაექცა მას ნიკოლაძეც.

საინტერესოა ამ მხრივ გავაყოლოთ თვალი ნიკოლაძის მოღვაწეობას.

ზოგიერთი ჩვენი მკვლევარები ნიკოლაძეს იხსენიებენ როგორც სოციალისტსა და „რევოლიუციონური რადიკალიზმის" მომხრეს.

არც ერთი არც მეორე სინამდვილეს არ შეეფერება.

ამის დამტკიცება ძალიან ადვილია, თუნდა თვით ნიკოლაძის დამოწმებით.

ნიკოლაძის პატივსაცემისათვის სრულებითაც არ არის საჭირო სოციალისტური ხალათის ჩაცმევა. ეს არ იყო საჭირო მის სიცოცხლეში, მით უმეტეს არაა საჭირო დღეს, მისი სიკვდილის შემდეგ.

აი, რას სწერს თვით ნიკოლაძე თავის პოლიტიკური მიმართულების შესახებ:

„ჩემი მიმართულება გამოისახა ჯერ კიდევ ჩემი საზღვარგარეთ წასვლის წინ. ჩემი მიმართულების გამორკვევაზე დიდი გავლენა მოახდინა 1862—1863 წ. წ. ამბებმა, მეტადრე პოლონეთის აჯანყებამ და მთავარ თავისი დებულებებით ჩემი მიმართულება წინააღმდეგი იყო ჰერცენის მოძღვრების"7).

თუგინდ მარტო ეს კმარა ნიკოლაძის სოციალისტობისა და „რევოლიუციონური რადიკალიზმის" გასაბათილებლათ. საჭირო იქნება მხოლოთ თვით ნიკოლაძეს ვათქმევინოთ, თუ როგორ უყურებდა ის პოლონეთის აჯანყების ამბავს. ნიკოლაძე დიდი მოწინააღმდეგე იყო საქართველოში (მეფის დროს!!) „ნაციონალური დამოუკიდებლობის იდეებით გამსჭვალვისა". ერთს თავის წერილში, სადაც ის ამ საკითხს ეხება, სხვათა შორის პოლონეთის აჯანყებასაც იხსენიებს და სწორეთ ამ მაგალითით უნდა დაამტკიცოს „დამოუკიდებლობის იდეების" უვარგისობა. აი რას სწერს ის:

„ჩვენ გამოვთქვამთ მხოლოთ იმ აზრს, რომ ამ იდეის (ნაციონალური დამოუკიდებლობის) განვითარებას, ჩვენის აზრით შეუძლია მნიშვნელოვანი და მეტათ დიდი უბედურება მოუტანოს ქართველი ხალხის მატერიალურ და გონებრივ განვითარების საქმეს, იმაზედაც რომ არ ვილაპარაკოთ, რომ ნაციონალური იდეის ზედმეტ გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც სულ ახლო ხანში ტყავი გააძვრეს პოლონეთს"8).

აი, ასეთი იყო ნიკოლაძის დამოკიდებულება პოლონეთის აჯანყებისადმი და ის უბრალო „რევოლიუციონური რადიკალიზმი", რომელიც ჰერცენს ცოტა იყო თუ ბევრი, მაინც ჰქონდა, ნიკოლაძეს მისაღებათ და ხელსაყრელათ არ მიაჩნდა. ამას ის თავისი პირით ლაპარაკობს.

მართალია ნიკოლაძემ იცოდა, რომ

„კაცობრიობას ბედათ როდი დამყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება"9).

იცოდა და სწამდა ისიც, რომ

„კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირად გაიწყობს თავის ცხოვრებას, რომ სხვა არავინ ტვირთად არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს"10).

მაგრამ მას ისიც მტკიცეთა და ურყევათ სწამს, რომ

„საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა11) (ხაზი ჩემია პ. ს.).

გარდა ამისა, ჩვენ ყველამ უნდა გვახსოვდეს, რომ ნიკოლაძე არასოდეს არ მალავდა თავის უარყოფითს დამოკიდებულებას, როგორც „რევოლიუციონურ რადიკალიზმთან", ისე სოციალისტურათ ცხოვრების მოწყობასთან.

— მე არ მრწამს „კომუნიზმის ეკონომიური შესაძლებლობაო"—განაცხადა ნიკოლაძემ ამ რამოდენიმე თვის წინათ, შარშან, ერთი-ერთ საჯარო კრებაზე. ეს იყო მისი გულწრფელი თქმა და მიძღვნა, მისთვის სოციალისტის ხალათის ბოძება სრულებით არ არის საჭირო.

„თქვენ გვისაყვედურებთ, რომ თქვენ მდგომარეობაში არის უხერხულობა და საფრთხე. ეს აუცილებელია თქვენს მდგომარეობაში. ჩვენ არ დაგვიძალებია თქვენთვის ეს მდგომარეობა. თქვენ თვითონ მოინდომეთ ორს სკამს შუა ჯდომა"...

„—ამაში თქვენი აღმატებულებავ, თქვენ სასტიკათ სცდებით, მე ორივეს გარეშე ვდგევარ12) (ხაზი ჩემია პ. ს.).

ასე მოგვითხრობს თვით ნიკოლაძე ერთს მის ცხოვრებაში 1884 წელს მომხდარს ამბავს, როცა ის ვ. კ. პლევეს, იმდროინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, ემუსაიფებოდა.

შეიძლება ნიკოლაძემ „არ გაუმხილა" პლევეს თავისი რწმენა, მაგრამ განა მანვე არ განაცხადა 1888 წელს ცნობილი რენეგატის ლევ ტიხომიროვის წიგნის („რატომ დავანებე თავი მე რევოლიუციონერობას") გამოსვლის თაობაზე იმდროინდელ „ნოვოე ობოზრენიეში", რომ მან ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ მიიღო, შეითვისა ის აზრი, რასაც ეხლა ტიხომიროვი აღიარებსო.

შეიძლებოდა ამ ადგილის სრულათ ამოწერა, მაგრამ ეს მგონია ზედმეტი იქნებოდა. ყოველ ამ შემთხვევაში, ვინც დაინტერესდება, შეუძლია მონახოს ზემოხსენებული გაზეთის 1888 წლ. № 1620.

საჭიროა მოვიხსენიოთ ორიოდე სიტყვით ნიკოლაძის მონაწილეობა იმ მოლაპარაკებაში, რომელიც გამართა 1882 წელს ეგრეთწოდებულმა „სვიაშჩენნაია დრუჟინამ" „ნაროდნაია ვოლიას"-თან.

„სვიაშჩენნაია დრუჟინა" მეფის „კარის კაცების" ორგანიზაცია იყო, რომელიც ისახავდა მიზნად მეფის დაცვას და ტერორისტებისაგან მის გადარჩენას. ნიკოლაძე დარწმუნებული იყო, (ამას ის თვითონ არ მალავს), რომ იმდროინდელი რევოლიუციონერების მოქმედება ქვეყანას დაღუპვის მეტს არაფერს მოუტანდა და ამიტომ იკისრა მან მოლაპარაკება, იმის შესახებ, რომ რევოლიუციონერები და მთავრობა წასულიყვნენ ურთიერთ დათმობაზე, მაგრამ ამ მოლაპარაკებამ არავითარი შედეგი არ მოიტანა.

რევოლიუციონური პარტია და ალექსანდრე მესამე ერთმანეთში ვერ მორიგდენ და არც შეიძლებოდა მორიგებულიყვნენ.

ასეთი იყო ნიკოლაძის დამოკიდებულება რევოლიუციასთან, ასეთი იყო მისი პოლიტიკური მიმართულების სახე.

სოციალიზმის მოწონება შეიძლება იყო ერთ ხანს დაბუდებული მის შეგნებაში, ეს იმ დროს, როდესაც ის უცხოეთში იყო სასწავლებლად წასული. ამის შესახებ თვით ნიკოლაძე ძალიან მოკლედ ამბობს: „მე გამომაგდეს გაზეთიდან სოციალისტური მიდრეკილებისათვის და მიტომ კიდევ, რომ შემომელანძღა იქ პასკალ დიუპრი, ფაზის მეგობარი". ფაზი გაზეთის რედაქტორი ყოფილა, თუმცა მხოლოდ ფორმალურად. მაგრამ თვით გაზეთი, როგორც ნიკოლაძე ამბობს, ყოფილა არა სოციალისტური, არამედ რადიკალური. ნიკოლაძეს, რომ თუნდა იმ დროს ეს „სოციალისტური მიდრეკილებები" ჭარბად ჰქონოდა, ის, რასაკვირველია, სოციალისტურ გაზეთში დაბინავდებოდა და არა რადიკალურში.

* * *

მოხდა ოქტომბრის რევოლიუცია, მისმა ტალღებმა საქართველოშიაც ჩამოაღწია და საქართველოს დამფუძნებელი კრება ყველა იქ შემავალი პარტიებით ისტორიის წარსულს ჩაბარა.

როგორ შეხვდა ამ გარემოებას ნიკოლაძე?

მიხვდა, თუ არა ის, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ უფრო მკაცრად და სასტიკად (შედარებაც კი რომ არ შეიძლება ისე!!) გადაისროლა უფსკრულისაკენ ის კლასი, რომელსაც დაუახლოვდა ნიკოლაძე მის შემდეგ, რაც მან გამოიტირა თავად-აზნაურობის გამობრუნების საქმე?

პირდაპირი პასუხი ამის შესახებ მე არა მაქვს.

არის ერთი ნიშანი, რომელიც მოწმობს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შინაარსი და მნიშვნელობა მან გაცილებით უკეთესად გაიგო, ვინემ ბევრმა მათ შორის, ვინც ერთ დროს თვით ნიკოლაძეს უკან დახევის და უიმედოთ დაკარგული წარსულის შემობრუნებას სწამებდა.

მართალია, მას არ სწამდა, კომუნიზმი, როგორც ცხოვრების ახალ ეკონომიურ საფუძველზე აშენების საშუალება; ეს მან თავის პირითაც განაცხადა; მაგრამ ეს ღრმათ მიხუცებული ადამიანი აშკარად ხედავდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ცხოვრებას მოევლინა ახალი ხალხი, ახალი ძალა, რომელიც მაგარი და იმედიანი ნაბიჯით მიდის წინ.

ის ხედავდა, რომ ამ ახალი ხალხის ხელში საქართველოს აყვავება და დაწინაურება გაცილებით უფრო ჩქარა მიდის წინ, ვიდრე უწინ.

პოულობდა, თუ არა ის ამ მოვლენის ახსნას??

ძნელია ამის თქმა.

ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის გამოცდილებით იმაში იყო დარწმუნებული, რომ კაცობრიობის დაწინაურება მხოლოდ „ნელ-ნელი ნაბიჯებით" ხდება, თქმა არ უნდა, ასე ადვილად ვერ შეეჩვეოდა იმ აზრს, რომ რევოლიუციის გრიგალისა და კორიანტელის შემდეგ, შესაძლებელი იქნებოდა ნაყოფიერი მუშაობა და დაწინაურება.

გაკეთებულს ის მაინც ხედავდა და ეს მას არწმუნებდა იმაში, რისი რწმენა და ცნობა მისთვის ძნელი იყო.

რომ ეცოცხლა, ვინ იცის, ცალ-ცალკე ფაქტები, რომლებსაც „რაოდენობა თვისებად გადაიქცეოდა", მას, შეიძლება, კიდეც დაეჯერებინა ახალი ცხოვრების გზა და გეზი.

ნიკოლაძემ დიდი გზა გაიარა თავის ცხოვრების სარბიელზე. მისი ხნის და იმსხვით შერჩენილი ძალ-ღონის პატრონი საზოგადო მოღვაწე ჩვენში სხვა აღარავინ გვეგულება.

რაც არ უნდა იყოს, მან მთელი თავისი მუშაობის საუკეთესო ხანა განვლო გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ოქტომბრის ალი მოედებოდა ჩვენი ცხოვრების ცის კიდურებს. ის იყო უკანასკნელი მოგიკანი წარსული დღეების, წარსული წოდებისა და კლასების, რომელთა საშუალებითაც მას უნდოდა აეყვავებია და დაეწინაურებია თავისი სამშობლო მხარე.

პ. მ. საყვარელიძე.

---

1) იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი „აზნაურობას რა უშველის" ჟურნ. „მოამბე" 1894 წ. № 9. გვ. 113.

2) იქვე.

3) იქვე.

4) იხ. გაზეთი „დროება" 1870 წ. № 23.

5) იქვე.

6) იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი ჟურნ. „მოამბე" 1894 წ. № 6. გვ. 170.

7) იხ. ჟურნ. „Былое" № 10—22. ნ. ნიკოლაძის შენიშვნები კ. ა. ბოროზდინის წერილზე „Священная Дружина" и „Народная Воля". გვ. 163.

8) იხ. ნ. ნიკოლაძის წერილი „Колокол" №№ 198 და 199; მოგვყავს ამხ. ს. ხუნდაძის წიგნიდან „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში". ტომი 1. გვ. 183 და 184.

9) იხ. ნ. სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) წერილი „ახალი ახალგაზრდობა" ჟურნ. „კრებული"; გვ. 303—307. მოგვყავს ამხ. ს. ხუნდაძის ზემოთ დასახელებულ (იხ. შენ. 8.), წიგნიდან.

10) იქვე.

11) იქვე.

12) იხ. ნ. ნიკოლაძის „Переговоры Священной Дружины с партией Народной Воли". გვ. 40.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

სნაიპერი

სნაიპერები (ე. ი. მსროლელი—გამანადგურებლები) გამოჩნდნენ იმპერიალისტური ომის პოზიციურ პერიოდში როცა არმიები ღრმად ჩაიმალნენ სანგრებში. სროლა თოფიდან და ტყვიამფრქვევიდან სწარმოებდა შენიღბულ სანგრების სათოფურებიდან, რომლებიც ხშირად დაცული იყვნენ ფოლადის ფარებით. თვალ-თვალი სწარმოებდა სათოფურებიდან ან ხელსაწყოების საშუალებით.

ბრძოლის ველი სრულიად დაცარიელდა, მტრის დაზიანება შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ ვიწრო ხვრელებიდან, სათოფურებიდან. ბრძოლის ასპარეზზე საჭირო გახდა სნაიპერების გამოყვანა.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგეს გერმანელებმა. მათ ამოარჩიეს სპეციალისტი მსროლელები, უმთავრესად მონადირეებიდან და შეაიარაღეს უკენი საუკეთესო თოფებით, ეს მსროლელები ადევნებდნენ თვალყურს ბრძოლის ველს და თუ მოწინააღმდეგე თავს ამოჰყოფდა სანგრიდან, წამსვე ასალმებდნენ სიცოცხლეს. ბრძოლამ მიიღო მსხვილ ნადირზე ნადირობის ხასიათი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „ნადირი" კარგათ იყო შეიარაღებული და იცოდა საუკეთესო სროლა.

სნაიპერების ტყვია დიდ ზიანს აყენებდა მოწინააღმდეგეს. სნაიპერთა მუშაობა მორალურად ანადგურებდა მას და ბოლოს მთელი ცოცხალი ძალა ღრმად ჩაიმალა მიწაში, სანგრებში.

გერმანელებს მიჰბაძეს ინგლისელებმა და ფრანგებმა და მათ შემდეგში კიდეც გადააჭარბეს გერმანელებს სნაიპერთა მომზადებაში.

ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ სნაიპერი უაღრესად მარჯვე მსროლელია, მაგრამ ეს, არ არის სავსებით მართალი. თავისთავად ცხადია, რომ სნაიპერი კარგად უნდა იყვეს შეიარაღებული და იცოდეს სროლაც. მაგრამ, რაც უმთავრესია, ის უნდა იყვეს ბრძოლის ველის საუკეთესო მოთვალთვალე. შეეძლოს გარემოების და მნიშვნელოვან მიზნების სწრაფად შეფასება, იყვეს უაღრესად გამბედავი, დამშვიდებით მომქმედი და, ბოლოს, უნდა შეეძლოს ინიციატივის გამოჩენა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება დასახულ ამოცანის ფარგლებში.

სნაიპერის მუშაობა ძლიერ სახიფათოა, სნაიპერებს უწოდებენ მსროლელ გამანადგურებლებს, რაც მათ სავსებით შეეფერება. სნაიპერები მუშაობენ წყვილ-წყვილად. ერთი მათგანი შეიარაღებულია დურბინდით: იგი უთვალთვალებს ბრძოლის ველს, ეძებს მიზნებს, აფასებს სროლის შედეგებს, მეორე კი ისვრის. ორივენი კარგათ ეხამებიან ადგილ-მდებარეობას, მოქმედებენ დამოუკიდებლათ, ირჩევენ ისეთ ადგილს, საიდანაც უფრო მოხერხებულია მნიშვნელოვანი მიზნების მოძებნა და მათი განადგურება.

საჭიროა თუ არა სნაიპერი მანევრულ ომში? უეჭველია, რომ მსროლელ-გამანადგურებელს აქ ექნება დიდი სამუშაო, მას შეუძლიან დაუფასებელი სამსახური გაუწიოს თავის ნაწილს, იგი მუსრს გაავლებს მოწინააღმდეგის ტყვია-მფრქვევებს, ხელს შეუშლის მოთვალთვალეებს, არ მისცემს მტერს საშუალებას გააბას კავშირი და ბოლოს მას შეუძლიან გაანადგუროს ბრძოლის ტეხნიკური საშუალებები.

სრული დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მომავალ ომში ყველა მებრძოლ სახელმწიფოებს ეყოლებათ სნაიპერთა საკმაო რიცხვი. ამიტომ საჭიროა, რომ გაძლიერებით მოვამზადოთ მსროლელ-გამანადგურებლები—წითელი სნაიპერები. საჭიროა შევისწავლოთ მათი მომზადების მეთოდები და ხერხი და აგრეთვე ის, თუ საზღვარგარეთ როგორ არის დაყენებული ეს საქმე.

ვავითარებთ რა სასროლო სპორტს, ჩვენ საბოლოო მიზნათ უნდა დავისახოთ არა ჩვეულებრივი მსროლელის, არამედ მსროლელ-გამანადგურებელის მომზადება. სასროლო სპორტი მხოლოდ გზაა ამ მიზნისაკენ და არა თვით მიზანი.

ა. პ.

წითელ ყაზარმაში

მოკლე ხანში დამთავრდება წითელ არმიელთა მომზადების და სწავლების საზამთრო პერიოდი. წითელი ყაზარმა შეუდგება სამზადისს საზაფხულო პერიოდისათვის, ბანაკობისათვის, რათა წითელ არმიელებმა ველად განამტკიცონ და გააღრმავონ ზამთარში მიღებული ცოდნა.

საზამთრო პერიოდი ხასიათდება ახალწვეულ წითელ არმიელთა მზადებით. გასული წლის შემოდგომაზე წითელ ყაზარმას ეწვივნენ 1905 წელში დაბადებული ახალგაზრდები, რომლებთანაც ზამთრის განმავლობაში სწარმოებდა ენერგიული მუშაობა სამხედრო, პოლიტიკურ და საერთო-საგანმანათლებლო დარგში.

საჭირო იყო ახალწვეულთა ჩაბმა საერთო საქმიანობაში, საჭირო იყო მათი გაცნობა წითელ არმიასთან, მის ტრადიციებთან, წითელი არმიის გმირულ წარსულთან, საჭირო იყო შთანერგვა მათში შეგნების, რომ წითელი არმია არის არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელთა, არამედ მთელი ქვეყნის ჩაგრულთა დამცველი არმია, ერთი სიტყვით, საჭირო იყო ახალწვეულთა ინტერნაციონალურად აღზრდა.

წითელმა ყაზარმამ ყველა დასახული ამოცანები პირნათლათ შეასრულა.

უპირველეს ყოვლისა კარგათ არის შეთვისებული და შესწავლილი წითელ არმიელთა მიერ სამხედრო საქმე. № ლეგიონის მე-3-ე ათასეულის წითელი არმიელი მ. ჟ-ნი იწერება: „1905 წლიანთა სამხედრო მზადება წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენ დავიწყეთ პირველი დაწყებითი სროლის ვარჯიში, როგორც გამოირკვა, სროლის საქმე კარგათ აქვთ შეთვისებული 80 %. მეცადინეობის წარმატებით მსვლელობა უნდა მიეწეროს მეთაურთა ენერგიულ მუშაობას და წითელ არმიელთა შეგნებულად მოპყრობას სწავლებისადმი".

ყველა ლეგიონებს და ცალკე ერთეულებს დიდი მიღწევები აქვთ სამხედრო საქმეში. შეთვისებულია ყველა საჭირო ცნობები მებრძოლისათვის. სპეციალური ნაწილებიც არ ჩამორჩნენ დანარჩენ ნაწილებს, მათ მიერ განვლილია საზამთრო სწავლების სრული პროგრამა, შეთვისებულია ცნობები, რომელიც ესაჭიროება ბრძოლის დროს როგორც კავშირელს, ისე მესანგრეს და სხვა.

ბანაკათ წითელ არმიელნი უფრო განამტკიცებენ ყაზარმაში შეძენილ ცოდნას, ველად მეცადინეობა მათ შესძენს გამოცდილებას და გააკაჟებს მათ.

არა ნაკლები მიღწევები აქვს ზამთრის პერიოდში წითელ ყაზარმას პოლიტიკური და საერთო-საგანმანათლებლო დარგში. წითელ არმიელთა შორის მოსპობილია წერა-კითხვის უცოდინარობა. წითელ არმიელებმა ზამთრის განმავლობაში შეისწავლეს წერა-კითხვა, ანგარიში და სხვა საერთო საგანმანათლებლო საგნები. წითელ არმიელებს შეუძლიანთ თავისუფალი კითხვა, წერა, ბევრი წითელ არმიელი, რომელიც არ იცნობდა ყაზარმაში მოსვლამდის წიგნს, ეხლა თავისუფლად თანამშრომლობს თავის ასეულის კედლის გაზეთში.

სასკოლო და სკოლის გარეშე დარგებმა შესძინეს წითელ არმიელებს ისეთი ცოდნა, რომელიც საჭიროა სამაგალითო მოქალაქისა და მებრძოლისათვის. წითელი არმიელი დღეს თავისუფლად ერკვევა საერთაშორისო მდგომარეობაში, იცნობს მტერს და მოყვარეს, შეუძლიან თავისუფალი ბაასი ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე.

№ საარ. ლეგიონის წითელი არმიელი ც. ნ-ძე თავის წერილში ამბობს: „ყაზარმაში მოსვლამდის მე არა მქონდა წარმოდგენა იმაზე, თუ რა ხდებოდა ქვეყნათ, რადგან ვიყავი უცოდინარი. ეხლა შევისწავლე წიგნი და გავიგე მშრომელი ხალხის მდგომარეობა და ისიც, თუ როგორ უნდა მოიქცეს მშრომელი, რომ არ იყვეს ჩაგრული. ვისწავლე თოფის კარგა ხმარება და შევითვისე სამხედრო საქმე. მივხვდი, რომ ყველა გლეხმა და მუშამ უნდა ისწავლოს იარაღის მოხმარება, რადგან ეს საჭიროა დღევანდელ დღეს ყველა ჩვენთვის". ეს პატარა წერილი საუკეთესოდ მოწმობს ყაზარმის მიღწევებს განვლილ საზამთრო პერიოდში.

ვ. ი—ლი.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

შორაპნის ორგანიზაცია

მიმდინარე წლის 23 მარტს შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის შორაპნის სამაზრო ორგანიზაციის მეორე პლენუმი, რომელზედაც მოისმენილ იქნა ორგანიზაციის პრეზიდიუმის მოხსენება ჩატარებულ მუშაობის ირგვლივ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაციას მოსახლეობის გასამხედროების დარგში აქვს საკმაო მიღწევები. ამჟამად მაზრაში არსებობს 38 უჯრედი, რომლებშიც ჩაბმულია 2.500 წევრი. ქალების რიცხვი უდრის 366. წევრთა შორის უმეტესობა მუშებია.

უჯრედები აწარმოებენ სისტემატიურ მუშაობას გასამხედროების დარგში. წრეების საშუალებით წევრები ეცნობიან სამხედრო საქმეს, მომავალ ომის ხასიათს და თავდაცვის საკითხებს.

ამავე პლენუმზე მოსმენილი იქნა თავდაცვა-ავიაქიმის ჭიათურის რაიონულ საბჭოს მოხსენება, სამრეწველო რაიონში არსებობს 19 მუშური უჯრედი, რომელიც აერთიანებს 1.560 წევრს. არსებობს მრავალი სამხედრო კუთხე, სადაც სწარმოებს სამხედრო ხასიათის მუშაობა. ყველა კუთხეს გამოწერილი აქვს გაზეთი „წითელი არმიელი" და ჟურნალი „ავიაცია და ქიმია". რაიონში დაარსებულია ე. წ. სამხედრო სახლი, რომელიც წარმოადგენს გასამხედროების ცენტრს.

პლენუმმა აღნიშნა აგრეთვე მუშაობის ზოგიერთი ნაკლი. აღნიშნულ იყო აგრეთვე, რომ ცენტრი უწევს სუსტ ხელმძღვანელობას, რაც უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ცირკულიარები და სხვა სახელმძღვანელო მასალა ძლიერ დაგვიანებით.

თელავის ორგანიზაცია

თელავის ორგანიზაციაში მიმდინარე წლის 1-ლ მარტისათვის არსებობდა ქალაქის 13 და სოფლის 20 უჯრედი. ორგანიზაციაში ირიცხება 2.266 წევრი, აქედან 383 ქალი. წევრების სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშა—239, მოსამსახურე—404, გლეხი 862, სამხედრო—275, მოსწავლე—440, სხვა—46.

ორგანიზაციის მაზრაში აქვს 8 სამხედრო კუთხე, სადაც არის სამხედრო საქმის შესასწავლად სხვადასხვა მასალა და ხელსაწყოები. თვით თელავში შემდგარია ავიაქიმიური რაზმი, რომელშიაც ირიცხება 176 კაცი.

თელავის მუშათა კლუბთან მოწყობილია სამაგალითო სამხედრო კუთხე, ტირი და სამხედრო ცოდნათა წრე. არსებობს აგრეთვე პირველი დახმარების წრე, რომელმაც უკვე მოამზადა რამოდენიმე ასეული სანიტარი.

ორგანიზაცია აწყობდა ხშირად ლაშქრობას, რომელშიც ღებულობდნენ მონაწილეობას კომკავშირელებთან ერთად, ახალგაზრდობა, ლაშქრობამ მოჰქონდა დიდი სარგებლობა, რადგან მონაწილენი საქმეზე ეცნობოდნენ ბრძოლის და თავდაცვის საშუალებებს.

ორგანიზაციის მუშაობაში ჩაბმული არიან ცვალებადი წითელ-არმიელები და წვევამდელი ახალგაზრდობა. როდესაც სამხედრო უწყება ატარებდა წვევამდელთა სამხედრო მზადებას, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაცია ცდილობდა შეძლებისდაგვარად შეეწყო ხელი მზადებისათვის, რამაც გამოიღო სასურველი ნაყოფი.

სამხედრო ქრონიკა

მზადება ბანაკობისათვის

მოკლე ხანში წითელი ჯარის ნაწილები შეუდგებიან სამზადისს ბანაკად გასასვლელად.

ქიმიურ საქმის ინსტრუქტორების მომზადება

ქიმიურ საქმის ინსტრუქტორების მომზადების მიზნით, მუშურ-გლეხურ წითელი არმიის მთავარ სამმართველომ აცნობა ადგილებს, რომ მსროლელ ნაწილებიდან მივლინებულ უნდა იქნენ კურსებზე ის უნტერ მეთაურები, რომლებიც გამოსთქვამენ სურვილს კურსების დამთავრების შემდეგ დარჩნენ ზედმეტვადიან სამსახურში წითელი არმიის რიგებში ქიმინსტრუქტორების თანამდებობაზე.

საგლეხო სესხი და წითელი ყაზარმა

მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს ცნობით, დღევანდლამდის წითელი არმიის რიგებში გასაღებულია 2 მილიონ მანეთის საგლეხო სესხის ობლიგაციები.

მიღება სამხედრო სასწავლებლებში

დაიწყო კანდიდატების გადარჩევა სამხედრო სკოლებში გასაგზავნათ. სკოლებში მივლინებული იქნებიან წითელი არმიის რიგებიდან საუკეთესო არმიელები კანდიდატების გადარჩევა დამთავრდება 1-ლ მაისისათვის.

5 წლიანი პერსპექტიული გეგმების შედგენა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა კომისარიატების და წარმოება-დაწესებულებების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმების შედგენის საკითხი და დაადგინა ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებების და კომისარიატების 5 წლიანი გეგმების შესადგენად და განსახილველად დაარსებული იქნეს სპეციალური კომისია ყველა კომისარიატების, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ასეთი დაარსების მიზანია ერთი კომისარიატის გეგმის შედგენა-განხილვის დროს სავსებით გათვალისწინებული იქნეს განზრახულ ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობანი დანარჩენ კომისარიატების გეგმებთან და მოსაზრებებთან შეფარდებით. ამრიგათ, მომავალში რომელიმე კომისარიატის მუშაობის პერსპექტიული გეგმა შედგენილი იქნება კოლექტიურათ ყველა დაინტერესებულ კომისარიატების და ორგანიზაციების მონაწილეობით.

კომისიაში შედიან: საგეგმო კომისიადან—ბ. თევზაია, ე. ალშიბაია, გ. ავალიშვილი და ფ. გოგიჩაიშვილი; მიწათმოქმედების სახ. კომისარიატიდან—ამხ. ჟამანაშვილი და სამადაშვილი; ცეკავშირიდან—ჩარალოვი; ჯანმრთელობის სახ. კომისარიატიდან—მამალაძე; განათლების სახ. კომისარიატიდან—ამხ. დ. კანდელაკი; შრომის სახ. კომისარიატიდან—შელიძე; პროფესიონალურ კავშირების საბჭოდან—ხვედელიძე და საქ. სტატისტიკის ცენტრალ. სამმართველოდან—ა. რუხაძე.

კომისიას დაევალა შეიმუშაოს თავის მუშაობის გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საგეგმო კომისიას.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

კამპ.-ნიის ჩამტარებელ ა.-კ. კომისიაში

ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულის თავმჯდომარეობით შემდგარმა თათბირმა დაადგინა წინადადება მისცეს ა.-კ. რესპუბლიკებს პირველ რიგში მოაგვარონ შემდეგი საკითხები:

აზერბეიჯანის სამეულმა მიიღოს ზომები, რომ დაჩქარებით ჩატარდეს წყალსაქაჩავების და სარწყავი სისტემების შეკეთება. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატმა დაუყოვნებლივ გასცეს აზერბეიჯანის სამეულის განკარგულებაში (დამატებით) 10.000 ფ. ხორბალი სათესლე ფონდის გასაძლიერებლად.

საქართველოში თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიას ეთხოვოს გადასცეს საქართველოსთვის შეკვეთილი თივის რაოდენობიდან 2.000 ფ. თივა ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის დაზარალებულ რაიონებისათვის.

ვინაიდან წელს ნახიჩევანის ავტ. რესპუბლიკაში საქონლის საკვების დიდი ნაკლებობაა, მიღებულ იქნეს ზომები ნახიჩევანის დაზარალებულ რაიონებისათვის მუშა-საქონლისა და საქონლის საკვების შესაძენად.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს, „ტექსტილტრესტს", ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს და „აზერტიფაკს" დაევალოს—სასწრაფოდ მიიღონ ზომები მებამბეობის რაიონების უზრუნველსაყოფად მანუფაქტურით. მებამბეობის რაიონების მთელი მოთხოვნილების 15 პროცენტი უნდა დაფაროს ა.-კ. მებამბეობის კომიტეტმა, 15 პროცენტი—„ტექსტილტრესტმა" და 50 პროც. „აზერტიფაკმა" დანარჩენი 20 პროცენტი დაკმაყოფილებულ უნდა იქნას კრედიტების საშუალებით.

სესხი კოლექტიურ მეურნეობებს

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაამტკიცა თესვის კამპანიასთან დაკავშირებით კოლექტიურ მეურნეობებისათვის სესხის გაცემის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში არსებულ კოლექტიურ მეურნეობებს წელს სესხად მიეცემათ 2500000 მანეთი. აქედან 1.270.000 მანეთი გაცემული იქნება გრძელვადიანი სესხის სახით, 230.000 მანეთი მოკლევადიანი სესხის სახით.

გრძელვადიანი კრედიტები კოლექტიურ მეურნეობებს მიეცემათ 6 წლის ვადით წელიწადში 5 პროცენტის დარიცხვით, ხოლო მოკლევადიანი სესხი კი მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე—10 პროცენტის დარიცხვით.

ამას გარდა მიღებული იქნება ზომები ახალ კოლექტიურ მეურნეობათა დასაარსებლად მთელ ამიერ-კავკასიაში და არსებულ მეურნეობების გასაძლიერებლად.

კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმული იქნებიან ულარიბესი გლეხები. კოლმეურნეობებს წელს გაეწევათ გაძლიერებული აგრონომიული დახმარება და ხელმძღვანელობა.

აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდებას კოლმეურნეობებისათვის და მათ გადაყვანას მიწის დამუშავების ახალ მეთოდებზე.

წელს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით იწარმოებს კოლმეურნეობათა მიწების მინერალური სასუქებით განოყიერება.

მდგომარეობა აგრო-პუნქტებზე

ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის აგრონომიულ პუნქტებზე სასოფლო-სამეურნეო იარაღების დიდი ნაკლებობაა. სამ სარაიონო პუნქტს მიეპოვება მხოლოდ 50 გუთანი, რომელიც ქირით ეძლევა გლეხებს—თითო გუთანი ხუთ მანეთად დღეში. ხვნა-თესვა მაზრაში დაიწყო, მხოლოდ უკანასკნელი კვირეების ცუდმა ამინდებმა შეაჩერეს იგი. გლეხების შორის განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ეკკერტის სისტემის გუთნებზე, საკას გუთნებს კი გლეხობა სრულიად არ ხმარობს და უქმად გდია. ეკკერტის გუთნების რაოდენობა 37 არ აღემატება. მაზრის 15 ათას მეურნეობას 80 დესეტინა სახნავ-სათესი მიწით, გუთნების ეს განსაზღვრული რიცხვი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს. აგრონომიულ პუნქტებზე ძალიან ცოტაა აგრეთვე ტრიერები. ამით სარგებლობენ ლიტრო-მაბბაკისა და ყარაიაზ-ცოვკას რაიონის მდიდარი გლეხები, რომელნიც ხვნა-თესვის დაწყების წინ ჩამოდიან ბორჩალოს მაზრაში და მაღალ ფასად აქირავებენ თავიანთ ტრიერებს.

ჩვენც მოვდივართ თქვენთან

(მუშის ლექსი)

მე თქვენ მანახებხართ—ველს ცრემლებით რწყავდით,
დაღვრემილი სახით მგლოვიარეს ჰგავდით.
ჯალათების ხელში საწამლავსა სვამდით.
თავადების ვაზებს უსიცოცხლოდ სხლავდით.

მემამულის მიწებს ძველ ხარებით ხნავდით.
ცხელი ოფლის ღვარით დედა-მიწას სწყავდით,
ქვითინებდით უნუგეშოდ თოხ. ბარებით წვალდით,
ბედის ხვედრს იტირებდით ხშირად, კვნესა-დარდით.

სხვისათვის ქმნიდით დიდ სიმდიდრეს თქვენ ცივ მჭადსა სჭამდით.
სხვის ყანაში ოფლს აქცევდით პურის კონებს ჰკრავდით.
დაფლეთილი დადიოდით ტან-ფეხთ ვერ იცვამდით,
თვითონ შიმშილობდით და ცოლ-შვილსაც შიმშილობით ჰკლავდით.

მაგრამ, აჰა, გადარეკა ნისლი ბრძოლის ქარმა,
ბურჟუებს საბუდარი დასწვა ცეცხლის ალმა,
მე სიცოცხლე მომიმატა ვხედავ ბედში მეოფელს,
დაეუფლეთ სახნავ-სათეს წითელ „ახალ სოფელს".

ჩვენც მოვდივართ თქვენთან ჯიშ-რჩეული თესლით.
სოფლის დასახმარებლად, მოსავლისთვის მარცვალ-გუნდით,
ყამირ მიწის დასახნავად ტრაქტორ-მანქანებით,
დიდი ზამთრით მოქანცულნი გამართეთ წელში,
მოვდივართ და თქვენც დაგვხვდით თოხ-ბარებით ხელში.

მუშა გ. ნადუშვაძე.

აჭარისტანში

წელს აჭარისტანში სიმინდით დათესილი იქნება 12.602 ჰექტარი. სხვა მარცვლეული კულტურით (ხორბალი, ქერი და სხვა) 400 ჰექტარი, ჩაის ახალი პლანტაციებით გაშენებული იქნება 450 ჰექტარი. თამბაქოს პლანტაციებით 250 ჰექტარი, ლობიო და სხვა ტექნიკური კულტურებით 60 ჰექტარი. გარდა ამისა, გადიდებული იქნება 140 ჰექტარით მანდარინებისა და ხეხილის სანერგეები. განზრახულია აგრეთვე თუთის ხეების სანერგეების გაფართოება.

სათესლე მასალა ჩაის, თამბაქოს, ლიმონის პლანტაციების გასაშენებლად აჭარისტანს საკმაოდ მოეპოვება. მიწათმოქმ. სახკომისარიატის სანერგეებმა დაამზადეს 7000-ზე მეტი ციტრუსების ნერგი. (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი და სხ.) რაც შეეხება სიმინდს, წინასწარი გამოანგარიშებით საჭიროა კიდევ 3 ათასი ფუთი თესლი. მის შესაძენად უკვე მიღებულია სათანადო ზომები.

მოწყობილია რესპუბლიკანური და სამაზრო სამეულები თესვის კამპანიის ჩასატარებლად. გლეხებს შორის აგრონომიული ცოდნის გასავრცელებლად სწარმოებს საუბრები და ლექციები ადგილებზე. თესვის კამპანიის ჩასატარებლად მოწვეული არიან ყველა აგრონომიული ძალები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია და სხ.

კოლმეურნეობის დასახმარებლად და მათთვის ხელშეწყობისათვის მოწყობილია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გეგმის შედგენა არსებულ კოლექტივების განმტკიცების და ხელმძღვანელობისათვის. ამასთან ერთად მიღებულია ზომები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ქსელის საშუალებით გლეხობისათვის სას. სამ. მანქანების და იარაღების მისაწოდებლად. თესვის კამპანიისათვის აჭარისტანში შემოტანილ იქნება სულ 30 ათასი მანეთის სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

სამხრეთ-ოსეთში

ცხინვალი, 3 აპრილი. უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთში თბილი მზიანი ამინდია. თოვლი სწრაფად დნება. სამხრეთ-ოსეთის ზოგიერთ ადგილებში გლეხები უკვე შეუდგენ ხვნა-თესვას. სთესენ უმთავრესად ქერს და სიმინდს, ვინაიდან გაზაფხულის ხორბლის დათესვის დრო უკვე გასულია. (ადს).

სიღნაღის მაზრაში

სიღნაღის მაზრაში თესვის კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს. კამპანიის ჩატარება სწარმოებს საგანგებო კომისიის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ.

ადგილებზე აღებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ამჟამად მაზრაში 72 ტრაქტორია, 18 ტრიერი, 25 სათესი მანქანა და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაკეთებლად მიღებულია ზომები ცენტრალურ შემკეთებელ სახელოსნოს და მოძრავ სახელოსნოების მოსაწყობად საჭირო მოწყობილობანი უკვე მიღებულია ადგილობრივ.

ზოგ რაიონებში უკვე დაწყებულია იარაღ-მანქანების შეკეთება არსებულ სახელოსნოების საშუალებით.

სათესლე მასალა უკვე მიღებულია სოფლის კავშირისაგან და ამჟამად სწარმოებს მისი განაწილება რაიონებს შორის.

სათესლე მასალა პირველ რიგში ეძლევა კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ გლეხებს. ამჟამად მაზრაში არსებობს 18 მიწის დამამუშავებელი კოლექტივი, 50 სამანქანო ამხანაგობა, რომელთაც გადაეცათ ახალი მიწის ნაკვეთები მეურნეობის გასაფართოებლად.

მუშა-საქონელი წელს ცუდ მდგომარეობაშია. საქონლის საკვების სიმცირის გამო ბევრი მათგანი დაიღუპა. გადარჩენილი მუშა-საქონელი თითქმის გამოუსადეგია მუშაობისათვის, იმდენად დასუსტებული და გამხდარია.

მუშა-საქონლის საკვებით უზრუნველსაყოფად მიღებული და განაწილებულია 10 ვაგონი თივა. მიღებულია ზომები საქონლის საკვების მოსამარაგებლად მომავალშიაც.

ყველა აგრონომებს თავიანთ რაიონებში მოწყობილი აქვთ ვაზის მტრების მოკლევადიანი კურსები.

აგრონომები აწარმოებენ აგრეთვე თესლის დახარისხებას და მოწამვლას.

მიღებულია ენერგიული ზომები, რათა წელს მთელს მაზრაში არ დარჩეს არც ერთი ნაკვეთი მიწა მოუხნავი და დაუმუშავებელი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დიდი ყინვებისა ვენახები არ დაზარალებულა. ამჟამად სწარმოებს სანამყენე ლერწების ამოღება.

სიღნაღის მაზრის ყველა სანერგეებიდან წელს მოსალოდნელია 2500000 მეტრი სანამყენე ამერიკული ვაზის მიღება.

ქრონიკა

სათესლე სიმინდი

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა კომისიამ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების საშუალებით დაამზადა 14 ვაგონი სათესლე სიმინდი, რომელიც განაწილდა და უკვე გადაეზავნა: სამტრედიის რაიონს—6 ვაგონი, ხონის რაიონს—2, ვანის რაიონს—3 და ტობანიერის რაიონს—3.

ყარსის აგრონომიულმა სადგურმა, რომელსაც დამზადებული ჰქონდა 360 ტონა წმინდა ხარისხის სათესლე მასალა, უკვე განაწილა ეს რაოდენობა მაზრებს შორის.

სასქონლე საკვები

გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ ზამთრისაგან დაზარალებულ რაიონებისათვის ურალიდან მიიღო 360 ტონა თივა.

ვენახების გაშენება

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით, გაზაფხულზე ახალი ვენახები გაშენებული იქნება: სოფ. გურჯაანში—3 ჰექტარზე, ველისციხეში—2 ჰექტარზე, გუმბათში—11 ჰექტარზე და კარდანახში—11 ჰექტარზე.

მუშათა ცხოვრება

შრ. საკ. კომისიების შესახებ

საწარმოების ორგანიზაციულად მოწყობაში და თვით მუშების შრომის დაცვაში, შრომის დაცვის კომისიების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას. შ. ს. კომისია, ეს არის შრომის სასამართლოების ძირითადი ორგანო რომელიც აწარმოებს მუშებსა და ადმინისტრაციას შორის წამოჭრილი კონფლიქტს შრომის ხელფასის საკითხში და სწყვეტს მას ისე, როგორც უკარნახებს მუშებისა და წარმოების ინტერესები.

ამავე დროს, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია წარმოებაში, არის საწარმოო თათბირის დამხმარე უჯრედი, რომელიც ხელს უწყობს საწ. თათბირის დირექტივების ცხოვრებაში გატარებას, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების დაკლების დარგში. ასეთია საკონფლიქტო კომისიის როლი და მნიშვნელობა, მაგრამ ზოგიერთ საკ. კომისიის წევრებსა და ხელმძღვანელებს ეს მნიშვნელობა ჯერ კიდევ ვერ აქვთ შეთვისებულ-შესისხლხორცებული. ასეთი საკონფლიქტო კომისიის მუშაობას უყურებენ, როგორც შემთხვევით მოვლენას. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ზოგიერთი წარმოების საკონფლიქტო კომისია, 5—6 თვეში ერთხელ ძლივს არჩევს მუშების განცხადებებს ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

მაგ. [illegible] ჯოლოდიანის აღმ-შენკომის შრომის საკონფლიქტო კომისია, ბიუროკრატიულ თარგზეა არის გადაჭრილი. საკ. კომისია სხდომას იწვევს მაშინ, როცა დაგროვდება მუშების აუარებელი განცხადებები. მათი განხილვა კი ერთ სხდომაზე შეუძლებელია. ისე, რომ ავითვიულ მუშის განცხადების განხილვას საკონფლიქტო კომისია უნდება 2—3 თვეს. ასეთი მუშაობით რასაკვირველია, რომ საკონფლიქტო კომისია ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადგილობრივი ფაბ.-ქარხკომები ხშირად ვერ უწევენ საკონფლიქტო კომისიებს წესიერ და მიზანშეწონილ ხელმძღვანელობას. ყველაზე მეტი დაკვირვებული ხელმძღვანელობა ესაჭიროება შრომის საკონფლიქტო კომისიას. ამიტომ ფაბ.-ქარხკომებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათ და ხელი შეუწყონ საკონფლიქტო საქმეების მოწესრიგებას.

ამით ჩვენ გარდა იმისა, რომ გაუმჯობესდება საკონფლიქტო კომისიების მუშაობა და დავაჩქარებთ მუშების განცხადებების განხილვას, ამავე დროს ავწევთ მუშაობის ინტენსივობას.

X.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობა

(ქუთაისი)

ქუთაისის სასოფლო და სამეურნეო მიწატყის პროფკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხს შეიცავს სოფლის მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, რაც გამოიხატება უმთავრესად მოჯამაგირეთა აღრიცხვაზე აყვანაში, შრომის ხელფასის ხელშეკრულების დადებას და საერთოდ მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვაში.

1928 წლის პირველ იანვრისათვის, მაზრის მასშტაბით 500-მდე მოჯამაგირე აღრიცხვაზე აყვანილი. მათ შორის კავშირის წევრია 61 მოჯამაგირე. შრომის ხელფასის მინიმუმი განისაზღვრება 15 მანეთიდან 30 მანეთამდე. მოჯამაგირეთა და დამქირავებელთ შორის არსებობს კონფლიქტები, რომლის მოგვარებაში მთავარ მონაწილეობას ღებულობს კავშირი და საქმეს სწყვეტს უმთავრესად მოჯამაგირეთა სასარგებლოდ.

კავშირი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს მოჯამაგირეების საზოგადო მუშაობაში ჩასაბმელად. საქმიან დახმარება მოჯამაგირეებს ეძლევათ დამქირავებლების ხარჯზე. მოჯამაგირეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის საკითხიც გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია; მეტი ნაწილი მოჯამაგირეობისა მიმაგრებულია წ.-კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებში.

გარდა ამისა კავშირი ცდილობს, რათა ქუთაისის მაზრის მოჯამაგირეების ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა რაც შეიძლება გაუმჯობესდეს.

იმედია სასოფლო-სამეურნეო და ტყის კავშირი უფრო გააღრმავებს თავის მუშაობას ამ მიმართულებით.

ივანე ბუზაიძე.

მოაგვარეთ ეს საკითხი

(ტყიბულის მაღაროებში)

ტყიბულის მაღაროების ადმინისტრაცია კოლექტიურ ხელშეკრულების ყურადღებას არ აქცევს; თანახმად კოლხელშეკრულებისა—ტყიბულის მაღაროების მუშებს, ჯამაგირი უნდა ურიგდებოდეს ყოველი თვის ხუთ რიცხვში. სინამდვილეში კი რიგდება 15-16-ში. თებერვლის თვის ჯამაგირი დარიგდა 16 მარტს.

აღსანიშნავია, ის, რომ ჯამაგირის დარიგება სწარმოებს მხოლოდ სამუშაო საათებში, როდესაც მუშებს არ შეუძლიათ ხელი გაუშვან მუშაობას და რამოდენიმე ხანი იდგნენ რიგში ხელფასის მისაღებად. სალაროთ კი თუ მოლარე ნაცნობი არ არის, საგუშაგოზე მდგომი მილიციელები არ მიუშვებენ სალაროსთან და არ აძლევენ ხელფასს. ამგვარად ზოგიერთი მუშა, ჯამაგირების დარიგების დაწყების დღიდან, ერთი კვირის განმავლობაში ვერ ღებულობს წასულ თვის ხელფასს.

სამთო-მადნო კავშირმა უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

გუმი.

საზოგადო. ქვაბის საკითხი

სახალხო ქვაბის მოწყობის საკითხი, ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია სოციალისტურ აღმშენებლობის ხანაში. მუშის წესიერ კვება, საფუძველია პროლეტარიატის ჯანმრთელობის და მის დახარჯულ სამუშაო ძალთა-ნის აღდგენისა.

მუშათა კლასის დღევანდელი კვება კი ვერ ამართლებს ამ დანიშნულებას, რადგან იგი არ ეთანხმება მეცნიერულ და მედიცინურ სისტემას. საერთოდ მუშები, ფანტასტიურ გემოვნებას უფრო ვაქცევთ ყურადღებას ვიდრე კვების სარგებლობას.

კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა, კარგა ხანია მიაქციეს ყურადღება ამ მოვლენას. მათ მოაწყვეს ე. წ. საზოგადო სასადილოები, მაგრამ ყველა მათგანს კრახი განიცადა და აუარებელი ზარალიც ნახა. მარტო თბილისის მუშკოპმა, სასადილოებში იზარალა 70.000 მანეთი. სამხედრო კოოპერატივმა 40.000 მან. იზარალეს აგრეთვე ჭიათურის, ქუთაისის, ფოთის და სხვა კოოპერატიულმა სასადილოებმაც. ეს მოხდა იმიტომ, რომ სახალხო კვების მოწყობა ვერ იყო მიზანშეწონილად დაყენებული.

ჩვენის აზრით სახალხო კვება, სასადილოებით კი არ უნდა დაწყებულიყო, არამედ სახალხო სამზარეულოებით. ამით თავიდან ავიცილებდით იმ აუარებელ ხარჯებს, რომელიც სჭირდება სასადილოების მოწყობას. ინვენტარის შეძენა, აუარებელი შტატის შენახვა, ქირის და სხვა გადასახადების გადება და სხვა მრავალი წვრილმანი ხარჯები, რომელიც მომხმარებელს აწვება კისერზედ.

რომელი მუშა, თავისი ცოლ-შვილით შევა დღევანდელ სასადილოებში, სადილის საჭმელად? საშუალოდ ოთხსულიან ოჯახს, სასადილოში სადილობა დაუჯდება უკანასკნელ ორი მანეთი, დაახლოებით ამდენივე მოუნდებათ დილა-საღამოთაც. ჩვენი მუშების დღევანდელი ბიუჯეტი კი ამ ხარჯებს ვერ გაუძლებს. ერთად-ერთი საშუალება, მუშებისათვის შედარებით იაფად სადილის მისაწოდებლად და კვების საკითხის მოსაწესრიგებლად, ეს არის სახალხო სამზარეულოების მოწყობა, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი იქნება მუშებისათვის.

სამზარეულოები უნდა მოეწყოს მუშათა უბნებში, ქარხნებთან ახლოს. ამისათვის უნდა ჩატარდეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, ოჯახის წევრებთან ერთად მოწვეულ საერთო კრებებზე. უნდა განიმარტოს დიასახლისებს და მუშებს ასეთ სამზარეულოების მოწყობის მნიშვნელობა, მისი უდიდესი ეკონომიური და კულტურული სარგებლიანობა და რაც მთავარია, დედაკაცის მდგომარეობის გაუმჯობესებაც.

ამით ჩვენ, გარდა იმისა, რომ მუშებს შევაჩვევთ ნამდვილ სარგებლიან, მედიცინურ კვებას, ამავე დროს საფუძველს ჩაუყრით ახალ კოლექტიურ ცხოვრებასაც. კარგი იქნება, რომ ამ საკითხის შესახებ ამხანაგებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი.

ნიკო მეჯრეველი.

მუშკორთა წერილებიდან

მუშაობა მოისუსტებს. არსენალის მექანიკური ქარხნის კედლის გაზეთის მუშკორთა შორის, არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. უკვე ექვსი თვე იქნება, რაც მუშკორთა კრება არ მოუწვევიათ. ამის გამო კედ. გაზეთი ძალიან გვიან-გვიან გამოდის.

ქარხნელი.

ქონება ნადგურდება. რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ეზოში დიდ ცის ქვეშ აყრებული რკინეულობა ყრია და ნადგურდება. სახელოსნოს თათბირმა რამოდენიმეჯერ მისცა წინადადება ადმინისტრაციას, რომ მან მიიღოს რაიმე ზომები რკინეულობის სადმე დახურულ ფარდულში მოსათავსებლად, მაგრამ ადმინისტრაციამ ყურიც არ გაიბერტყა. რკინეულობა ნადგურდება. საგუბკომი, ყურადღება მიაქციეთ.

შვ. გზელი.

ცუდად არის განაწილებული. სადგ. გურჯაანის რკ. გზის მუშათა სახლებში, ბინები არ არის წესიერად განაწილებული. ზოგიერთ რკ. გზელს (უბნის უფროსს და სხ.), ორ-ორი და სამ-სამი ოთახი უკავიათ. ზოგი კი სულ უბინაოდ იმყოფებიან. საგუბ კომიტეტმა უნდა მოაგვაროს ეს საქმე.

მეისრე.

[illegible] (ქ. ოჩემჩირი). ოჩემჩირის ხე-ტყის სახერხი ქარხნის შენობა ისეა დაზიანებული და მოძველებული, რომ თუ მალე არ შეკეთდა შესაძლებელია მუშაობის დროს დაინგრეს და მრავალი მსხვერპლი გამოიწვიოს. ამის შესახებ სადღეისოდ გაზეთში იყო მოთავსებული წერილი, მაგრამ ქარხნის მოთავეობამ ყურადღება არ მიაქცია. აღმასკომმა უნდა იზრუნოს მოსაწესრიგებლად და შეაკეთოს შენობა სანამ სულ არ დანგრეულა.

თაქაიძე.

უქმე დღეებშიც ვმუშაობთ. თბილისის პურის საცხობებში მომუშავე დაქირავებული მუშები, ყოველ კვირაობით და სხვა დასასვენებელ დღეებშიც მუშაობენ, მაგრამ ამაში ისინი არავითარ ჯილდოს არ იღებენ. ასეთივე მდგომარეობაში არიან მუშკოოპის პურის საცხობების მუშებიც. შრომის ინსპექტორმა, მიაქციე ყურადღება.

პურის მცხობელი.

უქმე და დასასვენებელი დღეები

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა უქმე და დასასვენებელ დღეების ახალი ცხრილი, რომლის თანახმად მუშაობა აკრძალულია შემდეგ დღეებში: 1 იანვარი—ახალი წელი; 22 იანვარი—1905 წლის 9 იანვრის და ლენინის ხსოვნის დღე; —12 მარტი თვითმპყრობელობის დამხობის დღე; 18 მარტი—პარიზის კომუნის დღე; 1 მაისი—ინტერნაციონალის დღე; 7 და 8 ნოემბერი—პროლეტარული რევოლუციის დღე; საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლის თავები რესპუბლიკებში: 28 აპრილი აზერბეიჯანში, 29 ნოემბერი—სომხეთში და 25 თებერვალი საქართველოში. ბაქოს 26 კომისართა ხსოვნის აღსანიშნავად არა სამუშაო დღეთ არის გამოცხადებული 20 სექტემბერი.

რესპუბლიკანურ შრომის სახ. კომისარიატებს დაევალათ გამოსცენ განმარტება, რომ 20 სექტემბრის წინა დღით სამუშაო დღე შემოკლებული არ უნდა იქნეს.

ნაცვლად 8 განსაკუთრებულ დასასვენებელი დღისა დაწესებულია 5 განსაკუთრებული დასასვენებელი დღე.

ტრესტების ანარიცხები

ს. მ. უ. ს. სასარგებლოდ

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულ გამოკვლევით გამოირკვა, რომ 1927-28 წლისათვის მტკიცედ არ არის გამორკვეული ტრესტების მიერ საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს სასარგებლოდ შესატან ანარიცხების რაოდენობა, მაგრამ ხუთი თვის განმავლობაში ტრესტებს ყოველთვიური ანარიცხების სახით შეუტანიათ 34.933 მან. 05 კაპ. და შემთხვევით ანარიცხების სახით 7.650 მან. ამრიგად, თუ დარჩენილ შვიდი თვის განმავლობაშიაც ანარიცხები ამავე რაოდენობით იქნა შეტანილი, წლიური თანხა გამოიხატება შემთხვევითი ანარიცხების გარეშე 83.840 მან. 09 კაპ. და შემთხვევითი ანარიცხებით—91.400 მან. 04 კაპ.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეუძლებლად სცნო ანარიცხების საერთოდ მოსპობა, მაგრამ შესაძლებლად სცნო მათი შემცირება 75.000 მანეთამდე და ხარჯთ აღრიცხვის გარეშე (შემთხვევითი) ანარიცხების სრულებით მოსპობა.

სამშენებლო სეზონისათვის

მომავალ სამშენებლო სეზონისათვის საშენებლო მასალის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რა ნაგებობათა აშენება აქვთ განზრახული საქართველოს წარმოება-დაწესებულებებს, რა რაოდენობის სამშენებლო მასალა არის საჭირო განზრახული მშენებლობისათვის, რამდენი მასალა არის უკვე შეძენილი, რამდენის შეძენა, შესაძენ მასალებიდან რა რაოდენობის შეძენა აქვთ განზრახული ადგილობრივ ბაზარზე და რა რაოდენობის შემოზიდვა—მოკავშირე რესპუბლიკებიდან. შეკრებილი იქნება ცნობები სამშენებლო ქვის (ქვა, აგური და სხვ.), ხე-ტყის მასალის, ლითონის საქონლის (სახურავი რკინა, დახარისხებული რკინა და სხვ.), წყალსადენის და კანალიზაციის მოწყობილობის, შემაკავშირებელი მასალის (ცემენტი, კირი და სხ.), მინის, მოხარშული ზეთის და სადებავების შესახებ.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

სესხის რეალიზაცია ა.-კავკასიაში

(საუბარი ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილე ამხ. გეჯკენთან)

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის კამპანიის შესახებ, ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. გეჯკენმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციამ მარტის განმავლობაში სასურველი შედეგები ვერ მოგვცა, რაც აიხსნება ცუდი ამინდებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთში.

ამიერ-კავკ. მრავალ კუთხეში უჩვეულო ზამთრის გამო გაწყდა დიდძალი საქონელი, გაიზარდა საქონლის საკვების და სურსათისათვის ფასი, რაიონის ცენტრებსა და ადგილებს შორის ძალიან გაძნელებული იყო მიმოსვლა და ყველა ამ მიზეზებმა საგრძნობლად შეაფერხა სესხის რეალიზაცია.

შედარებით ნაკლებ დაზარალდა აზერბეიჯანი და ამის გამო სესხის რეალიზაციის საქმეში იქ მიღებულია უფრო მეტი შედეგი.

15 მარტისათვის აზერბეიჯანში გასაღებული იყო 1.050.000 მანეთის ობლიგაცია. 1 აპრილისათვის, მიღებული ცნობების თანახმად, რეალიზაციამ აზერბეიჯანში გადააჭარბა—1.200.000 მანეთს.

შემდეგი ადგილი უჭირავს სომხეთს, სადაც 15 მარტისათვის გასაღებული იყო 252.000 მანეთის ობლიგაცია, ხოლო 1 აპრილისათვის—325.000 მან. როგორც სომხეთში, ისე აზერბეიჯანში რეალიზაცია სხვადასხვა მაზრებში მიმდინარეობდა არა ერთნაირი ტემპით. ზოგიერთ რაიონში უკვე გასაღებულია განზრახულ რაოდენობაზე გაცილებით მეტი ობლიგაცია, ზოგიერთ რაიონებში კი გასაღებულია განზრახული რაოდენობის ნახევარი.

საქართველოში, სადაც პრაქტიკულად მეტად მკაცრი ზამთარი იყო, რეალიზაციის კამპანია მარტში საგრძნობლად შეფერხდა და ზოგიერთ ადგილას სრულიად შეწყდა.

ზოგიერთი რაიონები ჯერ კიდევ მოწყვეტილია და ამ რაიონებიდან შეუძლებელია ცნობების მიღება სესხის რეალიზაციის შესახებ.

1 აპრილისათვის ამიერ-კავკასიაში დაახლოებით გასაღებულია 2.000.000 მან. ობლიგაცია.

ეს ციფრი ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოლოდინს, შეცდომა იქნებოდა, რომ ეს ნაკლი მივაწეროთ მხოლოდ ობიექტიურ უარყოფით ფაქტორებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მაზრების ცენტრებსა და ადგილებს შორის სუსტად არის გაბმული კავშირი; ზოგიერთ მაზრებში მოისუსტეს ინსტრუქტაჟი.

ზოგიერთ რაიონებში სუსტია კონტრაგენტების ქსელი და უკანასკნელი შედგება ნაკლებ აქტიურ პირებისაგან; ბევრი რაიონებია, სადაც კონტრაგენტურა სუსტია რიცხობრივად, რაც შეუძლებელს ხდის კამპანიის ფართოდ გაშლას.

კონტრაგენტურის ქსელში სუსტად არიან ჩაბმულნი სოფლის კულტურული მუშაკები—მასწავლებლები, აგრონომები და სხ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ რაიონებში კოოპერაცია სუსტად არის ჩაბმული კამპანიაში.

უარყოფით მოვლენათა შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გლეხობას სესხის შესახებ მოხსენებებს უკეთებენ ისეთი პირები, რომლებიც კარგად ვერ არიან გარკვეული სესხის საკითხებში, შეკითხვებზე ვერ აძლევენ დამაკმაყოფილებელ პასუხს და ზოგიერთ შემთხვევაში აძლევენ არა სწორ განმარტებებს.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ ზოგიერთ რაიონებში სესხს ასაღებენ ქალაქის მშრომელთა შორის, რაც არ შეესაბამება სესხის დანიშნულებას.

რაც შეეხება სესხის რეალიზაციის მეთოდების საკითხს უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკასიაში თითქმის სრულიად არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იძულებითი რეალიზაციის მეთოდად ჩაითვალოს; მართალია იყო კერძო შემთხვევები, როდესაც გამსაღებელი ორგანიზაციები გვერდს უხვევდნენ სრული ნებაყოფლობის პრინციპს და მიმართავდნენ პირდაპირ იძულებით ზომებს, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევები იყო და მიღებულია ზომები, რომ ამგვარი რამ არ განმეორდეს.

საჭიროა გამოცოცხლებული იქნეს მუშაობა, რათა სესხის რეალიზაციაში ჩაებას მთელი გლეხობა და აღმოფხვრილი უნდა იქნას ყველა შემჩნეული დეფექტები. დარჩა რეალიზაციის უკანასკნელი თვე—აპრილი, და ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს წესით ჩავატაროთ რეალიზაციის ინსტრუქტიული შემოწმება მთელს ამიერ-კავკასიაში, რომლის დროს აღმოფხვრილი იქნება ყველა შემჩნეული დეფექტი და მუშაობა გაცხოველდება ყველა რაიონებში.

შემოწმების კამპანიაში გამოყენებული იქნება ცენტრიდან გაგზავნილი ამხანაგები და მთელი ადგილობრივი აქტივი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ზომებით შევძლებთ მივაღწიოთ განზრახულ ეფექტს.

რეალიზაციის ხელისშემწყობმა ამიერ-კავკ. ცენტრალურმა კომისიამ, რომელიც გაეცნო ჩატარებულ მუშაობას, და დეფექტებთან ერთად აღნიშნა, რომ მთელ რიგ რაიონებში კამპანია ჩატარებულია დიდის წარმატებით და მიღწეულია განზრახულზე მეტი მატერიალური შედეგები. ამის გამო კომისიამ დაადგინა: შემახის მაზრა დაჯილდოებული იქნეს [illegible] მანქანით, ლენინაკანის მაზრა—ორი გუთნით და მოძრავი რადიოთი, ხოლო აჭარისტანი და მთიანი ყარაბაღი—მოძრავი რადიოებით.

საქართველოში გასაღებულია 320.786 მან. ობლიგაცია

თელავის და სიღნაღის მაზრებიდან დაბრუნდა საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსი ნ. ნ. კოჩავა, რომელმაც გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად სოფლებში სესხის რეალიზაციის კამპანია თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა და მიმდინარეობს გაძლიერებული ტემპით.

კერძოდ თელავის და სიღნაღის მაზრებში კამპანია არაჩვეულებრივი ინტენსიობით მიმდინარეობს. საკონტრაგენტო ორგანიზაციები სამაგალითოდ მუშაობენ. სამაზრო ცენტრები მუდამ ცოცხალ კავშირში იმყოფებიან ადგილებთან. შეიძლება ითქვას, რომ თემაღმასკომების უმთავრეს ამოცანას ამჟამად სესხის რეალიზაცია წარმოადგენს. სიღნაღის მაზრაში გამოჰყვეს სპეციალური დღე სესხის რეალიზაციისათვის.

ასეთი მუშაობა გლეხობაზე დიდ გავლენას ახდენს და ისინიც ხალისით იძენენ სესხს. იყო შემთხვევა, როდესაც ერთმა გლეხმა შეიძინა 300 მანეთის ობლიგაცია. იყო მეორე შემთხვევაც, როდესაც შორეულ თემიდან ჩამოსულმა გლეხის ქალმა შეიძინა 150 მანეთის ობლიგაცია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თელავის და სიღნაღის მაზრებში სესხის რეალიზაცია დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ზოგიერთ ადგილებში ადგილი ჰქონდა სესხის იძულებით გასაღებას, მაგრამ ამას თავის დროზე მიაქციეს ყურადღება და ბოლო მოუღეს.

რაც შეეხება საქართველოს დანარჩენ კუთხეებს, დღემდე მიღებულ ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სესხის რეალიზაცია იქაც წარმატებით მიმდინარეობს.

დღევანდლამდე სიღნაღის მაზრაში სესხი გასაღებულია—50.000 მანეთის რაოდენობით, თელავის მაზრაში—47.000 მან. რაოდენობით, ლეჩხუმის მაზრაში შეგროვილია გათვალისწინებულ თანხაზე მეტი—15.300 მანეთი, ახალსენაკის მაზრაში—11.800 მან., ზუგდიდში—7.000 მან., ოზურგეთში—12.000 მან., აჭარისტანში ნაცვლად—15.000 მანეთისა—23.400 მანეთი, ქუთაისის მაზრაში—85.000 მანეთამდე, ახალციხის—33.000 მან. და შორაპნის 34.500 მანეთი.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში შევსებულია ის ნაკლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა სესხის რეალიზაციაში უამინდობის პერიოდში; შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში სესხის რეალიზაციის კამპანია მთელ საქართველოში დამთავრდება წარმატებით.

სესხის რეალიზაცია წარმატებით ჩატარდა

ბათომი, 3 აპრილი. აჭარისტანის გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია დამთავრდა დიდის წარმატებით და ნავარაუდევ თანხას 8 პროცენტით გადააჭარბა. სესხზე ხელის მოწერა განსაკუთრებულის წარმატებით ჩატარდა ზემო-აჭარაში, სადაც ზოგიერთ რაიონში ხელის მოწერამ 20 პროცენტით გადააჭარბა ვარაუდს. (ადს).

საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა

(უკანასკნელი აღწერის მიხედვით)

I. ეროვნების მიხედვით

აღწერის მიხედვით 1926 წ. 17 დეკემბერს მოსახლეობის რიცხვი უდრიდა 2.666.494 სულს.

ეროვნების მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობა არის შემდეგი:

	აბს. რიცხვი	პროც.
1. ქართველები *)	1.788.186	67,1
2. სომხები	307.018	11,5
3. აზერბ. თურქები	137.921	5,2
4. აბხაზები	56.847	2,1
5. ოსები	113.298	4,2
6. რუსები	96,085	3,6
7. ბერძნები	54.051	—
8. ებრაელები	30.584	1,1
მათ შორის:		
ქართვ. ებრაელები	20.583	—
9. დანარჩენი ეროვნ.	60.267	2,3

მოსახლეობის ეროვნების მიხედვით გამორკვევის მიზანი იყო გვქონოდა მასალა „მოსახლეობის ტომობრივ, ეთნოგრაფიულ შემადგენლობის" შესახებ. რასაკვირველია, ის მეთოდი, რომლითაც ირკვეოდა მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა (თვით დასახელება ეროვნების) არ უზრუნველყოფს ამ საკითხის მეცნიერულად გამორკვევას, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები და ეტნოგრაფები, მაგრამ მოსახლეობის მასსიური აღწერის დროს სხვა მეთოდის გამოყენება შეუძლებელი იყო, რის გამო ვკმაყოფილდებით თვითდასახელების საშუალებით მიღებულ მასალებით.

გარდა აღნიშნულ ეროვნებათა უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომები აღრიცხული იყო აღწერის დროს საქართველოში—22.287 სული.

საინტერესოა თუ როგორაა განაწილებული აღნიშნული ეროვნებანი ქალაქსა და სოფლის შორის.

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა ეროვნების მიხედვით:

	ს უ ლ		ა ქ ე დ ა ნ			
			სოფლ. მოსახლ.		ქალაქ. მოსახლ.	
	აბს.	პროც.	აბს.	პროც.	აბს.	პროც.
ქართველები	1.788.186	100	1501430	84,0	286756	16,0
სომხები	307.018	100	157473	51,3	149545	48,7
აზერბ. თურქები	137.921	100	131333	95,2	6588	4,8
რუსები	96.085	100	25682	27,0	70403	73,0
აბხაზები	56.847	100	54274	95,5	2573	4,5
ოსები	113.298	100	108230	95,5	5068	4,5
ქართვ. ებრაელები	20.583	100	5580	27,1	15003	72,9
დანარჩ.	9.951	100	633	6,4	9318	93,6
უკრაინელები	14.356	100	4937	34,4	9419	65,6
ბერძნები	54.051	100	45173	83,6	8878	16,4
გერმანელები	12.074	100	5046	41,8	7028	58,2
დანარჩ. ეროვნ.	33.837	100	19128	56,5	14709	43,5

რაც შეეხება უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს, მათი რიცხვიდან (22.287) სოფელ ადგილებში ცხოვრობენ 13.354, ხოლო ქალაქებში—8.933.

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ქალაქის მცხოვრებთა გადიდებულ პროცენტს იძლევიან თავიანთ ეროვნებათა მიხედვით რუსები (73,0 პროც.), სომხები (48,7 პროც.), ებრაელები (არა ქართველი) (93,6 პროც.), უკრაინელები (65,6 პროც.), გერმანელები 58,2 პროც.).

როგორც უმთავრესად მოსული ელემენტები, ისინი, ცხადია, უმთავრესად ცხოვრობენ ქალაქებში.

საინტერესოა მოსახლეობის შემადგენლობა ეროვნების მიხედვით ქალაქებში და სოფლებში:

ქართველები სოფლის მოსახლეობაში შეადგენენ: 72,6 ქალაქის—48,3.

ქართველები	72,6	ქალაქის	48,3
სომხები	7,6	„	25,2
თურქები	6,3	„	1,1
აბხაზები	2,6	„	0,4
ოსები	5,2	„	0,9
ებრაელები	0,3	„	4,1
რუსები	1,2	„	11,8
ბერძნები	2,2	„	1,5
დანარჩ. ეროვ.	1,4	„	5,2
	100		100

ამნაირად სოფელ-ადგილებში სჭარბობენ ქართველები, რაც სრულიად ბუნებრივია.

ქალაქის მოსახლეობაში პირველი ადგილი უკავია ქართველებს, მეორე—სომხებს, მესამე რუსებს.

ავტონომიურ ერთეულებში ჩვენ გვაქვს მოსახლეობის შემდეგი შემადგენლობა ეროვნების მიხედვით.

	ს უ ლ		სოფელ ადგილ.		ქალაქ. ადგილ,	
	აბს.	პროც.	აბს.	პროც.	აბს.	პროც.
ქართველები	67494	33,6	59047	35,0	8447	26,2
აბხაზები	55918	27,8	53855	32,0	2063	6,4
სომხები	25677	12,8	23004	13,6	2673	8,3
თურქები	276	0,1	159	0,1	117	0,4
რუსები	12553	6,2	4945	2,9	7608	23,6
ოსები	20	0,0	11	0,0	9	0,0
ებრაელები	1084	0,5	78	0,0	1006	3,1
ბერძნები	14045	7,0	10999	6,5	3046	9,4
დანარჩენ. ეროვნებანი	8937	4,4	5045	3,0	3892	12,1
უცხო-სახელმწ. ქვეშევრდ.	15012	—	11629	—	3383	—
სულ	201016	100	168772	100	32244	100

როგორც საერთოდ, ისე სოფელ ადგილებში აფხაზეთში პირველი ადგილი უჭირავთ რაოდენობის მიხედვით ქართველებს და აფხაზებს, ქალაქებში პირველი ადგილი უკავია ქართველებს, მეორე რუსებს, მესამე სომხებს.

აჭარისტანში ჩვენ გვაქვს ასეთი სურათი:

	სულ მოსახლეობა		მ ა თ შ ო რ ი ს			
			სოფელ ადგილ.		ქალაქებში	
	აბს.	პროც.	აბს.	პროც.	აბს.	პროც.
ქართველები *)	90314	68,4	71129	87,2	19185	38,1
სომხები	10476	7,9	223	0,3	10253	20,4
თურქები	51	0,0	42	0,1	9	0,0
აბხაზები	779	0,6	354	0,4	425	0,8
ოსები	102	0,1	7	0,0	95	0,2
რუსები	10190	7,7	1280	1,6	8910	17,7
ებრაელები	1986	1,5	24	0,0	1962	3,9
ბერძნები	5547	4,2	2593	3,2	2954	5,9
დანარჩ. ეროვ.	9228	7,0	4967	6,1	4261	8,5
უცხო სახელმ. ქვეშევრდ.	3284	—	860	—	2424	—
სულ	131957	100	81579	100	50378	100

აჭარისტანის ავტ. საბჭ. სოც. რესპუბლიკაში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უკავია ქართველებს (ქართ. აჭარლებს), განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, რაც შეეხება ქალაქის მცხოვრებთ, აქ რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უკავია ქართველებს (მათ რიცხვში შედიან აჭარლებიც) მეორე ადგილი სომხებს, მესამე რუსებს.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სულ არის აღრიცხული მოსახლეობა 87.375, მათ შორის სოფელ ადგილებში ცხოვრობენ 81.557 სული, ხოლო ქ. ცხინვალში 5.818 სული. ძირითადი მოსახლეობა — ოსები შეადგენენ სამხრეთ-ოსეთში 69,1%-ს. დანარჩენი მოსახლეობა წარმოდგენილია შემდეგ %%-ში: ქართველები—26,9%, ებრაელები—2,0%, სომხები—1,6% და სხვა.

სამხრეთ-ოსეთის 5.818 ქალაქის მცხოვრებთაგან ქართველები შეადგენენ 33%-ს, ოსები—19,8%-ს, ებრაელები—30,5%-ს და სხვა, სოფლის მოსახლეობაში ოსები შეადგენენ 72,5%-ს, ქართველები—26,5%-ს.

II. დედაენის მიხედვით

საკავშირო აღწერა არკვევდა აგრეთვე მოსახლეობის დედაენას. ამ კითხვის დაყენების მიზანი იყო აღრიცხვა ენის, რომელზედაც დაკითხული პირი ლაპარაკობს უმთავრესად (სალაპარაკო ენა).

სხვადასხვა მიზეზების გამო (ასიმილიაცია—ეროვნების წარმომადგენელი ხშირად არ ხმარობს თავის ეროვნების ენას). არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენელი თავის სალაპარაკო ენათ სთვლის სხვა ეროვნების ენას.

ამ მხრით დამუშავებული მასალა იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს.

შედარებითი ცხრილი საქართველოს (ავტონომიებით) მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ეროვნებისა და სალაპარაკო ენის მიხედვით (%%-ში).

	სოფელ ადგილებში	ქალაქებში	ს უ ლ
1. ქართველები	72,6	48,3	67,1
ქართ. დედაენით	74,7	56,0	70,6
2. სომხები	7,6	25,2	11,5
სომხ. დედაენით	5,5	19,5	8,6
3. თურქები	6,3	1,1	5,2
თურქ. დედაენით	8,2	1,3	6,7
4. აფხაზები	2,6	0,4	2,1
აფხაზ. დედაენით	2,2	0,4	1,8
5. ოსები	5,2	0,9	4,2
ოსური დედაენით	5,1	0,4	4,1
6. ებრაელები	0,3	4,1	1,1
ებრაელ. დედაენით	0,0	0,7	0,2
7. რუსები	1,2	11,8	3,6
რუსული დედაენით	1,5	15,0	4,5
8. ბერძნები	2,2	1,5	2,0
ბერძნ. დედაენით	1,4	2,0	1,5

აქ ჩვენ წინ იშლება საინტერესო სურათი: ქართულ ენაზე მოლაპარაკენი გაცილებით მეტია (70,6%), ვიდრე თვით ქართველები (67,1%). ცხადია, ეს ენა შეუთვისებია სხვა ეროვნებათა წარმომადგენელთა ნაწილს.

ასეთივე სურათი გვაქვს რუსული და აზერბ. თურქულ ენათა შესახებაც: ამ ენებზე მოლაპარაკენი მეტია, ვიდრე თვით ეს ეროვნებანი.

რაც შეეხება სომხებს, აფხაზებს, ოსებს; ებრაელებს და ბერძნებს, მათი საგრძნობი ნაწილი არ ლაპარაკობს თავის ეროვნების ენაზე და დედა-ენათ მიაჩნია სხვა ეროვნებათა ენები.

საინტერესო მასალას იძლევა აღწერა, თუ რომელ ეროვნებას რა ენები აქვს მიჩნეული დედაენათ (სალაპარაკო ენათ):

1.788.186 ქართველიდან თავის დედაენათ სთვლიან: ქართველურ ენებს (ქართული, მეგრული, სვანური) 98,9% ქართველებისა, თურქულს 0,7%, რუსულს 0,1%, დანარჩენ ენებს 0,3%.

307.081 სომხიდან თავის დედა-ენათ სთვლის: სომხურს—73,2% სომხებისა, ქართულს 24,1%, თურქულს—0,9%, რუსულს—1,7%, არაა აღნიშნული ენა—0,1%.

96.085 რუსიდან თავის დედაენათ სთვლის: რუსულ ენას 98,5% რუსებისა, ქართულს 1,3%, დანარჩენ ენებს 0,1%, არ უჩვენებია ენა 0,1%-ს.

137,921 აზერბეიჯანელი თურქიდან თავის დედაენათ სთვლიან: თურქულს 99,8%, ქართულს—0,1%, რუსულს—0,1%.

56.847 აფხაზიდან აფხაზურ ენას სთვლის თავის ენათ—84,0%, ქართველურ ენებს 15,8%, რუსულს—0,2%.

113.298 ოსიდან თავის ენათ სთვლის ოსურს 96,9%, ქართულს—2,9%, რუსულს—0,1%, არ უჩვენებია 0,1%.

თუ ავიღებთ საქართველოს მთელ მოსახლეობას, თავისი ეროვნების ენა მიაჩნია თავის დედა-ენათ მხოლოდ 91,3% მოსახლეობისა. დანარჩენ 8,7%-ს მოსახლეობისა დედაენათ მიაჩნია არა თავისი ეროვნების ენა.

განსაკუთრებით მაგრად დგანან თავის ეროვნების ენაზე აზერბ. თურქები, ქართველები და რუსები. დანარჩენი ეროვნებანი გაცილებით ადვილად სტოვებენ თავის ეროვნების ენას და ითვისებენ სხვა ეროვნებათა ენებს.

III. წერა - კითხვა

წერა-კითხვის ცოდნას ჩვენ ვანგარიშობთ მოსახლეობის 5 წლის ჰასაკიდან, ვინაიდან წერა-კითხვის მცოდნენი გვხვდებიან ამ ჰასაკიდანვე.

სხვადასხვა რაიონებში წერა-კითხვის დონე 1926 წლის მიწურულში იყო ასეთი (%%-ში):

	მთელ მოსახლ.	ქალაქ. მოსახლ.	სოფ. მოსახლ.
მაზრები:			
ახალქალაქის	22,6	66,2	20,4
ახალციხის	16,7	66,6	7,7
ბორჩალოს	16,0	59,6	9,2
ზემო-სვანეთ.	22,3	—	22,3
გორის	40,1	68,6	35,0
დუშეთის	24,5	78,6	22,5
ზუგდიდის	35,6	65,7	33,6
ქუთაისის	49,7	70,3	42,3
ლეჩხუმის	35,7	55,7	34,8
ოზურგეთის	63,1	73,4	62,1
ფოთის რაიონი	71,1	71,3	61,5
რაჭის მ.	56,0	65,5	55,5
სენაკის	47,3	76,2	46,6
სიღნაღის	42,8	69,8	40,4
თელავის	44,4	76,6	40,9
თბილისის	60,5	74,3	30,9
შორაპნის	45,8	78,9	43,1
აბხაზ. ს. ს. რ.	33,0	69,3	25,7
აჭარისტანის ავტ. რესპ.	34,3	68,0	12,6
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი	18,6	54,6	15,9
ს უ ლ	43,1	72,1	34,3

ამნაირად წერა-კითხვის დონის მიხედვით პირველი ადგილი მაზრებიდან უკავია ოზურგეთის მაზრას, მეორე თბილისის; მესამე რაჭის მაზრას. უკანასკნელი ადგილი უკავია ბორჩალოს და ახალციხის მაზრებს. ეს საერთოდ, თუ ავიღებთ ცალკე ქალაქის მოსახლეობას, დავინახავთ, რომ წერა-კითხვის ცოდნის მიხედვით პირველი ადგილი უკავია შორაპნის მაზრას, მეორე—დუშეთის მაზრას, მესამე თელავს, მეოთხე თბილისს, უკანასკნელი ადგილი აქ უკავია სამხრეთ-ოსეთს და ლეჩხუმის მაზრას.

საერთოდ მთელ საქართველოში წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენენ 43,1%-ს, ამათში ქალაქებში—72,1%, სოფელ ადგილებში—34,3%.

წერა-კითხვის ცოდნა გაცილებით მაღლა დგას მამაკაცებში. მთელ საქართველოში მამაკაცთა შორის წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენენ 50,2%-ს, ამათგან ქალაქებში 76,9%, სოფლებში—41,9%.

დედაკაცებში წერა-კითხვის მცოდნენი მთელ საქართველოში შეადგენენ მხოლოდ 35,9%-ს, ამათგან ქალაქებში 66,9%, სოფლებში—26,6%.

წლოვანების მიხედვით ჩვენ გვაქვს წერა-კითხვის ასეთი სურათი:

ქალაქის ორივე სქესის მცხოვრებთა შორის წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენენ 5—9 წლის ჰასაკში 34,0%, 10—14 ჰასაკში 83,6%, 15—19 ჰასაკში 84,9%, 20—24 ჰასაკში 83,3%, 25—29 ჰასაკში 81,1%, 30—34 ჰასაკში—77,4%. ამ ჰასაკიდან დაწყებული წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი თანდათან ეცემა.

სასკოლო ჰასაკის მოსახლეობაში (8—11 წლის) ქალაქებში წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენენ 73,6%-ს, 15—39 ჰასაკში (წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პერიოდი) წერა-კითხვის მცოდნენი—81,8%.

სამუშაო ჰასაკში 16—55 წ. წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცები შეადგენენ 83,9%-ს, დედაკაცები სამუშაო ჰასაკში 14—54 წ. წერა-კითხვის მცოდნენი 73,5%.

ეს მასალები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ქალაქებში ვერ მოგვითავსებია სკოლებში სასკოლო ჰასაკის მთელი მოსახლეობა. ასეთივე სურათია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მხრითაც.

სოფლის მოსახლეობაში 5—9 წლის ჰასაკთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა უდრის 13,5%, 10—14 წლის—50,8%, 15—19 წლის—50,1%, 20—24 წლის—48,3%. აქ 19 წლიდან დაწყებული წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი კლებულობს.

სასკოლო ჰასაკის მოსახლეობაში (8—11 წ.) სოფლებში წერა-კითხვის მცოდნენი შეადგენენ 38,8%. 15—39 წლის ჰასაკში (წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის პერიოდი) 44,0%.

სამუშაო ჰასაკის მოსახლეობაში (16—59) წერა-კითხვის მცოდნე მამაკაცთა რიცხვი უდრის 49,9%-ს, ხოლო დედაკაცთა—(14—54 წ.)—30,8%.

თუ ორივე სქესის მთელ მოსახლეობას ავიღებთ, 5—9 წლის ჰასაკში წერა-კითხვის მცოდნეს მხოლოდ 16,8%, 10—14 წლის ჰასაკში—57,0%, 15—19 წლის—58,7%, 20—24 წ.—61,1%. ამ ჰასაკიდან წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი იწყებს კლებას.

სასკოლო ჰასაკში (8—11 წ.) ორივე სქესის მთელ მოსახლეობიდან წერა-კითხვა იცის 44,7%-მა, 15—39 წლის ჰასაკში 54,4%-მა, სამუშაო ჰასაკში (16—59) მამაკაცებია წერა-კითხვის მცოდნე 59,5%. დედაკაცები (14—54 წ.)—41,9%.

როგორია წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა თვითეულ ეროვნებაში?

ქართველებთა შორის 5 წლის ჰასაკის ზევით, წერა-კითხვა იცის 45,8%-მა, სომხებში 46,2%-მა, აზერბ. თურქებში—5,8%, აფხაზებში 12,7%, ოსებში 14,4%, რუსებში 77,1%. წერა-კითხვა ყველაზე უფრო გავრცელებულია რუსებში.

საინტერესო სურათს წარმოადგენს თუ რა ენებზე გვყავს წერა-კითხვის მცოდნენი.

წერა-კითხვის მცოდნეთა შორის, წერა-კითხვა იცის (%%-ში).

ეროვნება	მხოლოდ თავის ეროვნულ ენაზე	მხოლოდ ქართულ ენაზე	მხოლოდ რუსულ ენაზე	თავის ეროვნ. ენაზე და ქართულზე	თავის ეროვნ. ენაზე და რუსულზე	თავის ეროვნ. ენაზე, ქართ. და რუსულზე	ქართულზე და რუსულზე	დანარჩენ ენებზე
ქართველები	75,1	—	0,5	—	24,2	—	—	0,2
სომხები	34,1	19,5	4,9	2,8	20,5	10,7	7,2	0,3
აზერბ. თურქები	70,0	1,9	4,7	1,7	15,4	3,7	1,0	1,6
აფხაზები	7,7	13,3	30,1	0,4	32,1	2,8	12,3	1,3
ოსები	14,3	42,3	5,9	4,2	13,6	6,6	12,6	0,1
ქართვ. ებრაელები	78,3	—	2,4	—	18,7	—	—	0,6
დანარჩ. ებრაელები	4,5	3,0	59,4	0,4	17,7	1,8	8,9	4,3
რუსები	87,9	0,6	—	10,1	—	—	—	1,4
უკრაინელები	12,6	—	50,8	—	34,5	0,2	0,6	1,3
ბერძნები	46,9	1,3	25,0	1,3	18,6	3,1	3,3	0,5
გერმანელები	40,8	0,1	4,5	1,3	45,2	6,2	1,1	0,8
დანარჩ. ეროვნ.	17,8	6,7	30,2	0,8	25,0	2,8	8,9	7,8
ს უ ლ	66,4	3,4	2,9	1,2	19,6	1,6	3,7	1,2

თავის ეროვნულ ენაზე წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტების მხრით პირველი ადგილი უკავიათ ქართველ ებრაელებს, მეორე ადგილი ქართველებს და მესამე ადგილი აზერბ. თურქებს. ძალიან მცირე არის პროცენტი ისეთ პირთა, რომლებმაც იციან წერა კითხვა თავის ეროვნულ ენაზე, ქართულზე და რუსულზე.

IV. მოსახლეობის ზრდა

ყურადღების მისაქცევია მოსახლეობის ზრდა ამ უკანასკნელ წლებში.

საბჭოთა საქართველოში ადგილი ჰქონდა შემდეგ აღწერებს: 1922 წ.—ქალაქის მოსახლეობის აღწერა, 1923 წ.—სასოფლო-სამეურნეო აღწერა, 1926 წ. კი მთელ კავშირთან ერთად მოსახლეობის საერთო აღწერა.

ამ მასალების შედარება იძლევა მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობისა და კულტურულ დონის დინამიკის მეტად საინტერესო სურათს.

1922 წ. მთელი ქალაქის მოსახლეობა საქართველოში უდრიდა—502.268. 1926 წ. კი უდრის 594.221.

ამ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში ქალაქის მოსახლეობა გაზრდილა 91.953 სულით, ე. ი. 18,3 პროც. ცხადია ეს ზრდა მეტად ჩქარი ტემპით სწარმოებს.

ქალაქის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა აღნიშნულ პერიოდში შეიცვალა ამნაირად (პროცენტებში):

	1922 წ.	1926 წ.
ქართველები	46,7	48,3
სომხები	27,0	25,2
აზერბ. თურქები	0,7	1,1
რუსები	11,8	14,8
დანარჩენი	13,8	10,6

ხვედრითი წონის მიხედვით შემცირებას იძლევიან სომხები, იზრდებიან ქართველები, რუსები, თურქები, დანარჩენი ეროვნებანიც განიცდიან შემცირებას.

აბსოლიუტურ რიცხვში კი შესამჩნევ ზრდას იძლევიან საქართველოს მთავარი ეროვნებანი. მაგალ., ქალაქის მოსახლეობაში გაიზარდენ 1922 წლ. 1926 წლამდე: ქართველები 234.452 სულიდან 286.756 სულამდე, სომხები 135.509-დან 149.545-მდე, რუსები 59.320-დან 80.086-მდე.

სოფლის მოსახ. იყო აღრიცხული 1923 წ. 1.936.672 სული, 1926 წ. კი 2.072.273 სული, ე. ი. ამ ორი წლის განმავლობაში სოფლის მოსახლეობა გაზრდილა 7 პროც. სოფლის მოსახლეობა არ იზრდება ისეთი ტემპით, როგორც ქალაქის. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი სოფელი იძლევა, მიწის სიმცირის გამო, მეტად დიდ ზედმეტ მოსახლეობას, რომელიც მიილტვის ქალაქისაკენ სამუშაოთ.

V. წერა-კითხვის დინამიკა

ვინაიდან 1926 წლამდე საბჭოთა საქართველოში ჩატარებული ორი აღწერა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისა მოხდა სხვადასხვა წლებში, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს საშუალება 1926 წლის მასალები მთელი მოსახლეობის შესახებ შევადაროთ ერთ განსაზღვრულ დროს მასალებს, რის გამო ჩვენ გვიხდება ცალ-ცალკე შედარება სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის.

მოსახლეობა 5 და მეტი წლის ჰასაკის იყო:

ქალაქებში	სოფლებში
1922 წ.—454.398	1923 წ.—1.672.189
1926 წ.—527.684	1926 წ.—1.743.519

მათ შორის წერა-კითხვის მცოდნენი:

	ქალაქებში	
	აბს. რიცხვი	პროც.
1922 წ.	306.287	67,4
1926 წ.	380.624	72,1

	ს ო ფ ლ ე ბ შ ი	
	აბსოლ.	პროც.
1923 წ.	378.985	22,7
1926 წ.	598.510	34,3

მართალია, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი ამ მოკლე დროს განმავლობაში საგრძნობლად გადიდებულია: ქალაქებში—67,4 პროცენტ.-დან 72,1 პროც.-მდე, სოფლებში 22,7 პროც.-დან 34,3 პროც.-მდე, მაგრამ ეს ტემპი მაინც არაა საკმარისი წერა-კითხვის უცოდინარობის უმახლობელეს წლებში ლიკვიდაციის ლოზუნგის გასატარებლად.

ა. რუხაძე.

---

*) ამათში აჭარლები 71.390, მეგრელები—242.289, ლაზები—639, სვანები 13.158. ამ ტომების რაოდენობა არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად, ვინაიდან ბევრმა მათგანმა თავი აჩვენა აღწერის დროს ქართველთა და არ მიუთითა ტომზე, რის გამო ძნელი შეიქნა მათი გამოცალკავება ქართველების საერთო რიცხვიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკავშირო სტატ. ცენტრ. სამმართველოს ოფიციალურ ორგანოში „სტატისტ. ობოზრ." № 11-ში მოთავსებულ წერილში კავშირის მოსახლეობის ტომობრივ შემადგენლობის შესახებ ამხ. სემიონოვი აღნიშნავდა მეგრელებისა და სვანების რიცხვის შემცირებას. ის სწერდა:

„1897 წლ. მასალებთან შედარებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მეგრელების რიცხვი ამ 30 წლის განმავლობაში დარჩა თითქმის უცვლელათ: მაშინ ისინი იყო აღრიცხული 239.306, სვანების რიცხვი კი შემცირდა 15.700-დან 13.158-მდე". ავტორი არ აძლევს ახსნას ამ მოვლენას. ნამდვილად კი ეს აიხსნება, განსაკუთრებით, მეგრელების შესახებ იმ გარემოებით, რომ ბევრმა მათგანმა თავი აჩვენა ქართველათ ტომის მიუთითებლათ.

ა. რ.

*) ამ რიცხვში შედიან აჭარლებიც.

ქრონიკა

სრ. საკავშირო სატუბერკულოზო მე-4 ყრილობა

სრულიად საკავშირო სატუბერკულოზო მე-4 ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო; შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 7 ნახ. საათზე სოციალურ ჰიგიენის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ., 12), იწვევს ქალაქის ექიმთა და სოციალურ დახმარების საბჭოების და ტუბუჯრედების წარმომადგენელთა კრებას, რომელზედაც განხილული იქნება: 1) ყრილობის ორგბიუროს ანგარიში, 2) ტუბდისპანსერების საანგარიშო მოხსენებები და სოც. დახმარების საბჭოების წარმომადგენელთა თანამოხსენებები.

ისტორიულ მნიშვნელობის ძეგლთა დაცვა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მოიწონა სოციალურ-კულტურულ სექციის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებები ისტორიულ მნიშვნელობის სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დასაცავათ.

ახალი შენობა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის

გადაწყვეტილია ბიბლიოთეკისათვის ახალი შენობის აგება. უნივერსიტეტის გამგეობამ გამოაცხადა კონკურსი ბიბლიოთეკის შენობის საუკეთესო პროექტზე.

შესდგა საკონკურსო ჟიური: ამხ. ლ. ქართველიშვილის, დ. კანდელაკის, თ. ღლონტის, დამსახ. პროფ. გ. წერეთლის, ორი მხატვრის და ორი ინჟინერის შემადგენლობით. კონკურსი გაგრძელდება აპრილის შუა რიცხვებამდე.

საბინაო მშენებლობა

საქართველოს სახ. საგეგმო კომისიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ცენტ. კომუნალურ ბანკის წინაშე, რათა საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ 10 მილიონიან სათადარიგო ფონდიდან, გასულ წელს დაწყებულ სახლების დასამთავრებლად საქართველოს საბინაო-საამშენებლო კოოპერაციას მიეცეს 247.000 მანეთი, ხოლო თბილისის აღმასკომს —903.000 მანეთი.

ბავშვთა დამხმარე კომისიაში

საქართველოს ცაკთან არსებულმა უმწეო ბავშვთა დამხმარე კომისიამ მარტის განმავლობაში დახმარება აღმოუჩინა 126 ბავშვს. მათ შორის 48 ქალს.

126 ბავშვიდან 24 ბავშვი უფასოთ გაიგზავნება თავიანთ სამშობლოში, 17 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება, 2 ბავშვი გაიგზავნა ამბულატორიაში საექიმოთ, 1-იზოლატორში, 69 ბავშვს დაენიშნა სტიპენდია, 13 ბავშვს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება.

სულ უმწეო ბავშვებისათვის დახმარების გასაწევათ კომისიამ მარტში დახარჯა 544 მანეთი.

ამავე თვეში კომისიამ უპატრონო ბავშვთა კოლექტივს დახმარების სახით მისცა 200 მანეთი. და დუშეთის საბავშვო სახლს—300 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაის მუშათა კლუბის შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი

◆ ჰლექის დისპანსერი. ჰლექის ახალი დისპანსერის აგება დამთავრდება მიმდინარე წელს.

◆ კეთილმოწყობა. თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ავლაბრის, ლენინის რაიონის, ხარფუხის, საბურთალოს და ვაკეს კეთილმოწყობას.

◆ აღბულაღის გზის შესაკეთებლად გადაიდო 28.500 მანეთი.

◆ მუშათა თეატრის საჭიროებისათვის თბილისის აღმასკომმა გადასდო 10.000 მან.

მიწსახკომში

◆ ღვინის სარდაფი. მიწსახკომმა დაამტკიცა რაჭაში ღვინის ახალი სარდაფის აგების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

◆ ცხენთსაშენი. ქუთაისში მიწსახკომმა მოაწყო ცხენთა მოსაშენებელი სადგურები.

◆ მეფუტკრეობის კურსები. მიწსახკომმა დაადგინა სიღნაღში წელს გახსნას მეფუტკრეობის კურსები.

◆ ვენახების აღსადგენათ. თელავის მაზრაში ვენახების აღსადგენათ მიწსახკომმა გადადო 16.000 მ.

განათლების კომისარიატში

◆ გლეხთა სკოლებში. განსახკომმა დაადგინა ლეჩხუმის მაზრაში გააფართოოს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების ქსელი.

◆ ახალი შენობა. განსახკომის თაოსნობით ზესტაფონში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის ახალი დიდი შენობის აგება.

სახ. უნივერსიტეტში

◆ ეკონომიურ წრის საჯარო სხდომაზე რომელიც შესდგება დღეს საღამოს 7 ს. უნივერსიტეტის კლუბში, მ. მახვილაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ირვინგ ფიშერი და კ. მარქსი პოლიტიკურ ეკონომიის კერძო საკითხში. ფულის თეორიაში".

◆ ბუნებისმეტყველო სამეცნიერო წრეში დღეს, საღამოს 6 ს. ვანო ბაქრაძე წაიკითხავს მოხსენებას: „რაჭის კავკასიონის გეომორფოლოგია". წრის სხდომა შესდგება მე-88 აუდიტორიაში.

◆ პროფ. ნ. კახიანის სახელობის წრე. თბ. სახ. უნ. ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრეს დაერქვა: „პროფ. ნ. კახიანის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო წრე".

◆ პროფ. მელიქიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო აგრონომიულ წრის საჯარო სხდომაზე დღეს, საღამოს 6 ს. მე-4 აუდიტორიაში შალვა ცქიტიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „მეაბრეშუმეობა საქართველოში და მისი პერსპექტივები".

სხვადასხვა

◆ ელსადგური. ყარაიაზში დამთავრდა ახალი ელსადგურის აგება. სადგური სინათლეს მიაწოდებს ახლო-მახლო მდებარე სოფლებსაც.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები: ბაქოდან—სამოილოვს, მოსკოვიდან—კვიტკოვსკის, ორშიდან—ძაძიჩელის, არმავირიდან—ბრიანსკის, ლენინაკანიდან—ბათუმჯანაშვილს, ერევნიდან—რიშარს, სამარკანიდან—უშვერიძეს.

ჟურნ. „მნათობი" № 3

გამოვიდა და იყიდება ჟურნალ „მნათობი"-ს მორიგი ნომერი (№ 3).

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები. პოეზია: გიორგი ქუჩიშვილი—სტუდენტების სიმღერა, კონსტ. ლორთქიფანიძე, მეზობელი—გრ. ცეცხლაძე, თბილისი ნოე ზომლეთელი, ფერების ფონზე, კალე ფილდოსიშვილი—ამხანაგ ბეზიმენსკის. ვარლამ ჟურული—თქმულება შამილზე; პროზა: მიხეილ ჯავახიშვილი—ქურდი, კონსტ. გამსახურდია—ლილ, ჯაჯუ ჯორჯიკია—რეჟიმის შვილები, აკაკი პაპავა—სპირიდონის გასაჭირი, პანტელეიმონ რომანოვი—არაბული ზღაპარი (თარგ. ვ. ბ.ძის), ბორ. ლავრენიოვი—„ლეიევა"; კრიტიკა: ვ. ბასტაძე—კრიტიკული შენიშვნები, პლატონ ქიქოძე—ქართული მწერლობის ერთი წელი (დასასრული) ვარლამ ხურიძე—ჰენრიხ იბსენი, ალექსი ოჩიაური—„თეთრი საყელო" და ხევსურეთი, გ. ნანეიშვილი—ერთი წიგნის მეთოდოლოგიისათვის; ბიბლიოგრაფია: მ. მუშიშვილი—„ბრიფიონი", Stahl—"პროლეტარული მწერლობა", და კ. გ. გოეტეს ფაუსტი.

შემთხვევები

ჯიბგირი საფეიქრო სინდიკატში

გუშინ, დღისით საგარეჯოდან ჩამოსულ მოქ. ილია ქაიხოსროშვილს ვიღაც ჯიბგირმა საფეიქრო სინდიკატში ჯიბიდან ამოაცალა 300 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

გუშინ დღისით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ალექსანდრა ვლადიმეროვას ბინა (გულმისრის ქ., 6), წაიღეს 150 მანეთის ნივთები;—გაქურდეს იოსებ დიმიტრაშვილის ბინა (ბელინსკის ქ., 25); წაიღეს 100 მანეთის ნივთები. კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს ა.-კ. საგზაო სატრანსპორტო კოოპერატივის მაღაზია (პლეხანოვის პროსპექტი, 103); წაიღეს 176 მანეთის საქონელი.

გუშინ, დღისით გაქურდეს ნიკოლოზ ბოგაჩოვის ბინა (იზმაილოვის ქ., 5), წაიღეს 150 მანეთის ნივთები;—გაქურდეს მუშკოოპის სავაჭრო მაღაზია (ლენინის ქ., 3), წაიღეს 500 მანეთის საქონელი;—გაქურდეს მუშკოოპის დუქანი (რუსთაველის პროსპექტი, 4), წაიღეს 100 მანეთის საქონელი;—გაქურდეს გიორგი დანელიას ბინა (ტრამვაის ქ., 15), —წაიღეს 147 მ. ტანსაცმელი.

თავდამსხმელთა დაპატიმრება

რამოდენიმე ხნის წინად რევოლვერებით შეიარაღებული ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ 19 თებერვლის ქუჩაზე, № 10-ში მოთავსებულ მუშკოოპის მაღაზიას. სისხლის სამართლის მილიციამ თავდამსხმელები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდენ: შოთა ირაკლისძე რამიშვილი, სიმონ ირაკლისძე ბერიძე, გიორგი ვლადიმერისძე ჭინჭარაშვილი და აკაკი კონსტანტინესძე პაიჭაძე.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქსენია გრიგოლის ასული ვასილიევა და არტავა მიხეილისძე გეორქიანცი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

გუშინ მილიციამ დააპატიმრა მიხეილ იაკობისძე ასატუროვი და ანდრონიკ არშაკისძე ყაზარიანცი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა.

ცხვრის ქურდები

რამოდენიმე ხნის წინად სოფ. კონსტანტინოვკაში (აღბულაღის რაიონი) მცხოვრებს სარქის მირზოევს მოპარეს ცხვრები. ამ საქმის გამო მილიციამ დააპატიმრა ივანე ზაპოროჟეცი, კონსტანტინე პალიტაევი და კონსტანტინე ეგოროვი.

ქურდობა აღბულაღის საბავშვო სახლში

გუშინწინ, ღამით გაქურდეს აღბულაღის საბავშვო სახლი; წაიღეს 150 მანეთის ნივთები. ქურდი არშაკ ოსიპოვი დაპატიმრებულია.

სამი კაცის დაკარგვა

29 მარტს, უგზო-უკვლოდ დაიკარგენ: ივანე ოვაკისძე მანჯოიანცი, 14 წლისა (მცხ. დუმბაძის ქ., 4), ლუსია მიხეილის ასული გაბაევი 24 წლისა (მცხ. ბელინსკის ქ., 43); და მიხეილ რაფიელისძე დუმბაძე, 17 წლისა (მცხ. ფრეილინის ქ., 9).

გამოტყუება

გუშინ, დღისით სოფ. ხარხეთიდან (დუშეთის მაზრა), ჩამოსულ გლეხს—ირაკლი ღვინიაშვილს შუა ბაზარში ვიღაც უცნობმა პირმა გამოსტყუა 985 მანეთი და მიიმალა.

ამიერ-კავკასიის ცაკში

დახმარება სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულებს

ა.-კ. ცაკმა საკავშირო ცაკის წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რათა 1927 წლის შემოდგომაზე სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენათ საქართველოს სახკომსაბჭოს გადაეცეს საჭირო თანხები.

ანგარიშების წარდგენა

ა.-კ. ცაკის დადგენილებით ამიერ-კავკასიაში მომქმედი საკავშირო გაერთიანებული დაწესებულებები ვალდებული არიან ხარჯთ-აღრიცხვის ასლები და საკონტროლო ციფრების პროექტის დასკვნები წარადგინონ ა.-კ. ფინსახკომში მაშინვე, როდესაც ასეთებს ადგენენ საუწყებო ცენტრში.

ა. გაბერ კორნის დანიშვნა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით ა.-კ. გაერთიანებული პოლიტსამართველოს პროკურორათ დანიშნულია ამხ. ანტონ ივანესძე გაბერკორნი.

პასუხისმგებლობა

ა.-კ. ცაკმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცაკებს, სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანონ დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ორ ურთიერთ დამხმარე საზოგადოებაში ერთდროულათ მონაწილეობისათვის და ურთიერთ დამხმარე საზოგადოების თანამდებობის პირს საზოგადოების წესდების და კანონის დარღვევისათვის პასუხისგების საქმეში გაათანაბრებს სხვა თანამდებობის პირებთან.

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში

პენსიების მისაცემად

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ განკარგულება მისცა განყოფილების საფინანსო ნაწილს ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ომის და შრომის ინვალიდებისათვის პენსიების მისაცემად ამ თვეში ნაწილ-ნაწილად გადასცეს განყოფილების თბილისის საპენსიო ნაწილს—3.300 მანეთი.

სოც. უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარათ

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში სოც. უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარად აჭარისტანის ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებას თავისი საშუალებიდან გადაუგზავნა 2.000 მანეთი.

დახმარება სამხედრო პირებს

სამხედრო სამსახურში დაავადებულ პირების და მათი ოჯახების, ომში მოკლულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირების ოჯახების, წითელ არმიელთა ოჯახების, კონტრრევოლიუციასთან ბრძოლაში დასახიჩრებულ და დახოცილ პირების ოჯახების სახელმწიფო უზრუნველსაყოფად გამოცემულ დებულების ცხოვრებაში სისწორით გასატარებლად საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ გამოიმუშავა სათანადო ინსტრუქცია. ეს ინსტრუქცია ახლო მომავალში სახელმძღვანელოდ დაეგზავნება მაზრებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს.

ნავთსადგურებში

საამშენებლო მუშაობა სოხუმის ნავთსადგურში

საამშენებლო მასალის მომარაგება სოხუმის ნაპირის გასამაგრებელ კედლის ამოსაყვანად დამთავრდა. მუშაობა დაიწყება აპრილის მეორე ნახევარში. მიმდინარე საამშენებლო სეზონში განზრახულია კედლის რემონტი 80 მეტრის სიგრძეზე. დასრულდა მოსამზადებელი მუშაობა გემების მისადგომის ასაშენებლად. დაიწყო რკინა-ბეტონის სანიმუშო ბლოკების დამზადება. ამ დღეებში ბათომიდან და ფოთიდან მიღებული იქნება ყველა საჭირო მანქანები ნავთსადგურის ასაშენებლად. ა.-კ. ნავთსადგურების განყოფილებიდან საბინაო მშენებლობისათვის მიღებულ 25.000 მან. დაიწყო მუშაობა ნავთსადგურის სამმართველოს შენობის აღსადგენად (ადს).

ქუთაისი

წყალსადენზე მუშაობის დაწყება

უკვე დაიწყო მუშაობა ქუთაისის წყალსადენის მოსაწყობად. პირველ რიგში მუშაობა სწარმოებს მწვანეყვავილაში, სადაც უნდა აგებულ იქნას წყლის მთავარი აუზი. ინჟენერი ნ. თუმანიშვილი, რომელიც ასრულებდა კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილის მოვალეობას, განთავისუფლებულ იქნა ამ მოვალეობიდან და დაინიშნა წყალსადენის სამუშაოთა მთავარ გამგე-ხელმძღვანელად.

რიონჰესის სამუშაოთა გამოცოცხლება

ქუთაისში ჩამოვიდა რიონჰესის სამუშაოთა მთავარი მწარმოებელი ინჟენერი მელიქ-ფაშაევი. კარგი ამინდების დადგომის გამო რაიონჰესზე ზამთარში შეჩერებული მუშაობა გამოცოცხლდა.

ბანკის სახელწოდების შეცვლა

თბილისის კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ცირკულიარი დაუგზავნა სამაზრო აღმასკომებსა და სხვა დაწესებულება-ორგანიზაციებს იმის შესახებ, რომ აპრილის პირველი რიცხვიდან თბილისის ქალაქის ბანკი გადაკეთდა საქართველოს კომუნალურ ბანკად.

„საქმეშმს"-ის საღამო

31 მარტს, მე-3 ინტერნაციონალის კლუბში საქართველოს მუშა-ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების „საქმეშმს"-ის ქუთაისის განყოფილებამ გამართა საღამო თავისი საშუალებათა გასაძლიერებლად. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო.

საწერი მანქანების კანტორა

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირმა აკაკი წერეთლის ქუჩაზე გახსნა საწერი მანქანების კანტორა, სადაც შედარებით იაფად ბეჭდავენ სხვადასხვა ქაღალდებს.

ახალქვირას აღარ დღესასწაულობენ

ქვიტირის თემის, ვაკისუბნისა და ქვემოქვიტირის მცხოვრებლებმა გამოიტანეს დადგენილება, რომ შემდეგში აღარ იდღესასწაულონ „ახალკვირა".

„კოოპერაცია"-ს ახალი მაღაზია

ქუთაისის მუშკოოპმა „კოოპერაციამ" რ. ლუქსემბურგისა და კ. ლიბკნეხტის ქუჩების კუთხეში გახსნა ფეხსაცმელების მეორე მაღაზია.

კურორტების მომარაგება

სამომხმარებლო საქონლით

აქამდე კურორტების სამომხმარებლო საქონლით მომარაგება სწარმოებდა კერძო მოიჯარადრეების, ან თვით საკურორტო სამმართველოსაგან დანიშნულ პირების მიერ. კოოპერაციის საშუალებით კურორტების საქონლით მომარაგებას აქამდე ყურადღება არ ექცეოდა.

წელს პირველად მიექცა ამას ყურადღება ამ მიზნით ცეკავშირთან მოწვეული იყო საკურორტო რაიონებში მომქმედ კოოპერატივების და საქართველოს საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელთა სპეციალური თათბირი.

თათბირზე მიღებულ მასალათა მიხედვით, ცეკავშირმა შეიმუშავა კურორტებისათვის სამსახურის გაწევის გეგმა, რომელიც წარედგინება განსახილველად საქართველოს სახკომსაბჭოს.

ამასთან ერთად სახკომსაბჭოს წინაშე ცეკავშირის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს დასვას საკითხი საკურორტო რაიონებში მომქმედ კოოპერატივებისათვის საბანკო კრედიტების გაძლიერების შესახებ.

წყალზე დახმარების საქმის რეორგანიზაცია

პირველ აპრილისათვის დამთავრდა წყალზე დამხმარე ამიერ-კავკასიის და ადგილობრივ კომიტეტების ლიკვიდაცია. მათი ფუნქციები გადაეცა ადგილებზე ახლად დაარსებულ წყალზე დამხმარე ნებაყოფლობით საზოგადოებებს.

ორგანიზაციის ასეთი სტრუქტურის დროს ძირითად აპარატს (გადამრჩენები) ინახავს გზათა კომისარიატი, ხოლო დანარჩენ საჭიროებათათვის საჭირო საშუალებათა გამონახვა ხდება თვით საზოგადოებების მიერ.

თბილისში წყალზე დამხმარე საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებულია. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ვარლამ მესხი, ხოლო მის თანაშემწედ ამხ. ლადო აბაშიძე.

საზოგადოება უკვე შეუდგა მუშაობას. მის განკარგულებაში გადავიდა მტკვარზე არსებული ყველა დამხმარე პუნქტები მთელი შტატით და ქონებით.

პირველ აპრილიდან მტკვარზე თბილისის ფარგლებში დამხმარე პუნქტების რიცხვი გადიდებულია თორმეტამდე. უფრო საშიშ პუნქტებზე დაყენებულია ორ-ორი კაცი. მდინარის ადიდების პერიოდში ამ ადგილებში დახმარების საქმე კიდევ უფრო გაძლიერდება. საშიშ ადგილებად მიჩნეულია: რიყე, ვერის ბორანი და მარქსის ხიდი.

წრევანდელ ზაფხულში წყალზე დახმარების თბილისის საზოგადოება ვერის ბორანთან აწყობს საბანაოებს ქალებისა და ვაჟებისათვის; მარცხის თავიდან ასაცილებლად ამ ადგილებში გაძლიერებული იქნება თვალყურის დევნება მოცურავეებზე.

მდინარეების ადიდება

თოვლის დნობა

ბათომი, 3 აპრილი. ხულოს მაზრის სოფელ დისფანაურელიდან მოსულები იუწყებიან, რომ მთელ გზაზე ხულოს ზემოთ და გოდერძის უღელტეხილამდე ჯერ კიდევ დიდი თოვლი დევს, რომლის სიღრმე ალაგ-ალაგ 2 მეტრს აღწევს.

თბილი ამინდების გამო თოვლი სწრაფად დნება, დიდდება რაიონის ყველა მდინარე და ხევები, რომლებიც აჭარის წყალს უერთდება. აჭარის წყალი და ჭოროხი სწრაფად მატულობს. სოფ. კაპანდიბთან—აჭარის წყლისა და ჭოროხის შესართავთან—ჭოროხი ნაპირებზე გადმოვიდა და ნაწილობრივ დაფარა დაბლობები. ადიდებული აჭარისწყალი ძირს უთხრის სხალვანის მთის (ქედის მაზრა) ფერდობს, რომელიც დასკდა და შეიძლება ჩამოწვეს და დაგუბოს მდინარე (ადს).

დეპეშა გორიდან

გორის წყალთა ოლქის უფროსი ინჟ. ჯაიანი, დეპეშით ატყობინებს წყალთა მეურნეობის სამმართველოს, რომ 3 აპრილს, საღამოთი მთელ ქართლში გამოიდარა. მდინარეებმა ყველგან დაიკლეს.

მტკვრის დონემ გორში დაიკლო 120 სანტიმეტრამდე.

ქსანის და არაგვის ადიდება

დუშეთიდან წყალთა მეურნეობის სამმართველოს ატყობინებენ, რომ 1 აპრილს დიდი წვიმების შემდეგ ძალიან ადიდდა მდ. არაგვი და ქსანი. მდ. ქსანმა წალეკა ჯებირები.

რიონის ადიდება

ქუთაისის წყალთა ოლქის უფროსი დეპეშით იტყობინება, რომ უკანასკნელ დღეებში მდ. რიონმა გადალახა ნაპირები და წყლით დაფარა ახლო-მახლო ყანები. სოფ. მათხოჯში და ს. დინიაში დასრულდა ჯებირების აგება.

თვით ქუთაისში მდებარე რიონმა მოიმატა 120 სანტიმეტრი.

წყალდიდობა ალაზნის ველზე

წყალთა მეურნეობის სამმართველომ ალაზნის ველის სამუშაოთა სამმართველოსაგან მიიღო შემდეგი ცნობა: 2 აპრილს, ღამით, ალაზანმა ბევრგან გადალახა ნაპირები. წყალი შეიჭრა სამელიორაციო სისტემის მთავარ არხში. ქექა-ქუხილის გამო ღამით არ მოხერხდა ტრაქტორების გამოყვანა სამუშაოთ, რომ დაწყებულიყო წყლის ამოქაჩვა. ხიდის მახლობლათ გაკეთებულ დამბას მოელოდა დანგრევა. არხის ზემოთ გაკეთებული დამბა დაუზიანებელია. დამბების გადასარჩენათ და სამელიორაციო არხების დასაცავად მუშაობა სწარმოებდა შეუწყვეტლივ. 3 აპრილს დილით წყალმა დაიკლო ნახევარი მეტრით.

საჭიროა ფორძონის ტრაქტორები, რომ სწრაფად ვაწარმოოთ დაგუბებული წყლის ამოქაჩვა.

ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ

გუშინ დასავლეთ საქართველოდან დაბრუნდა რესპუბლიკის მილიციის უფროსი და წყალდიდობასთან საბრძოლველ სამუშაოთა ინსპექტორი ამხ. ბ. ბერაძე, რომელმაც დაათვალიერა დასავლეთ საქართველოს ყველა ის რაიონები, სადაც წყალდიდობაა მოსალოდნელი.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა ზომებია მიღებული ადგილებზე წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად, ამხ. ბერაძემ განაცხადა:

— წყალდიდობასთან მებრძოლ ცენტრალურ საგანგებო კომისიის დადგენილებით მე და ინჟ. ა. ჯაფარიძეს დავალებული გვქონდა სწორედ ამ ზომების გამომუშავება და ყველა საშიშარი ადგილების დათვალიერება. ყველა ჩამოვლილი მაზრებიდან განსაკუთრებით დიდია წყალდიდობის საფრთხე ქუთაისისა და ზუგდიდის მაზრებში. ქუთაისის მაზრაში, მოსული ცნობების თანახმად, უკვე დაწყებულია წყალდიდობა. სად. რიონის მახლობლად მდინარე წალეკვით ემუქრება 200 დესეტინამდე საყანე მიწას და მთელ რიგ სოფლებს. ასე მაგალითად, თუ შესაფერი სამუშაოებს დასრულება ვერ მოასწრეს, რიონი წალეკავს სოფ. სადბევს, ცხენის-წყალი—მათხოჯს, ღანირ-ჭაგანს, ქვიტირს და სამტრედიის ერთ უბანს. მდ. ხონის-წყალი წალეკავს უქადის აგრეთვე სოფ. ბალდათს. ყველა ამ ადგილებში დაწყებულია მდინარეთა ნაპირების გამაგრება და თუ სამუშაოების დასრულება დროზე მოესწრო, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ წყალდიდობისაგან შექმნილი საფრთხე თავიდან იქნება აცილებული.

ზუგდიდის მაზრაში წალეკვა მოელის 20.000 გლეხის მეურნეობას. აქ განსაკუთრებული საფრთხეა შექმნილი ხობის რაიონში და სამურზაყანოში, სადაც მდ. ენგური საფრთხის ქვეშ აყენებს—გალს, სოფ. კოკს, ნაბაკევს, ოტობაიას და მთელ რიგ სხვა სოფლებს.

დანარჩენ მაზრებში და აგრეთვე აჭარისტანში, და აფხაზეთში რაიმე განსაკუთრებული საფრთხეს—წყალდიდობის მხრივ არა აქვს ადგილი. მუშაობა ყველგან გაცხოველებით სწარმოებს.

ფასების დაკლება თევზეულობაზე

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაძვირდა თევზეულობა თბილისის ბაზარზე.

თევზეულობის როგორც ბითუმათ, ისე წვრილათ მოვაჭრე კერძო პირებმა, თევზეულობაზე ფასები ასწიეს თითქმის 80 პროცენტით.

მიექცა რა ყურადღება ამ გარემოებას, თბილისის აღმასკომთან არსებულმა თბილისის ბაზარზე ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ, დაადგინა მიიღოს შესაფერი ზომები თევზეულობის ფასების დასაკლებათ.

ამ მიზნით ფასების მომწესრიგებელმა კომისიამ გუშინ, თბილისის აღმასკომის შენობაში მოიწვია თბილისში თევზეულობით მოვაჭრეთა საერთო კრება.

კრებას თავმჯდომარეობდა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი ამხ. ადიკაშვილი.

თბილისის ბაზრის მდგომარეობისა და კერძოთ თევზეულობაზე ფასების გადიდების შესახებ მოხსენება გააკეთა თბ. აღმასკომთან არსებულ თბილისის ბაზარზე ფასების მომწესრიგებელი კომისიის თავმჯდომარე გ. ლასკარმა.

მომხსენებელმა აღნიშნა თბილისის ბაზარზე უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა პროდუქტებზე ფასების ხელოვნურათ აწევის შემთხვევები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ადგილი აქვს თევზეულობის ბაზარზედაც.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

დასასრულ, კრებამ დაადგინა დაუკლოს ფასები თევზეულობაზე, იქვე გამომუშავებულ იქნა თევზეულობაზე ახალი ნიხრი, რომლის მიხედვით დღეიდან, 5 აპრილიდან თბილისის თევზეულობის ყველა სავაჭროებში გაიყიდება:

ლოქო—50 კ. კილო, დღემდე იყიდებოდა—75 კაპ.,
კობუმი—50 კ. კილო, დღემდე იყიდებოდა—68 კაპ.,
კობრი—45 კ. კილო, ღირდა—75 კ.,
ზუთხი—1 მ. 20 კ. კილო, ღირდა—1 მ. 50 კაპ. და სხვ.

დღეიდან ყოველგვარ თევზეულობაზე სავაჭროებში გამოკიდებული იქნება ახალი ნიხრი.

ამავე კრების დადგენილებით ის პირი, რომელიც დაარღვევს დაწესებულ ნიხრს, დაჯარიმებული და პასუხისგებაში იქნება მიცემული.

ახალი ნიხრი ძალაში რჩება 1 მაისამდე, რის შემდეგაც მოხდება ნიხრის ხელახალი გადახინჯვა.

გურიის ნავთი

გამოკვლევითი მუშაობის დროს, ომფარეთის ჭაბურღილის 316 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩნდა მოსალოდნელი ნავთის ფენა, საიდანაც ნავთმა დენა დაიწყო. ბურღვის დაწყებიდან დღევანდლამდე აღმოჩნდა 9 ნავთის ფენა. რომელთა შორის ორი ფენიდან ნავთის დენა სწარმოებს. დაწყებულია მუშაობა ნავთის ამოსაღებად.

რკინისგზებზე

მატარებლის დამტვრევა სადგ. სოღუთ-ბულაღში

3 აპრილს, სადგ. სოღუთ-ბულაღში გამოურკვეველ მიზეზების გამო დაიმტვრა საბარგო მატ. № 110. მატარებელი დაიმტვრა ისრებზე სადგურში შესვლის დროს. ორთქლმავალი ხუთი ცისტერნით გადავარდა ლიანდაგიდან; დაიმტვრა თერთმეტი ნავთით დატვირთული ცისტერნა. მატარებელს მიჰყვებოდა ორი უბილეთო მგზავრი. მატარებლის დამტვრევის დროს ერთი მათგანი მოკვდა, ხოლო მეორე დაშავდა სერიოზულად. იგი მოჰყვა ბუფერებს შორის.

ლიანდაგიდან გადავარდნილ და დამტვრეულ ცისტერნებმა დაიკავეს ყველა ხაზები. შემთხვევის ადგილზე თბილისიდან და აქსტაფიდან გაგზავნეს დამხმარე მატარებლები. დამტვრეულ მატარებლის ბოლო ნაწილი ჩაიყვანეს სალოღლში, გუშინ დილას თბილისიდან გაგზავნეს მეორე დამხმარე მატარებელი, რომლითაც გაიგზავნენ მუშები, ამწევი ონკანი და შპალები. მოძრაობა აღადგინეს გუშინ დილის 2 საათზე მოსავლელი გზით.

სახალხო მატარებლები № 3 და 4 მივიდნენ შემთხვევის ადგილზე და იქ მოხდა მგზავრების გადაჯდომა. ამ შემთხვევაში ეს მატარებლები მიდიან ნაწილობრივი დაგვიანებით.

ახალი სახლები

სადგ. განჯაში დამთავრდა ახალი საცხოვრებელი სახლების შენება. სულ აშენებულია რვა თითო სართულიანი სახლი. ახლო ხანში იქ ჩაასახლებენ უბინაო რკინისგზელებს.

საქონლის ტვირთვა ძლიერდება

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულ ცნობით, ფოთის ნავთსადგურში ადგილი აქვს საქონლის დიდი რაოდენობით შემოზიდვას, საქონელი გამოგზავნილია ამ.-კავკასიისათვის.

ყოველდღიურად ნავთსადგურში იტვირთება და იგზავნება რკინის გზით თბილისისაკენ 47 ვაგონი.

გახურებული შანთით

შემთხვევა ხაშმში

ეს ამბავი მოხდა 29 მარტს, გარე-კახეთის სოფელ ხაშმში. საღამო ჟამი იყო. თბილისიდან არდადეგებზე თავის სახლში დასასვენებლად ჩასული მოწაფე ციქურიშვილი, კოოპერატივის წინ იდგა. უეცრად მას გვერდით ბეტუზა ადგილობრივი მცხოვრები გიორგი პაატაშვილი და თავაზიანად მოახსენა: წამო, სვიმონ ქოქრაშვილი გეძახისო. მოწაფე გაჰყვა. სვიმონ ქოქრაშვილი მარტო არ იყო. მოწაფეს მასთან დახვდა ისაკ ქოქრაშვილი. ორთავენი ალერსით მიესალმენ ციქურიშვილს და მოფერებით სთხოვეს გაჰყოლოდა მათ საბჭოს კანცელარიაში. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი უკვე შედიოდა კანცელარიაში: წინ სვიმონ ქოქრაშვილი, შემდეგ მოწაფე ციქურიშვილი, შემდეგ ისაკ ქოქრაშვილი და უკან გიორგი პაატაშვილი. შესვლის დროს ამ უკანასკნელს კარები გამოუკეტეს და პირველი სამი მოექცა კანცელარიის შიგნით.

კანცელარიაში საშინლად ბნელოდა. თვალში თითიც არ მიიტანებოდა... კარების გამოკეტვისთანავე მოწაფე ციქურიშვილს მოწყვეტილი ლოდივით მოხვდა სახეში ისაკ ქოქრაშვილის მუშტი, მეორე ხელი კისერში სწვდა და გონება დაკარგული ბავშვი იატაკზე გაიშხლართა. მუშტებსა და წიხლებს, ათსართულიანი გინება მოჰყვა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ორი ლომკაცი მხეცივით დაუზოგავათ სჯიჯგნიდა სასოებამიხდილ ბავშვს.

ხმაურობაზე ხალხმა მოიყარა თავი, მაგრამ კანცელარიაში შესვლა ვერავინ გაბედა. ბოლოს, როგორც იყო, ერთი დავიდარაბით ფანრით ხელში კანცელარიაში შემოვიდა დათია ჯანიაშვილი. ცემისაგან მისიკვდილებული ციქურიშვილი ხმას ძლივსღა იღებდა.

განცვიფრებულმა ჯანიაშვილმა იკითხა რაში იყო საქმე. ქოქრაშვილები ერთხმად ალაპარაკდნენ: „ეს უჯიშო ეგა, ეს წუწკალი ეგა, ჩვენს ქალიშვილს ეარშიყება და წერილებს სწერსო"-ო. ჯანიაშვილისათვის ეს მიზეზი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ მას ხმა გაეკმინდა და თავისი დუმილით დაედასტურებინა ქოქრაშვილების მიერ ჩადენილ მხეცობის სამართლიანობა. შეხედეს რა ამას, ქოქრაშვილებმა გაათკეცებული ენერგიით განაგრძეს ციქურიშვილის წამება. ამ დროს ოთახში შემოვარდა ადგილობრივ კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, რომელმაც მოწაფე სიკვდილს გადაარჩინა. ქოქრაშვილები იმდენად გათავხედდნენ, რომ მოითხოვდენ ციქურიშვილის დაპატიმრებას...

მეორე დღეს ეს საკითხი დაისვა კომკავშირის ბიუროს კრებაზე. აქვე გამოცხადდა ქოქრაშვილი, რომელმაც ბიუროს სხდომაზეც მოინდომა ციქურიშვილის ცემა, მაგრამ აქ უკვე მას ამის ნება აღარ მისცეს.

ასეთია ჩვენი უკულტურობის, ძველი დახავსებული ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ერთ-ერთი მაგალითი. თავისთავად ეს იმდენად აღმაშფოთებელი არ იქნებოდა, რომ ქოქრაშვილებს მთელი სისაძაგლე ადგილობრივ პარტიულ და საბჭოს მუშაკების თვალწინ და თვით საბჭოს შენობაში არ ჩაედინა. ყველა თითქოს სასეიროთ მისჩერებოდა საზიზღარ სცენას და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, უმრავლესობის თანაგრძნობა ქოქრაშვილების მხარეზე იყო.

ჩვენ იმით ვიმედოვნებთ, რომ ჯერ კიდევ გვიან არაა, რომ ადგილობრივი მოწინავე ძალები ამ საქმეს ასე უყურადღებოთ არ დასტოვებენ. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ჩვენი ასეთი იმედი.

კალა.

„გამასწორებელი სახლი" ქსანში

უცხოეთის მუშათა დელეგაციები, რომელნიც ასე ხშირად მოგზაურობენ ჩვენში, სხვათა შორის, განსაკუთრებით განცვიფრებულნი არიან, ჩვენი გამასწორებელი სახლებით. ისინი ხშირად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირში ძველი მეფის ციხეები სკოლად და დასასვენებელ სახლად არის გადაქცეული.

ჩვენდა საბედნიეროდ ეგევე დელეგატები არ გაეცნობიან ალბად ქსანის აგურ-კრამიტის ქარხნის წესებს, თორემ, მჯერა, ისინი რომ დასკვნას გამოიტანდნენ ჩვენს გამასწორებელ სახლებზე.

ქარხნის გამგე სანაკოევს თავისი წესები აქვს მუშა-მოსამსახურეებზე ზეგავლენის მოსახდენად. ის არც შრომის კოდექსს დაგიდევს, არც ჩვენ დამსჯელ პოლიტიკას, არც ელემენტარულ ადამიანურ წესებს. თვითონ სჯის და თვითონ კვრავს.

აი მაგალითად, ორ მუშას ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდა. გამგის აზრით ერთი მათგანი, სოლოღაშვილი, დამნაშავე იყო. გამგემ თვით გაასამართლა დამნაშავე და თვითვე დასაჯა ის: აიღო და მოუსაჯა მას სასტიკი იზოლიაცია ფეხსადგილში დამწყვდევით. განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

ზოგიერთებს ეგონა, ეს პირველი შემთხვევა იყო. ალბად შეცდომით თუ მოხდა. მეორეს აღარ გამეორდებაო. მაგრამ არა. თუ ქსანის მუშებს უნდა, რომ ქარხნის ფეხსადგილმა აღარ იხილოს არც ერთი პატიმარი, და, თვითი ეცადონ თავის ისე დაჭერას, რომ გამგე იძულებული არ გახდეს, ასეთ ზომას მიმართოს. ეს კი არც ისე ადვილი საქმეა. შეცდომა ან მარცხი ვის არ მოუვა მუშაობაში. ამისაგან დაზღვეული არაა, რასაკვირველია, ქსანში მომუშავეებიც. რაკი ასეა, კეთილინებონ და მიბრძანდნენ ფეხსადგილში სასჯელის მოსახდელად.

ასე მოუვიდა, მაგალითად, ქსნის სადგურის შემღებავ მუშებს, რომელთაც დაუგორდათ დაუმუშავებელი [illegible] ქარხანაში. ამ მუშებსაც წილად ხვდა ბედნიერება გაეტარებინათ დრო „ფეხსადგილურ" იზოლიაციაში და ეგემათ სიბინძურის სურნელოვანი ჰაერი.

არ ვიცით, რას ფიქრობს ქსნის აგურ-კრამიტის გამგე თავის ადმინისტრატიულ ნიჭის შესახებ. ჩვენ კი უნდა ვთქვათ, რომ მას ამ მხრივ ბადალი არ მოეპოვება. მაგრამ, მოგეხსენებათ, გადაჭარბებული არაფერი ვარგა. ვშიშობთ, რომ ამ შემთხვევაშიაც არ ავნოს სანაკოევს მისმა ზებუნებრივმა ადმინისტრატიულ ნიჭმა.

ნაპერწკალი.

ნუღარ იქნება „შეცდომით" ავადმყოფები

გაზაფხული დადგა. ყველა ემზადება ზაფხულის შესახვედრად. ლაპარაკია შვებულების თვეებზე, დასასვენებელ ადგილებზე, კურორტებზე, სანატორიუმებზე. ბევრი იმედის თვალით შეჰყურებს დამზღვევ სალაროებს. მაგრამ ყველას არ ხვდება წილად კურორტზე გამგზავრება. ზოგიერთები ალბად დაიჩივლებენ. დამზღვევი სალარო მთელ მოთხოვნილებას ვერ ფარავს. ასე მოხდა შარშან. ალბად ასე მოხდება წელსაც. ავადმყოფები ამას უწევენ ანგარიშს. მაგრამ საკითხავია, რამდენად უწევენ ანგარიშს დამზღვევ სალაროს ფინანსიურ მდგომარეობას საკურორტო საექიმო შემრჩევი კომისიები? ცხადია ჩვენ ყველა შემრჩევ კომისიებს ვერ წარუდგენთ ბრალდებას იმაში, რომ, ისინი არაკეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ რომ ზოგიერთ კომისიებში ადგილი აქვს დაუშვებელ გულგრილობას საქმისადმი, ამას მოწმობს წარსული წლის გამოცდილება.

1927 წლის 5 ივლისიდან ამავე წლის 20 აგვისტომდე, ც. ი. საზაფხულო სეზონის მე-2 ჯგუფში, არაზინდის სანატორიუმში ირიცხებოდა 229 ავადმყოფი. ადგილობრივ გამოყოფილ იქნა ავტორიტეტიანი საექიმო კომისია, რომელმაც შეამოწმა ყველა ეს ავადმყოფი და რა აღმოჩნდა? 229 „ავადმყოფიდან" წინწკლებით, მხოლოდ 87 კაცი იცვნეს ავადმყოფებათ უწინწკლებოდ. კომისიის დასკვნით 142 კაცი სრულიად შეცდომით იყო გამოგზავნილი სანატორიუმში. „შეცდომით" ავადმყოფები, თავს მოწყენილად არ გრძნობდენ. არაზინდი მოლხენილი იყო მთელი ზაფხულის განმავლობაში. რას არ ნახავდით აქ: ქეიფობა, ქეიფი, აზარტული თამაში, ყვირილ-ქიჟინი, ღამ-ღამობით დაუსრულებელი ხმაურობა და სხვა. სანატორიუმის რეჟიმის დაცვაზე ვინმე სჩიოდა, რომ ამ ხალხს ჩვეულებრივი საავადმყოფოს წესების დაცვის საშუალება მიეცა სანატორიუმის ხელმძღვანელებისათვის.

ამრიგად, დაისაჯა ნამდვილი 87 ავადმყოფი, უსარგებლოდ დაიხარჯა დამზღვევ სალაროს ფული და ამავე დროს ბევრი ნამდვილი ავადმყოფი იძულებული გახდა ქალაქებში გაეტარებია დრო და ხელი აეღო სანატორიულ მკურნალობაზე.

დასკვნის აქედან ჩვენ არ გავაკეთებთ. ეს იმ ორგანოებისათვის მიგვინდვია, ვისაც ეხება ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეთა საკურორტო-სანატორიული მკურნალობის საქმე.

ა—ი.

რა წესით უნდა ვეხმარებოდეთ ღარიბებს სოფლად*)

ყველასათვის უდავო და ნათელია, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ შეღავათებს და დახმარებას პირველ რიგში აძლევს ღარიბ მოსახლეობას, რასაკვირველია, იმ შესაძლებლობისა და სახსრების ფარგლებში, რომელიც მას მოეპოვება.

იკითხავთ, რა სახის არის ეს შეღავათები და დახმარება.

ასეთი დახმარება მრავალნაირია, მაგრამ ამ წერილში მე შევეხები ზოგიერთს, შევეხები მხოლოდ შეღავათებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დროს, სახელმწიფო დაზღვევის გადასახადში, საექიმო დახმარებას, თვისაც მთავრობა იძლევა დახმარებას. დახმარებას ტყის მასალის გაცემით.

ამ შეღავათებისა და დახმარების შემოღებამ ყველაზე ადრე სოფლად ააფუსფუსა ის პირები, რომლებზედაც ეს შეღავათები არ ვრცელდება. ისინი სხვადასხვა ხრიკებით ცდილობენ მიიღონ ის, რაც მათთვის არ არის განზრახული. ეს არ შეიძლება არ შეფასდეს ცუდ მოვლენად.

ზოგიერთების ასეთი მოქმედება დიდ ზიანს აყენებს ჩვენ საქმეს, ხელს უშლის ხელისუფლების ორგანოების სწორ მოქმედებას და ზარალში აყენებს, ავნებს მართლა იმ ღარიბებს, რომლებისთვისაც მთავრობა იძლევა დახმარებას. ამიტომ ხელისუფლების ორგანოებთან ერთად ღარიბებიც უშუალოდ არიან დაინტერესებული, რომ ბოლო მოუღოთ ზოგიერთების ხრიკებს.

რითი ვხელმძღვანელობდით დღემდე ღარიბთათვის შეღავათების მიცემის დროს? გვქონდა თუ არა შესაძლებლობა, რომ შეღავათებით მართლა ღარიბებსაც ესარგებლად და ზოგიერთ შემთხვევაში შეღავათ მისაცემ ჯგუფთა სიაში არ მომხდარიყვნენ ზემოთ დასახელებული პირები? ეს საქმე დღემდე ასე გვაქვს მოწყობილი. საკმარისია სოფლის საბჭოს წევრმა მოუწეროს ხელი რომელიმე გლეხს სიღარიბის ქაღალდზე, რომ თემ.-აღმასკომმა მისცეს მას ოფიციალური სიღარიბის მოწმობა. ამით თავდება ყველაფერი, ამ წესით მიღებული მოწმობით ესა თუ ის გლეხი სარგებლობს ზემოთ დასახელებულ შეღავათების გარდა ყველა იმ შეღავათებით რაც კი გათვალისწინებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ღარიბთა დასახმარებლად,

საქმის ასეთი გამარტივება კარგია, თუ სოფლის საბჭოს წევრი ღრმად გრძნობს თავის პასუხისმგებლობას, როდესაც ამა თუ იმ პირს ხელს უწერს ქაღალდზე, და არ სარგებლობს მეზობლური ან მეგობრული მოსაზრებით ან კიდე თავისი გამოუცდელობით და დაუკვირვებლობით შეცდომას არ ჩაიდენს, ყალბ ცნობებს არ მისცემს. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ზოგჯერ წინააღმდეგ შემთხვევას აქვს ადგილი, ხშირად ისიც ხდება, რომ საბჭოების ზოგიერთი წევრები უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან და თუმცა კარგად იციან რომ მეზობელი, რომელიც სთხოვს სიღარიბის შესახებ ცნობას, არ არის ღარიბი, მაგრამ რადგან, ვთქვათ, ამ შემთხვევაში ამ მეზობელს სჭირდება ეს ცნობა შვილის ან ცოლის სამკურნალოდ წამლის უფასოთ მისაღებად და სხ. ვერ ეუბნებიან უარს და აძლევენ მოთხოვნილ ცნობას, ამას მოსდევს თემ.-აღმასკომის შეცდომაში შეყვანა და ბოლოს ექიმით და წამლით უფასოთ სარგებლობა.

შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ მაინცა და მაინც არ არის საჭირო მეტის მეტი სიფრთხილით სიღარიბის მოწმობების გაცემაო და დარჩეს ისევ არსებული წესი ამ მოწმობის მიღებისო.

ამის საპასუხოთ გორის მაზრის სინამდვილიდან მოგიყვანთ იმ ცნობებს, რომელიც მოგვცემს სურათს „ღარიბი გლეხობაზე" გაწეულ შეღავათების შესახებ. შემდეგ ნათელი გახდება ჩვენთვის, თუ რატომაა საჭირო ღარიბთა მტკიცე სიის შედგენა და თავიდან აცილება ისეთი პირების დახმარებისა, რომლებსაც არ ეკუთვნით ეს დახმარება და რის გამო მართლა ნამდვილ ღარიბებს აკლდებათ.

1. გორის ჯანმრთელობის განყოფილებას ერთი (1927 წ.) წლის განმავლობაში ღარიბთა სახით სამკურნალო დახმარება აღმოუჩენია 21.510 კაცისათვის, 17.113 მან. 70 კაპ. რაოდენობით.

2. 1926—27 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდგან განთავისუფლებული იყო კანონის თანახმად 35 პროცენტი უღარიბესი მეურნე. მის შემდეგ კი კიდევ განთავისუფლდა „უღარიბესი გლეხობა" გაცემულ მოწმობების თანახმად—14.974 მანეთის რაოდენობით.

3. სიღარიბის მოწმობის თანახმად გაცემულია ტყის მასალა—5.984 კუბ. ფუტი (გარდა იმისა რაც გაცემულია ბორჯომის ხეობიდან. აქედან კი ორჯელ მეტი უნდა ვიანგარიშოთ, რაც გამოვა სულ —17.952 კუბ. ფუტი) შეშა და ფიჩხი გაცემულია —65 კუბ. საჟენი.

4. სოც.-უზრუნველყოფის განყოფილებიდან გაცემულია დახმარება (გარდა აღრიცხვაზედ აყვანილ ინვალიდებისა) 109 ინვალიდზე—972 მ. 51 კ.

5. გორის მაზრაში სახელმწიფო დაზღვევას შემოუვიდა—25 წლიდან 1928 წლ. 1-ლ იანვრამდე—139.647 მანეთი, გაცემული კი არის—352.629 მანეთი.

არავის არ ენანება ზემოაღნიშნული დახმარება თუ ის მართლა ღარიბებს ხმარდება, მაგრამ ვეჭვობ ამაში და მოგვეპოვება კიდევაც ამ ეჭვის დამადასტურებელი ფაქტები. აი სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, აუცილებლად საჭიროა უღარიბესთა მტკიცე სიების შედგენა სოფლობრივ, ეს სიები შედგენილ და დამტკიცებულ უნდა იყვეს თვით სოფლის საზოგადო კრებაზე (ხელმძღვანელობა ადგილებზე ყველასათვის გასაგებია) და შემდეგ თემის მასშტაბით ერთიანი სია, რომელიც დამტკიცდება თემ.-საბჭოს სხდომაზე. ამ გზით უზრუნველყოფილი იქნება ნამდვილ ღარიბების სწორი აღრიცხვა და მათი დახმარება. აღარც გვექნება წამდაუწუმ ზერელეთ ამ სახის უპასუხისმგებლო მოწმობების გაცემა. გადადებული თანხებით და შეღავათებით ისარგებლებენ სწორეთ ისინი, ვისთვისაც მთავრობამ დააკანონა ისინი; ცუღლუტებს და გამოქნილ პირებს აღარ ექნებათ გასაქანი მართლა ღარიბების ხარჯზე და მათ საზარალო.

ამასთანავე საჭიროა, რომ თემ.-აღმასკომი სოფ. კომისიების საშუალებით უწევდეს კონტროლს და თვალყურს ადევნებდეს იმას თუ რამდენად მართლა ხმარდება ღარიბ გლეხებს სახელმწიფოსაგან მიღებული შეღავათი (ხე-ტყე, წამალი და სხ.), რამდენად აღწევს მთავრობის დახმარება დასახულ მიზანს და საქმეს, რადგან აქაც შესაძლებელია, რომ მოქნილ პირებმა ისარგებლონ სხვადასხვა შეღავათებით ისევ ღარიბი გლეხობის მოტყუებით და თავისებური ხრიკებით.

ზოგი ამხანაგები წინააღმდეგი არიან უღარიბესი გლეხების მტკიცე სიების შედგენის; ჩემი აზრი კი აუცილებლად საჭიროა ასეთი სახელმძღვანელო სიები, რადგან თემ.-საბჭოს ყოველ დღიურ მუშაობის დროს სისტემატიურად სჭირდება ისინი სხვადასხვა საკითხების მოწესრიგების დროს.

იმედია ადგილობრივ მომუშავე ამხანაგები გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამ საკითხის შესახებ.

ვ. ქურდაძე.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

რაიონებათ დაყოფის საკითხი კახეთში*)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელმა პლენუმმა ამხ. ქართველიშვილის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შესახებ აღნიშნა შემდეგი: „პლენუმი დროულად და საჭიროდ სცნობს უახლოეს პერიოდში საქართველოს დაყოფას რაიონებად საერთო ეკონომიკის მქონე მაზრების გაერთიანების ნიადაგზე, რისთვისაც ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს ერთი თვის ვადაში დაამუშაოს ეს საკითხი".

ეს გადაწყვეტილება უთუოდ დროულად უნდა ჩაითვალოს. სახალხო მეურნეობის, კერძოდ სოფლის მეურნეობის, რეკონსტრუქცია და გეგმიანი მოწესრიგება ახალ ტექნიკურ საფუძველზე ბევრად უფრო წარმატებით ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც გეგმიანად მოსაწესრიგებელი სამეურნეო ერთეული გარკვეულად არის ჩამოყალიბებული და მისი ადმინისტრატიული და საორგანიზაციო ხელმძღვანელობა მინიმალურ ხარჯებს იწვევს. ჩვენი მაზრები კი თავის ცენტრებით შექმნილია უმთავრესად ცარიზმის დროს, საორგანიზაციო საფუძვლად მათ აქვთ მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრატიული მომენტები და არავითარი ანგარიში არა აქვს გაწეული ეკონომიურ მომენტებს. აშკარაა, რომ საქართველოს მთლიანად რაიონებად დაყოფის შესახებ ლაპარაკი ძნელია. ამას ართულებს მთელი რიგი გარემოებები, რკინის გზებისა და გზატკეცილების საკმაო ქსელის არ არსებობა, ცალკე ავტონომიური ერთეულები და ნაციონალური უმცირესობათა მაზრები (ბორჩალო, ახალციხე, ახალქალაქი), რაიონებად დაყოფის საკითხის საკმაოდ დაუმუშავებლობა სათანადო ორგანოებში და სხვ.

მიუხედავად ამისა ეკონომიურ რაიონების შექმნის ნაწილობრივად გატარებას ჩვენ ეხლავე შეგვიძლია შევუდგეთ. პირველ რიგში ეს შესაძლებელი და საჭიროა კახეთში **სიღნაღის და თელავის მაზრების გაერთიანების საშუალებით.** ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ მაზრების გაერთიანების საკითხი ნაწილობრივ განხილული იყო ადგილობრივ და ცენტრში მომუშავე ამხანაგების მიერ და თითქმის ყველა ამხანაგები მხარს უჭერდენ ამ საკითხის დადებითად გადაჭრას.

რა საერთო მომენტებია ამ მაზრებში, რომლებიც ამტკიცებს მათი გაერთიანების საჭიროებას?

1. ორივე ეს მაზრა, სიღნაღისაც და თელავისაც, წარმოადგენს კახეთის სოფლის მაზრებს ერთგვარი მეურნეობით კულტურული დონით და ყოფა-ცხოვრების პირობებით, ორივე მაზრაში სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს მევენახეობა და მეღვინეობა. შემდეგ ორივე მაზრაში მისდევენ პურეულს, მესაქონლეობას და მეაბრეშუმეობას. რამოდენიმედ უფრო განვითარებულია სიღნაღის მაზრაში (ლაგოდეხის რაიონში) მეთამბაქოობა.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს კულტურა, თუმცა ბევრად უფრო ნაკლებია. ვიდრე სიღნაღის მაზრაშია. გავრცელებულია აგრეთვე თელავის მაზრის ახალსოფლის რაიონშიაც, რომელიც ლაგოდეხის რაიონის მოსაზღვრეა.

როგორც ზემონათქვამიდან სჩანს, კახეთის ორივე ნაწილში, რომლებიც ადმინისტრატიულად გაერთიანებული იქნება სიღნაღისა და თელავის მაზრებით, გავრცელებულია სოფლის მეურნეობის ერთი და იგივე დარგები.

2. ეკონომიური ერთიერთობა ორივე მაზრეს შორის დიდია. ამ ურთიერთობას ტერიტორიალურ მოსაზღვრეობის გარდა ხელს უწყობს რკ.-გზა და გზატკეცილები, რომლებიც მჭიდროდ აკავშირებს ორივე ამ მაზრას. ამ მაზრების მჭიდრო ეკონომიურ კავშირს ამტკიცებს აგრეთვე შემდეგი გარემოება:

თელავის მაზრის ალაზნის გაღმა მდიდარი რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი (შილდა, ყვარელი, ახალსოფელი გავაზი და სხვ.) უშუალოდ არის დაკავშირებული მდინარე ალაზნით სიღნაღის მაზრის მდიდარ ეკონ-ურ ცენტრ ველისციხესთან. ამ რაიონის მთელი საქონლის პროდუქცია (ღვინო, პური, საქონელი, საზამთრო) ბაზარზე გადის ველისციხით და რკინის გზის სადგურ მუკუზნით, რომელიც აგრეთვე სიღნაღის მაზრაში მდებარეობს. სათანადო სარგებლობა ამ საქონლის ბრუნვიდან (საფუთო გამოსაღები, გადასახადების ნაწილი და სხვ.) შედის სიღნაღის მაზრის ადგილობრივ ბიუჯეტში და აშკარაა, რომ ამით ზარალობს თელავის მაზრა, როგორც სამეურნეო ერთეული, რომელსაც აქვს თავისი ბიუჯეტი, დღემდე მდინარე ალაზნის აღნიშნულ ნაწილზე აგებული არ არის ხიდი. ხიდის არსებობა ხელს შეუწყობდა ალაზანს გაღმა რაიონის საქონლის პროდუქციის გადიდებას. ამავე დროს ეს რაიონი თითქმის სრულებით მოსწყდებოდა ეკონომიურად თელავს, ვინაიდან მანძილი თელავამდე უდრის 30-50 ვერსს, ველისციხემდე კი — 8-15 ვერსს. ამიტომ ადგილობრივ „საბიუჯეტო პატრიოტიზმის" მოსაზრებები ხელოვნურად აფერხებს ხიდის აგებას. საერთო სამეურნეო თვალსაზრისით ასეთი „პატრიოტიზმი" ზარალის მეტს არაფერს არ გამოიწვევს. მეორეს მხრივ ველისციხე და ნაწილობრივ გურჯაანის რკინის გზის გამო თელავთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე სიღნაღთან. ველისციხის მოსახლეობა არაერთხელ გამოსთქვამდა სურვილს თელავის მაზრასთან ადმინისტრატიულად შეერთების შესახებ.

3. არანაკლები კავშირია საძოვრების საკითხშიაც. თუშეთის მეცხვარეობის მეურნეობაში, ბევრი ზარალი მოსდის ადმინისტრატიულ ზღუდეების არსებობის გამო. თუშები აძოვებენ ცხვრის ფარებს ზაფხულობით თელავის მაზრის მთიან თუშეთში, ზამთარში კი სიღნაღის მაზრის შირაქის ველზე. მეცხვარე გლეხი იძულებულია ზაფხულში საქმე ჰქონდეს ხელისუფლების ერთ წარმომადგენელთან, ზამთარში მეორესთან, ეს რა თქმა უნდა არ ლაპარაკობს ორი ადმინისტრატიული ერთეულის არსებობის სასარგებლოდ — სიღნაღისა და თელავის მაზრების სახით.

4. ალაზნის არხი, რომელიც ამჟამად შენდება, იწყება თელავის მაზრის წინანდალის რაიონში, გადის სიღნაღის მაზრაზე და რწყავს ორივე მაზრის მინდვრებს. ეჭვი არ არის, რომ ამ არხის რაციონალურად გამოყენება უფრო კარგად განხორციელდება აღნიშნულ მაზრების გაერთიანებით.

5. ელექტროფიკაციის იდეით უგეგმო გატაცების პერიოდში თელავის მაზრა აყენებდა საკითხს ჰიდროსადგურის აგების შესახებ მდინარე სტორზე, მაგრამ ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან იმ იმედით, რომ ის გადაიჭრება საერთოდ მთელი კახეთისათვის, როგორც ირკვევა ალაზნის არხის გაყვანა ჰქმნის პირობებს (ჩანჩქერის შექმნით) იმისათვის, რომ დადებითად გადაიჭრას კახეთში საერთო ჰიდროსადგურის აგების საკითხი.

6. კახეთის აღდგენის გზაზე შემდგარ ვენახების პროდუქციის თანდათან გადიდება აყენებს საკითხს ღვინისათვის ბაზრების მოპოვების შესახებ. ღვინის დაყენების არსებული პრიმიტიული წესები არ აკმაყოფილებს უცხოეთის ბაზრების მოთხოვნილებებს. ამიტომ ევროპიულ ნიმუშის რაიონულ სარდაფების მოწყობა ღვინის დასაყენებლად წარმოადგენს სერიოზულ ამოცანას ორივე მაზრისათვის. ნაწილობრივ ორივე მაზრა უკვე შეუდგა სარდაფების აგებას. მაგრამ ეს რაიონული სარდაფები ისე უნდა იქნეს აგებული, რომ მხედველობაში იქნეს მიღებული კახეთის მთელი მევენახეობა, რათა ეს სადგურები უფრო რაციონალურად იქნეს გამოყენებული შემდეგში.

7. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიზანშეწონილად მიაჩნია იქონიოს კახეთისათვის ერთი განყოფილება გურჯაანში. რამდენადაც ვიცით, ამნაირადვე ფიქრობს თავის მუშაობის მოწყობას „სოფლის კავშირიც". არსებობს აზრი, რომ კახეთისათვის დაარსებულ იქნას კომუნალურ ბანკის განყოფილება. ამრიგად ჩვენ ვხედავთ. რომ მთელი რიგი ორგანიზაციები აერთიანებენ თავიანთ მუშაობას მთელი კახეთის მასშტაბით და კარგადაც იქცევიან. ამით ისინი ნიადაგს უმზადებენ სიღნაღისა და თელავის მაზრების სრულ ადმინისტრატიულ და სამეურნეო გაერთიანებას.

აი ის უმთავრესი საერთო მომენტები ამ მაზრების ცხოვრებისა, რომლებიც ამტკიცებს მათი გაერთიანების საჭიროებას.

ბევრი მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ ორი მაზრის გაერთიანება მნიშვნელოვნად შეამცირებს ადმინისტრატიულ და სხვა უნაყოფო ხარჯებს.

ასეთ პირობებში ორი უდეფიციტო ბიუჯეტის გაერთიანება აუცილებლად გამოიწვევს სახსრების ხელახალ განაწილებას და მნიშვნელოვანი თანხების გადადებას კახეთის ჩამორჩენილ სოფლის კულტურულ და სამეურნეო მშენებლობისათვის. ძალებისა და სახსრების გაერთიანებით სოფლის სოციალისტურად გარდაქმნა ჩქარი ნაბიჯით წავა წინ.

სად უნდა იქნეს ადმინისტრატიული ცენტრი ამ მაზრების გაერთიანების შემდეგ? სიღნაღიც და თელავიც ამისათვის უვარგისია. თვითეული მათგან, რომ დარჩეს გაერთიანებულ რაიონის ადმინისტრატიულ ცენტრად, ძლიერ იქნება დაშორებული გაერთიანებულ ტერიტორიის უმთავრეს ნაწილიდან. სიღნაღი ეკონომიურად თითქმის მოწყვეტილია თავის მაზრას, მდებარეობს მიუვალ ადგილზე, ეს ძველი ციხე-ქალაქია.

ამასთანავე ის დაშორებულია რკინის გზიდანაც. თელავი თუმცა დაკავშირებულია ეკონომიურად თავის მაზრის ნაწილთან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მთელი კახეთისათვის ის ვერ ჩაითვლება ვერც ეკონომიურ და ვერც ადმინისტრატიულ მოხერხებულ ცენტრად.

არჩევანი მხოლოდ ერთია. ცენტრი გურჯაანში უნდა იქნეს. ის მდებარეობს კახეთის ცენტრში და წარმოადგენს კახეთის რკინის გზის საკვანძო სადგურს. კახეთის შტოს ახმეტამდე გაგრძელების პროექტი და გურჯაანიდან ალაზნის გაღმა რაიონში რკინის გზის შტოს გაყვანის პერსპექტივა ჰქმნის გურჯაანისათვის ყველა პირობებს იმისათვის, რომ ის გახდეს კახეთის ნამდვილ ეკონომიურ და ადმინისტრატიულ ცენტრად.

რა თქმა უნდა, გურჯაანი ჯერ ვერ არის იმდენად კეთილმოწყობილი, რომ აქ მოთავსდეს ორი გაერთიანებული მაზრის ყველა ორგანოები და დაწესებულებები. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ შევსძლებთ ამ დაბრკოლების გადალახვას. ჩვენი გაერთიანებული სახსრებით და სახელმწიფოს მცირეოდენი დახმარებით ჩვენ შევსძლებთ ეხლავე დავსახოთ გეგმა და შევუდგეთ ქალაქ-ცენტრის გაშენებას, პირველ ხანებში აგებულ უნდა იქნას ბინები ცენტრალურ დაწესებულებებისათვის, ქალაქი კი თანდათან გაშენდება. ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მოსახლეობა, საბინაო-საამშენებლო კოოპერაცია და ცალკე დაწესებულებები და ორგანიზაციები.

თელავის მაზრის მშრომელი გლეხობა თავის საბჭოების საანგარიშო კრებებზე ერთხმად უჭერს მხარს გაერთიანებას და სთხოვს ხელმძღვანელ ორგანოებს დააჩქარონ ეს საქმე, გაერთიანების საქმე არ უნდა დავაყოვნოთ. საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ ამ საკითხის შესასწავლად დაარსებულმა კომისიამ თავის დროზე უნდა დაამუშაოს იგი, და ციფრებითა და ფაქტებით დაგვიმტკიცოს, რომ ეს გაერთიანება სავსებით შესაძლებელი და ხელსაყრელია.

ა. გეურქოვი.

---

*) სადისკუსიოთ

ხელოვნება

რუსთაველის თეატრის ახალი დადგმები

„ჯუმა-მაშიდი"

სახელმწიფო აკადემიური დრამა ამჟამად ამზადებს ვენეციანოვის პიესას „ჯუმა-მაშიდი". პიესის ტექსტი გადაკეთებულია ალ. შანშიაშვილის მიერ. პიესას დგამს რეჟ. კ. პატარიძე. დეკორაციების დამზადება მინდობილი აქვს მხატვარ ირაკლი გამრეკელს. „ჯუმა-მაშიდის" პირველი წარმოდგენა განზრახულია ამ თვის 12-ში.

პიესაში მთავარი როლები განაწილებულია შემდეგნაირად: ფუნდიე (რევოლუციონერი)—აკაკი ვასაძე, გირ-საიდ—გიორგი დავითაშვილი, დევენდრა-სენ—მიხ. ლორთქიფანიძე, გოპალ-სენ—რესპუბლიკის სახ. არტისტი ნიკო გოცირიძე, ხარმსტონი (ინდოეთის რეზიდენტი)—აკაკი ხორავა, მეკ-გრიგორი (პოლიციის უფროსი)—შალვა ღამბაშიძე, მაჰარაჯა (თავადი)—ვასო გოძიაშვილი, ნარაიონრიო (მღვდელი) პლ. კორიშელი, ხატიმ (ბოლშევიკი)—პიერ კობახიძე, სენ-ჯონ (ინგლისელი)—ო. ლადიძე, ლილავატი—თამარა წულუკიძე, მანჯარი—ცეც. თაყაიშვილი, მინაქში—ბეჟანიშვილი, ოკული—ნინო მესხიშვილი.

„ჯავშანი"

„ჯუმა-მაშიდი"-ს შემდეგ დადგმული იქნება „ჯავშანი". პიესა გადმოკეთებულია ვსევოლოდ ივანოვის „ჯავშნიანი მატარებლიდან". ტექსტი შეცვლილია ალ. შანშიაშვილის მიერ.

ციმბირელი პარტიზანების ნაცვლად „ჯავშანი"-ში გამოყვანილია კავკასიის მეამბოხე მთიულები. გლებ ვერშინინის მაგიერ მთავარ გმირად მოცემულია ლეკი ანზორ ჩერპიში. პიესის მთავარ კვანძად აღებულია ქალ. პეტროვსკის ალების გარშემო მომხდარი ამბები. „ჯავშანი"-ში მონაწილეობას იღებენ კავკასიის ყველა ერთვნებათა წარმომადგენლები.

პიესაში მთავარი როლები შემდეგნაირად არის განაწილებული: ანზორ-ჩერპიში (ვერშინინი)—აკაკი ხორავა, ახმა (ვასია ოკოროკ)—ვ. გოძიაშვილი, ივანოვი (პეკლევანოვი)—გიორგი დავითაშვილი, კაპიტან (ნეზელასოვი)—მიხ. ლორთქიფანიძე, პეტროვი—ვ. ლადიძე, შარაზა ეფენდი—დიმიტრი მჟავია, 1-ლი მებადური—ივ. აბაშიძე, მეორე მებადური—პიერ კობახიძე, მანსურ (ანზორის მამა)—პლ. კორიშელი, სინ-ბინ-ვუ (ჩინელი)—გ. სარჩიმელიძე, ოგანეზოვი—ლ. ადამიძე, კასმათ-ოღლი (მუშა)—მ. სარაული, ხალიდე (ანზორის და)—ცეც. თაყაიშვილი, გოული — ბ. შავიშვილი, მარია (ივანოვის ცოლი)—ნათ. ჭიჭინაძე, ლუდაბერი—ნატ. ჯავახიშვილი, მოხუცი დედაკაცი—ნინო დავითაშვილი, დედაკაცი მანტუმში—ნ. ღვინიაშვილი და სხვები.

„ჯავშანი"-ს დგამს რუსთაველის თეატრის მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი. დეკორაციების და კოსტიუმების ესკიზების შესრულება მინდობილი აქვს მხ. ირაკლი გამრეკელს. პიესის პირველი წარმოდგენა განზრახულია ა. წ. 26 აპრილში.

სახვითი ხელოვნების სექციის დაარსება

საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირთან დაარსდა სახვითი ხელოვნების სექცია, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მხატვართა, მოქანდაკეთა, ხუროთმოძღვართა და ქერამიკოსთა გაერთიანებას, მათი მუშაობისათვის თვალყურის დევნებას და სახვითი ხელოვნების ყველა დარგების განვითარებას საქართველოში.

მხატვართა საორგანიზაციო სხდომაზე არჩეულ იქნა სექციის ბიურო, რომელშიაც შევიდნენ: დ. კაკაბაძე, (თავმჯდომარე), მ. თოიძე (თავმ. მოადგ.) შერბაზიჩიანი, ფოგელი, კანდელაკი, იაკუბოვიჩი და ს. ბიურომ თავის შემადგენლობიდან გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სამუშაო გეგმის შედგენა. თანახმად გეგმისა, სახვითი ხელოვნების სექციამ უნდა ჩაატაროს შემდეგი მუშაობანი: განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ სახელოვნო დაწესებულებათა მთავარსამმართველოსთან ერთად, სექციის ბიურომ უნდა შეამუშაოს სამხატვრო ტექნიკუმის დაარსების საკითხი, უნდა შეადგინოს სია იმ დაწესებულებებისა, რომლებიც სარგებლობენ მხატვრული წარმოებით, ხელოვნების სამუშაველო ბიუროსთან ერთად უნდა გამოიმუშაოს სამხატვრო სამუშაო შეკვეთების გეგმა და აღნიშნულ ბიუროსთან დაარსოს სახვითი ხელოვნების სექციის მაგიდა.

საქარ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან შეთანხმებით, სახვითი ხელოვნების სექციამ უნდა გამოიკვლიოს აგრეთვე სამხატვრო მუშაობის პირობები მუშათა კლუბებში.

სექცია უკვე შეუდგა მუშაობას.

◆ პიანისტ ქალის ანდრონიკაშვილის კონცერტი. კონსერვატორიაში 6 აპრილს გაიმართება პიანისტ ქალის მ. ანდრონიკაშვილის კონცერტი.

◆ კონცერტი-ბალეტი. შაბათს, 7 აპრილს წითელარმიელთა კლუბში გაიმართება დიდი საკონცერტო-საბალეტო საღამო. მონაწილეობას მიიღებენ: ქუმსიაშვილი, ვენაძე, ზაქრიძე და სხვ.

◆ „კარმენსიტა". დღეს რუსთაველის თეატრში უკანასკნელად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება: „კარმენსიტა".

◆ დღეს, 5 აპრილს, ტყავ-ტრესტის კლუბში გაიმართება ევნატე ნინოშვილის ხსოვნის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გაზეთ „კომუნისტთან" არსებულ ლიტერატურული წრეში შემავალი მუშა-მწერლები.

◆ „თანამედროვე ქართული ლიტერატურა". დღეს, საღამოს 8 ს. განათლების მუშაკთა სახლში საბიბლიოთეკო მუშაკთა ასოციაციის რუსული ნაწილისათვის ამხ. ბ. ბუაჩიძე წაიკითხავს მოხსენებას: „თანამედროვე ქართული ლიტერატურა".

◆ მუშათა თეატრში დღეს რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება: „კაცი პორტფელით".

— ლიფუკოვის და შავროვის გასტროლი. ოპერის თეატრში დღეს გაიმართება მოცეკვავე ლიფუკოვის და შავროვის პირველი გასტროლი.

— მუშათა თეატრის რუსული დრამის სეზონი გაგრძელდება აპრილის დამლევამდე.

◆ ლიპკოვსკაიას მეორე გამოსვლისათვის დღეს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლაკმე".

დისპუტი თბილისის მუშათა თეატრზე

სამშაბათს, 3 აპრილს, საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა დისპუტი თბილისის მუშათა თეატრზე (რუსული სექტორი).

თბილისის მუშათა თეატრის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა თეატრის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. შვეიცერმა (პესიმისტი).

მომხსენებელი ამბობს, რომ თეატრის 27-28 წლის სეზონი ჩატარდა სამი ნიშნის ქვეშ: ეს არის თეატრის მხატვრული ზრდა, იდეოლოგიური ზრდა და მუშა-მაყურებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაუმჯობესება.

თეატრის მხატვრული ზრდა გამოიხატა იმაში, რომ წინა წლებთან შედარებით პიესების რიცხვი წლევანდელ სეზონში შემცირდა; თუ შარშან დადგმული იყო 18 პიესა, წელს დაიდგა მხოლოდ ათი. ცნობილია, რომ რაც ნაკლები პიესები იდგმება, მით უფრო მეტი საშუალება აქვს თეატრს იმუშაოს ამ პიესებზე და მხატვრულად ზედმიწევნით დაამუშაოს ისინი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ ასე გაგრძელდა ჩვენი თეატრის მხატვრული მუშაობა მომავალშიაც, ჩვენ მივაღწევთ მოსკოვის თეატრების ნორმას (6-7 პიესა სეზონში).

ჩვენს თეატრს დიდი მიღწევები აქვს იდეოლოგიურ ფრონტზედაც. თანამედროვე დრამატურგის მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმ ახალი ადამიანის ახსნა, რომელიც წარმოშვა ახალმა რევოლუციონერმა ეპოქამ. წლევანდელ სეზონში ჩვენმა თეატრმა კურსი აიღო სწორედ ისეთ პიესებზე, რომლებშიაც გამოყვანილია ეს ახალი ადამიანი. ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება დასჭირდათ ჩვენი თეატრის მსახიობებსაც, რომლებსაც სწორად უნდა ჩამოეყალიბებინათ ამ ახალი ადამიანის სახე სცენაზე. ვინც იცნობს ჩვენს დადგმებს, ის დაგვეთანხმება, რომ თეატრის მიღწევები ამ მხრივ თვალსაჩინოა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი მხატვრული მუშაობის მეთოდებიც. წელს ჩვენ გამოვიყენეთ ისეთი სცენიური ხერხები, რომლებიც ახალია თბილისისათვის, ეს არის წარმოდგენების კინოფიკაცია, წარმოდგენის დაყოფა ცალკე კადრებად. წელს ჩვენ მოვაწყვეთ აგრეთვე მბრუნავი სცენა, რაც ხელს უწყობს თანამედროვე დრამატურგიის რთულ ნაწარმოებების მხატვრულ გასცენიურების საქმეს.

ჩვენი იდეოლოგიური ზრდის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ციფრები: თუ რევოლუციონური პიესები შარშანდელ სეზონში შეადგენდა დადგმულ პიესების 25 პროცენტს, წელს ეს პროცენტი გაიზარდა 75-მდე.

შარშან ჩვენ არ გვქონდა მუშათა სალარო და შემოღებული არ ყოფილა აგრეთვე ცალკე წარმოდგენების შესყიდვა კავშირების მიერ. მიუხედავად ამისა, მუშა-მაყურებელი შარშანდელ სეზონში ჩვენი თეატრის მაყურებელთა საერთო რიცხვში შეადგენდა 30 პროცენტს; წელს ეს პროცენტი გაიზარდა 77 პროცენტამდე. ეს ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად გაუმჯობესებულა მუშა-მაყურებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჩვენი თეატრის მიერ. ყოველ წარმოდგენაზე ჩვენ ადგილების 20 პროცენტს ვუთმობთ მუშებს (ეს ადგილები ნაწილდება მუშათა სალაროს მიერ).

მუშა-მაყურებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაუმჯობესებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩვენ წელს მუშათა კლუბებში გავმართეთ 20 წარმოდგენა. ამას გარდა წარმოდგენები იმართებოდა სპეციალურად წითელ არმიელთათვის და პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებისათვის.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენ მხოლოდ ორი წელია, რაც თბილისში ვმუშაობთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი თეატრის მიერ მიღწეული შედეგები ძალიან დიდია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ წელს მთლიანად გადავედით საბჭოთა რეპერტუარზე, ამით ჩვენ თეატრს მატერიალურად სრულებით არ უზარალნია, პირიქით მოიგო კიდეც. თუ შარშან თეატრის შემოსავალი უდრიდა 50.000 მანეთს, წელს იგი გაიზარდა 60.000 მანეთამდე.

კამათი

ამხ. შვეიცერის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. კლიმკინმა, გურიომ, ელიაშვილმა, წყურავამ, კაჟემ, როგოვსკოიმ, ნინეევმა, კოდელიანმა, შაფათავამ, დავიდოვმა, ილინმა, ქშონზერმა, გრიგორიანმა, მარკოვმა და ორჯონიკიძემ.

ყველა ორატორები აღნიშნავდენ თბილისის მუშათა თეატრის დიდ მიღწევებს მხატვრულ და იდეოლოგიურ ფრონტებზე, მაგრამ ამავე დროს ზოგიერთი ორატორები საყვედურს გამოსთქვამდენ იმის გამო, რომ ყველა მუშა-მოსამსახურეს საშუალება არა აქვს დაესწროს თეატრის წარმოდგენებს, რადგან ბილეთების ფასი ძვირია, მუშათა სალარო კი მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებას.

აღნიშნული იყო ისიც, რომ მუშათა თეატრმა უნდა გააფართოვოს თავისი წარმოდგენები მუშათა კლუბებში და ამასთანავე უფრო ხშირად უნდა გამართოს წარმოდგენები მუშათა უბნებში.

ზოგიერთები საჭიროდ სთვლიდენ აგრეთვე მეტი კავშირის დამყარებას თეატრსა და კლუბების დრამატიულ წრეებს შორის და მეტი ყურადღების მიქცევას თეატრის მიერ მსახიობების ახალი კადრების მომზადებისათვის მუშათა წრიდან.

ორატორებს პასუხი გასცა ამხ. შვეიცერმა, რომელმაც თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ თეატრის და მუშათა ფართო მასების დასაახლოვებლად აუცილებელია უფრო ენერგიული ნაბიჯების გადადგმა თვით პროფესიონალურ, კერძოდ საკლუბო მუშაკების მიერ.

სასამართლო

ოლღა კიოს საბრალმდებლო სკამზე

ოლღა კიო გახლავთ მეუღლე „ილიუზიონისტ" კიოსი, რომელიც თბილისის ცირკმა მოიწვია საგასტროლოდ.

თვითონ ოლღაც ცირკის მსახიობია და თავის მეუღლესთან ერთად მონაწილეობს თვალთმაქცობის ნომრების შესრულებაში.

კიოს პირველ გასტროლზე მოხდა ეს ამბავი.

მოქ. კიომ ორკესტრის ქვევით, იმ ადგილას, საიდანაც მსახიობების გამოსავალია, გამართა სცენა თავის ნომრების შესასრულებლად. სცენა ისე იყო მოწყობილი, რომ მარჯვენა და მარცხენა მხარეები დაფარული იყო ფარდებით. ქანდარაზე მყოფი ხალხის ნაწილს არ შეეძლო დაენახა, რა ხდებოდა სცენაზე.

მისცეს უკანასკნელი ზარი. აინთო სინათლე. კიო გამოვიდა სცენაზე დამხმარე მსახიობ ქალებთან ერთად.

ქანდარაზე ატყდა ხმაურობა. ისმის ხმები: „ვერაფერს ვხედავთ"... „შუა ადგილას გადმოიტანეთ სცენა", ჩვენც უნდა დავინახოთ, ფული გადავიხადეთ"...

— გთხოვთ გადმობრძანდეთ პარტერში და დაიკავოთ თავისუფალი ადგილები,—მიმართავს ხალხს კიო.

ამ დროს კიოს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა გადაულაპარაკა, რომ „ქანდარის ხალხის" პარტერში გადმოყვანა ყოვლად შეუძლებელია.

— იმ შემთხვევაში, მე უარს ვამბობ გამოსვლაზე. განაცხადა კიომ, რომელსაც ერთხმად ბანი დაუჭირეს მსახიობმა ქალებმა.

ქანდარა ხმაურობს.

ჩამოვარდა კონფლიქტი კიოსა და ადმინისტრაციას შორის.

— თქვენთან დადებულ ხელშეკრულებას ვაცხადებ გაუქმებულად და დღესვე ვსტოვებ თბილისს და თქვენს ცირკს,—გულმოსულად აცხადებს კიო.

— შენ კი დასტოვებ, თუ დაგატოვებინე!—აღელვებით უპასუხებს ცირკის მოიჯარადრე ბერტა კუდრიავცევა.

— თქვენ ვალდებული ხართ შექმნათ ისეთი პირობები, რომ მე შემეძლოს წარმოდგენის ჩატარება.

— თქვენი გულისათვის ანარქიას ვერ შევიტანთ ჩვენს მუშაობაში.

— თუ ასეა, კეთილი იყოს ჩვენი გამოთხოვება,—უპასუხებს გასტროლიორი კიო.

— სანამ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილ პირობებს არ შეასრულებთ, ვერსად ფეხს ვერ გაადგამთ.

კუდრიავცევამ გასცა განკარგულება და ვეებერთელა ბოქლომი დაადეს იმ ოთახს, სადაც კიოს რეკვიზიტი, მთელი სასცენო მოწყობილობა ინახებოდა.

ქმარს გამოექომაგა ოლღა კიო.

— ხახვსაც ვერ დაგვაჭრი თავზე,—ჩაულაპარაკა ოლღა კიომ კუდრიავცევას.

— სულ ცეცხლს მივსცემ თქვენს რეკვიზიტს და თქვენსას არ გაგასვლიებთ.

წაეკიდენ ერთმანეთს ქალები. შენ ასეთი ხარ, შენ ისეთი ხარ,—არ დაზოგეს ერთმანეთი.

ოლღა კიომ უმწიკლოდ „გადასჭრა" დავა. გაუშალა მაგარი სილა „ხაზეიკას".

ატყდა ჩოჩქოლი. დაიწყო ჯოხების ტრიალი კულისებში და მოსალოდნელი იყო მაგარი მუშტი-კრივი, რომ მილიცია არ ჩარეოდა საქმეში.

ოლღა კიო გუშინ გაასამართლა სამორიგეო კამერამ.

ბრალდებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი თვით; სასჯელი შეეცვალა პირობით ერთი წლის ვადით.

შეცდომამ კინაღამ იმსხვერპლა

შუა ღამე იყო. მოქალაქე ოლადოვი შევიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის ეზოში. შეცდომით დააკაკუნა მოქ. კოპალიანის კარებზე. მას თავისი ნაცნობის სახლი ეგონა.

კოპალიანი გამოვარდა გარეთ, სტაცა ხელი ოლადოვს და ჩაიგდო ფეხქვეშ. სცემა, სანამ მოასწრო და როცა შეშინებულმა ოლადოვმა გაქცევა დააპირა ესროლა რევოლვერი და დასჭრა.

ოლადოვი წაიყვანეს საავადმყოფოში. სწორედ ამ შემთხვევის დროს კოპალიანთან [illegible] და მისი ამხანაგი ივანიძე, რომელსაც კოპალიანმა სთხოვა მას დაებრალებინა თავის-თავზე ოლადოვის დაჭრა და ეთქვა, რომ უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი.

ოლადოვი მორჩა. კოპალიანი და ივანიძე დააპატიმრეს. ივანიძემ მართლაც თავის თავზე დაიბრალა ოლადოვის დაჭრა. სასამართლოშიაც უდანაშაულოდ სთვლიდა თავის ამხანაგს კოპალიანს.

სასამართლოს ძიებით დადასტურდა, რომ ივანიძე სტყუის, რომ მისი ჩვენება თავიდან ბოლომდე მოგონილია.

„ნამუსის გამტან" ამხანაგებს მიესაჯათ სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდათ. ივანიძეს დარჩენილი სასჯელი შეეცვალა პირობითად.

ზურ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქცია

ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 5-ს, დამტკიცებული სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების დამტკიცების შესახებ 1927 წ. სექტემბრის 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამყარებს შემდეგ წესს აღნიშნული დებულების შეფარდებისათვის საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე.

1. მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვევის საჭიროება გზატკეცილებისა, შარაგზებისა და საგზაო ნაგებობათა მოწყობისა, შეკეთებისა და შენახვისათვის საჭირო სამუშაოების წლიური გეგმის შესასრულებლად გამორკვეულ უნდა იქნეს რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოების მიერ; ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო მაზრაღმასკომების მიერ (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ); ამასთან ერთად შემუშავებულ უნდა იქნეს მომავალი საბიუჯეტო წლისათვის საგზაო მშენებლობის საერთო გეგმები და ხარჯთაღრიცხვები.

2. წინა მუხლში აღნიშნულმა ორგანოებმა, საგზაო მშენებლობის წლიური გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების რესპუბლიკანურ ზემდგომ ორგანოებში განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენამდე, უნდა აღძრან საკითხი საგზაო მშენებლობისათვის მოსახლეობის გაწვევის თაობაზე სათანადო დადგენილების გამოტანის შესახებ: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო სამაზრო აღმ. კ-ტის წინაშე (ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების წინაშე), ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო თემაღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

3. სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) და თემის აღმასრულებელ კომიტეტების დადგენილებებში აღინიშნება, რომელი რაიონისა და რომელი ცალკე დასახლებული პუნქტის მოსახლეობა უნდა იქნეს გაწვეული საგზაო შრომის ბეგარაზე წინამდებარე საბიუჯეტო წელს და აგრეთვე რა გზებისა და რა უბნებისათვის უნდა იქნეს გამოყენებული საგზაო შრომის ბეგარა.

საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევის საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნეს სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ ინსტრუქციის 1-ლ მუხ. აღნიშნული ორგანოებისაგან შეტყობინების მიღებისა.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული დადგენილებით უკეთუ საჭირო იქნება, გადაწყდება საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საკითხი სამუშაოს ადგილიდან დასახლებულ პუნქტამდე უკიდურესი მანძილის გადიდების შესახებ. თემის აღმასკომის დადგენილება ამ საკითხის გამო დამტკიცებულ უნდა იქნეს სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

4. საკავშირო მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობის შეკეთებაში მონაწილეობის მისაღებად საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, წინამდებარე საბიუჯეტო წლისათვის საკავშირო მნიშვნელობის გზათა მშენებლობისათვის სამუშაოთა წლიური გეგმის შედგენამდე: ა) თვით სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით, ბ) ხელისუფლების ადგილობრივი ძირეული ორგანოების შუამდგომლობით (თემის აღმასკომის ან სოფლის საბჭოს) და გ) ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანური სამმართველოს მიმართვით.

ამ საკითხების გამო სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოტანილი დადგენილება, დასაბუთებული მოხსენებითურთ, ერთი კვირის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

5. განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილ საგზაო სამუშაოთა წლიურ გეგმების პროექტებში და მათთან შეთანხმებულ ხარჯთაღრიცხვებში სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარა ანგარიშში მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოსახლეობის ბეგარაზე გაწვევა ჩამოყალიბებულია ზემოაღნიშნული წესით.

6. ბუნების სტიქიურ მოვლენისაგან გაფუჭებული გზების შეკეთებისათვის, როდესაც მოსალოდნელია მოძრაობის შეწყვეტის საფრთხე (როგორც რესპუბლიკანურ და ადგილობრივ, ისე საკავშირო მნიშვნელობის გზებზე) საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევად საჭიროა სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება: საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელი კომიტეტისა, ხოლო ადგილობრივ მნიშვნელობის გზებისათვის—თემის აღმასრულებელი კომიტეტისა.

შუამდგომლობას ასეთი დადგენილების გამოტანის შესახებ აღძრავს ადგილობრივი საგზაო ორგანო და გადასწყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი სასწრაფო წესით.

შენიშვნა 1. ამ მუხლში აღნიშნული წესით მოსახლეობის მიერ წარმოებული მუშაობა ჩაითვლება საგზაო ბეგარის დებულების მე-6 მუხ. გათვალისწინებული სამუშაო დღეების უკიდურეს რიცხვში. ამ მიზნით, საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმების შედგენის დროს მუშა-ხელის 7 პროც. იანგარიშება სტიქიური მოვლენისაგან გაფუჭებული გზების შეკეთებისათვის.

შენიშვნა 2. საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-8 მუხ. არა ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მოსახლეობა გაიწვევა საგზაო შრომის ბეგარაზე, სტიქიური მოვლენისაგან გაფუჭებული გზების შესაკეთებლად, როდესაც მოძრაობის შეწყვეტის საფრთხეა მოსალოდნელი.

7. სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო სამუშაოების წლიური გეგმის დამტკიცების შემდეგ, ამ გეგმების მიხედვით, განისაზღვრება საგზაო შრომის ბეგარით შესასრულებელ სამუშაოთა საკალენდრო განრიგება, რომლითაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-11 მუხ. აღნიშნული ყველა საკითხი და აგრეთვე გამორკვეულ იქნეს თითოეული საგზაო უბნის სამუშაოსათვის საჭირო მუშა-საქონლისა, ჰაპანზიდვის ტრანსპორტისა და ინვენტარის რაოდენობა. ამ განრიგების სათანადო ნაწილები ეცნობება თემის აღმასრულებელ კომიტეტს ყველა საჭირო მოსამზადებელი მოქმედებისათვის.

ამ გეგმის შედგენისათვის სახელმძღვანელოდ მიიღება საგზაო შრომის ბეგარის დებულების მე-8 მუხ. აღნიშნული წესი.

აღნიშნული საკალენდრო განრიგება შეთანხმებულ უნდა იქნეს ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოსთან იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ა.-კ. ცენ. აღმ. კ—ტის მიერ 1927 წლ. 27 ნოემ. დამტკიცებული „დებულებით გზათა სახალხო კომისარიატის მიერ ა.-კ—ში ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების მდგომარეობის და შენახვისათვის საერთო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ".

შენიშვნა. რესპუბლიკანური მნიშვნელობის (სათანადო შემთხვევებში—საკავშირო მნიშვნელობის) გზებზე საგზაო შრომის ბეგარით შესასრულებელ სამუშაოთა საკალენდრო განრიგების პროექტი შედგენილ უნდა იქნეს ადგილობრივ ტრანსპორტის რესპუბლიკური სამმართველოს მიერ და სათანადო სამაზრო (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური) აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმების შემდეგ, დამტკიცებულ უნდა იქნეს ამ უკანასკნელის მიერ.

8. დამტკიცებული საკალენდრო განრიგების მიხედვით, თემის აღმასკომს გამოჰყავს მის მიერ განსაზღვრული მორიგეობით, საგზაო ბეგარა—ვალდებული პირნი სათანადო ტრანსპორტით და ინვენტარით, სამუშაოს მწარმოებლის განწესების თანახმად.

შენიშვნა. თემის აღმასკომი მიღებული საკალენდრო განრიგების მიხედვით ანაწილებს ცალკე მეურნეობათა შორის საგზაო შრომის წესით საგზაო ორგანოების განკარგულებაში გამოსაყვან მუშა-საქონლისა, ტრანსპორტისა და ინვენტარის საერთო რაოდენობას.

ეს განაწილება მოხდება თვითეულ მეურნეობის მუშა-საქონლისა, ტრანსპორტისა და ინვენტარის საერთო რაოდენობის მიხედვით და თვითეული მეურნეობის ძალღონის გარაუდით.

9. საგზაო შრომის ბეგარაზე გაიწვევა მხოლოდ მოცემულ რაიონში მუდმივად მცხოვრებნი ან ამ რაიონთან ქონებით თუ მეურნეობით მუდმივად დაკავშირებული პირნი.

საგზაო შრომის ბეგარაზე არ გაიწვევა:

ა) ის პირი, რომელმაც ავადმყოფობის ან დაშავების გამო დაჰკარგა შრომის უნარი სამუდამოდ ან დროებით;

ბ) ის პირი, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურშია წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მუდმივ ან ცვალებად ნაწილში;

გ) ის პირი, რომელიც მუდმივ სამსახურშია, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებებსა და საწარმოში;

დ) მუშა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმოსი და აგრეთვე ბოგანო-გლეხი, რომელსაც ამა თუ იმ ადგილას თავისი საკუთარი მეურნეობა არა აქვს;

ე) ის პირი, რომელიც აღნიშნული ბეგარისაგან განთავისუფლებულია სათანადო სათემო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სხვა პატივსადები მიზეზის გამო.

10. საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვეული პირნი, მუშაობის დროს იკვებებიან თავის ხარჯით, სამუშაოზე გაწვეულთათვის სასმელი წყლის მიწოდება შეადგენს სამუშაოს მწარმოებელ ორგანოს მოვალეობას.

11. უკეთუ საცხოვრებელი ადგილი სამუშაოს ადგილიდან 8 კილომეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვეულთათვის ღამის გასათევად საჭირო სადგომის ხარჯი უნდა გაიღოს მუშაობის მწარმოებელმა ორგანომ და ეს ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვით.

12. საგზაო შრომის ბეგარა—ვალდებული პირი, რომელსაც სურს ისარგებლოს დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლება-ნატურალური ბეგარის ფულადი გადასახადით შეცვლისა, მოვალეა განუცხადოს ეს წინასწარ სათანადო თემის აღმასკომს დებულების მე-15 მუხ. მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადგილობრივი წესებით განსაზღვრულ ვადაზე.

ამაზე უარის თქმა თემის აღმასკომს შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ აღმასკომი გამოარკვევს იმ ფაქტს, რომ ამ ადგილას დასაქირავებელი მუშა-ხელი საკმარისი არ არის.

13. პირადი შრომისა და ნატურალური ბეგარის ნაცვლად ფულადი თანხის გადახდის ვადას დაადგენს მაზრაღმასკომი, ხოლო იმ ვარაუდით, რომ ეს თანხები შეტანილ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებში არა უგვიანეს, ვიდრე შრომის ბეგარით განზრახული მუშაობის დაწყებისა, ე. ი. არა უგვიანეს მარტის 1-სა.

14. დებულების მე-12 და 13 მუხ. გათვალისწინებული წესით შემოსული თანხები ჩაირიცხება სათანადო სამაზრო აღმასკომის დეპოზიტში და დაიხარჯება გზათა მშენებლობაზე. პირველ რიგში აღნიშნული თანხები უნდა მოხმარდეს მუშა-ხელის დაქირავებას, ხოლო დანარჩენი თანხა შეიძლება დაიხარჯოს სხვა საჭიროებისათვის გზათა მშენებლობისათვის დამტკიცებულ საწარმოო გეგმების ფარგლებში.

15. ინსტრუქცია ესე შემოიღება სამოქმედოდ 1927 წ. ოქტომბრის 1-დან და შეფარდებულ უნდა იქნეს მიმდინარე 1927-28 სამეურნეო წელს, ამ მუხლების გარდა, რაც წლიური გეგმებისა და საგზაო სამუშაოთა ხარჯთ-აღრიცხვების შეთანხმების წესს შეეხება. მიმდინარე წელს საგზაო შრომის ბეგარა შეფარდებულ უნდა იქნეს იმ რაიონებში, სადაც იგი გათვალისწინებულია 1927-28 წლის ხარჯთ-აღრიცხვებისა და წლიური გეგმების პროექტებით.

ამ რაიონებში საგზაო შრომის ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევა, მომქმედ საგზაო შრომის ბეგარის დებულების თანახმად, ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს 1928 წ. აპრილის 1-თვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ
დ. აფციაური.

1928 წ. მარტის 30.
თბილისი—სასახლე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ამხ. მდგმურს

კითხვა

1. ვინ უნდა გამოსცვალოს ან შეაკეთოს დიდი ხნის ხმარებისაგან გაცვეთილი და უვარგისათ ცნობილი საერთო სახმარი ონკანი, სახ. პატრონმა, თუ მდგმურებმა?

2. ვის ხარჯზე (მდგმურების თუ სახლის პატრონის) უნდა იქნეს ნაანგარიშევი უვარგის ონკანიდან დაქცეული წყალი.

3. აქვს თუ არა სახლის პატრონს უფლება—მოხსნას შესანახად მდგმურების ბინების წინ გაკეთებული საწვიმარი ღარი, და ბინები დაასველებინოს წვიმას?

პასუხი

1. გაფუჭებული ონკანის შეკეთება სავალდებულოა სახლის პატრონისათვის, უკეთუ ამ ონკანით სარგებლობდნენ ყველა მდგმურები; ხოლო თუ ონკანი რომელიმე მდგმურის ბინაზეა, მაშინ მისი შეკეთება თვით მდგმურის მოვალეობას შეადგენს.

2. ფული უნდა იხადონ წყლის ყველა მოსარგებლეებმა, რადგან შეუძლებელია დაქცეულ წყლის რაოდენობის განსაზღვრა.

3. ღარის მოხსნის უფლება სახლის პატრონს არა აქვს.

ზაქარია ტერტეროვს

კითხვა:

ქ. თბილისში მაქვს სახლი, რომლის გადასახადი შეწერილი მაქვს 71 მ. და 50 კაპ., საკავშირო ცაკის 1927 წ. 15 ოქტომბრის მანიფესტით, ვარ თუ არა განთავისუფლებული ამ გადასახადისაგან.

პასუხი

ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ. და ს. კ. ს. 1927 წ. 2 ნოემბრის დადგენილებით, მანიფესტის მეოთხე მუხლის განსავითარებლად, შეღავათები გადასახადზე, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, არ ვრცელდება.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 5 აპრილს, საღ. სრულ 6 საათზე შესდგება სოც. ეკ. ფაკ. 1-ლ და მეორე კურსთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის კრება, სადაც გაირჩევა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. დასწრება წევრ-კანდიდატთა სავალდებულოა.

—

სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 5 აპრილს, დღის 12 საათზე შესდგება აგიტკომისიის სხდომა. უნდა გამოცხადდნენ ამხ. იოსებ ზაზაძე, ხვედრიანე რობაქიძე, ვ. გიორგაძე, პროკოფი ოქრომიძე, ევდოკიმე ენუქიძე, აპოლონ ნუცუბიძე, და სხ.

—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის [illegible] რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგება მეორე რაიონის თბილისის საბჭოს დეპუტატების თათბირი.

მეორე რაიონის წარმოებათა საბჭოს წევრების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—

დღეს, 5 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საკვალიფიკაციო კომისიის მორიგი სხდომა. საკვალიფიკაციო კომისიის ყველა წევრებისა და აგრეთვე ამხ. თხილავას (თბილისის აღმასკომი), კაჭარავას, სიჭინავას, კორინთელის და ჯვარშეიშვილის (იუსტიციის სახ. კომისარიატი) დასწრება აუცილებელია.

—

დღეს, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში (ოთახი № 19) შესდგება სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტის მსმენელთა მიტინგი.

დასწრება აუცილებელია.

—

საქ. ა. ლ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტში ამხ. მაღალაშვილთან ხვალ, 6 აპრილს, დღის 4 საათამდე:

გრიგოლ ვართანოვი, ყიფიანი (საფეიქრო კოლექტივი), სარქის რამაზოვი, ივანე გოგიჩაიშვილი, ვლადიმერ გიორგის ძე სულავა, შალვა კვიტაიშვილი, სიმონ ბესარიონის ძე შენგელია, ივანე სვანიძე (სახ. უნივერსიტეტი), მარა ბურჭიძაშვილი (ფარმაცევ. კურსები) და სოლომონ ალიაშვილი (კოოპერატიული კურსები).

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილება ხვალ, 6 აპრილს, დილის 10 საათზე იწვევს თათბირს დედათა და ბავშვთა საკითხების დაცვის შესახებ.

თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ: ამხ. კუტაიძე, შავერდოვი, ნ. მგელაძე, თალაკვაძე, მარკოზოვი, ბელიაევსკი, თუნიაშვილი, განათლების სახ. კომისარიატის, პროფსაბჭოს კულტგანყოფილების, სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმომადგენლები.

—

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 5 აპრილს, საღამოს 5 საათზე ამხ. ხვინიძესთან ბიურო-კოლექტივის ოთახში:

ფილიპე ზერიშვილი, ალექსი ბუჩუკური, ტიგრან ბაღდასაროვი, ალექსანდრე ბერიძე, ბარნაბი გერსამია, ქეთინა მიქაშვილი, გიორგი გობიაშვილი, ალექსანდრე ენუქიძე, გრიგოლ ვარიაშვილი, ვალერიან თოდუა, პოლიკარპე კიკვაძე, ისიდორე ლომინეიშვილი, დიმიტრი მძინარიშვილი, ვასილ მშვიდობაძე, ზურაბ მახარაძე, რაჟდენ ნატროშვილი, გრიგოლ ნადარეიშვილი, ალექსანდრე ნაკაიძე, შოთა პატარაია და კონდრატე საბაშვილი.

დღეს, 5 აპრილს, 1-ლ საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს მორიგი სხდომა. დასწრება აუცილებელია კურსის პარტორგანიზატორების, კურსის პარტიულ რწმუნებულების, პროფკომის თავმჯდომარე ამხ. ჯანელიძის და ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივნების ამხ. ბაგაძის და კილაძის.

სახ. უნივ. სოც. ეკ. ფაკ. მე-3—მე-4 კ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 5 აპრილს, დილის 1 საათზე. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, ვისაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

—

№ ქართ. მხრ. ლეგიონის მეორე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები შემდეგ ამხანაგებს: მელიტონ ბოჭორიშვილს (პარტ. კანდიდ. წევრად მიღებ.), აკაკი გავაშელიშვილს, ბეჟანიშვილს (ახ. ლ. კ. კ. წევრობიდან პარტ. კანდიდატ.), კირილე ჯვარიშვილს, ივანე ტალახაძეს, ნეოფიტ მაღლაქელიძეს, ამბროსი გაჯრინდაშვილს, დომენტი ჩილაგავას და დარჩო ცხოვრელაშვილს (უპარტიონი, სურთ პარტიის კანდიდატობა).

თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო ამის შესახებ, 10 დღის განმავლობაში აცნობოს აღნიშნულ კომ. უჯრედს—ქ. ბათომში.

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ პირველ აპრილს, გარდაიცვალა დამსახურებული საზოგადო მოღვაწე საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების გამგეობის საპატიო წევრი

ნიკოლოზ იაკობის-ძე ნიკოლაძე

გამოსვენება დანიშნულია ხელოვანთა სასახლიდან 5 აპრილს შუადღის 4 საათზე. დაკრძალვა მთაწმინდაზე.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასვლამგზავრონული განყოფილება მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, საქართველოს დიდი ძველი საზოგადო მოღვაწის

ნიკო იაკობის-ძე ნიკოლაძის

გარდაცვალებას. [ე]

გამომც. „ქართული წიგნის" გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას და ამხანაგობის წევრებს, რომ 1 აპრილს დილის 3 საათზე გარდაიცვალა გამგეობის თავმჯდომარე და ამხანაგობის დამაარსებელი წევრი, დამსახურებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ნიკო ნიკოლაძე

გამოსვენება დანიშნულია ხელოვანთა სასახლიდან 5 აპრილს შუადღის 4 საათზე. დაკრძალვა მთაწმინდაზე. ნ. 874

საზოგადოება „ჩემო"-ს სალიკვიდაციო კომისია, „ჩემო"-ს ყოფილ წევრთა სახელით ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ გარდაიცვალა „ჩემო"-ს საბჭოს ყოფილი წევრი, საზოგადო მოღვაწე და დამსახურებული მწერალი

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე

1980

პლატონ ბესარიონის ძე, ეფემია და ნინო ბესარიონის ასულნი ხელთუფლიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი დეიდაშვილის

ნიკოლოზ იაკობის ძის ნიკოლაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ხელოვანთა სასახლიდან, ხუთშაბათს, 4 საათზე. დაკრძალვა—მთაწმინდაზე. 1984

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 5 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ევგენია თორაძე, ლიუსია სარქისოვა, ელენე ლუბუტაშვილი, ივანე ბელიცკი, მიხეილ როდიანოვი, არშაკ ბაგდასაროვი, არტემ ათაბეგოვი, რუბენ ზუბიევი, მაჰავარიანი, პეტრე კურბატოვი, მარიამ მელქანიძე, ნინო ლიუცენკო, გრიგოლ აკოფოვი, ელექსი ხუბეროვი, ამაკ მარქაროვი, სვიმონ ნასყიდაშვილი და ისაკ შმულევიჩი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია: ნინო ბორისოვა, ნადეჟდა საბლინა, გიორგი ჩაჩლეიშვილი, ვალენტინ რეაგარდი, თამარ ნებიერიძე, ელენე ოქუაშვილი, დომნა დუფევსკაია, რაჟდენ კუჭაიძე, აპოლონ კობახიძე, დავით არაბიძე, შალვა კვანჩიახაძე, გიორგი შველიძე.

რკინისმზელთა სექციიდან: ციბენკო, იზაბელა სტურუა, ანტონინა გელუშკოვა, პანტელეიმონ ბოკერია, სერგო გორდეზიანი, ევგენია კოსლანოვა, ივანე ანდრეევი, მიხეილ ლეონტიევი, გრიგოლ საყვარელიძე, ტატიანა ფელიევა, სერგო ბალანჩივაძე, ვლადიმერ ჩოჩუა.

შავმუშათა მე-8 სექციიდან: გიორგი პაპიაშვილი, გიორგი წიფწივაძე, ალექსი ხმალაძე, და რუბენ მოროზოვი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: მიხეილ როდიონოვი, რუბენ ზუბიევი, ივანე ბელიცკი, აბრამ პურადოვი, შალვა ნამორაძე, ნიკოლოზ ტყემალაძე, თედო ხუბულური, ანდრო ბალახანცი და ალექსანდრე გასპარიანი.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 5 აპრილი

რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, რადიო-გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 6 აპრილი

6 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიოსადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

სას.-სამეურნეო კოოპერაციის როლი საქართველოს ეკონომიკაში—ქართულ ენაზე.
მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.
ცეკავშირის მოხსენება: საანგარიშო კამპანიის შედეგები—ქართულ ენაზე.
მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება—რუსულ ენაზე.
ჯანსახკომის მოხსენება: ძვლების ტუბერკულიოზი—თურქულ ენაზე.
ტეხნიკური კონსულტაცია.
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.
ობსერვატორიის ცნობები—რუსულ ენაზე.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

„მიწისძვრის ავადმყოფობა"

სევასტოპოლის ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტის სანატორიუმში მყოფ ავადმყოფთა მკურნალობამ დაამტკიცა, რომ შარშანდელმა (სექტემბრის) მიწისძვრამ გამოიწვია ავადმყოფობა, რომელსაც შეიძლება „მიწისძვრის ავადმყოფობა" ეწოდოს.

ამ სანატორიუმის ავადმყოფთა უმრავლესობას გამოაჩნდა სხვადასხვა ნერვიულ აშლილობათა გართულება, მრავალს კიდევ—ახალი მძიმე სიმპტომი, რაც გაგრძელდა მრავალი დღეების განმავლობაში და ზოგი ავადმყოფი დღემდი ვერ განთავისუფლებულა მათგან,—ეს სიმპტომები გამოიხატება იმის შეგრძნობაში, თითქო ნიადაგი მათ ქვეშ ირყევა, ირყევა სკამი, რომელზედაც ჯდება, ირყევა საწოლი და სხ. საწოლის რყევის ეს შეგრძნება იმდენად ძლიერი იყო ზოგიერთ ავადმყოფებში, რომ საათობით საშუალება არ ეძლეოდა მათ დაეძინათ. ამას უნდა დაემატოს კიდევ უძილობა, მადის დაკარგვა, ზოგჯერ საჭმლის მომნელებელი აპარატის ფუნქციებისა და შარდის ნორმალური გამოყოფის დარღვევა. ეს სიმპტომები, თვითეული ავადმყოფის ნერვიულ სისტემის თავისებურობასთან შეფარდებით, სხვადასხვა სიძლიერით გამოიხატებოდა.

ელექტრონის ტელესკოპი

უკანასკნელი დროის წარმატებებმა შორმანძილზე რადიოთი სურათების გადაცემის დარგში (ტელევიზია), შესაძლებელი გამოყენება ჰპოვეს ასტრონომიულ ობსერვატორიებში. როგორც ვიცით, ტელესკოპის უპირატესობა შეუიარაღებელი თვალის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ ტელესკოპი მეტ სინათლეს აგროვებს და თავისი ობიექტივის ფოკუსში იძლევა საგნების მეტად გარკვეულ გამოხატულებას. მიღებულ სურათს ათვალიერებენ მთელ რიგ გამადიდებელ შუშების საშუალებით. თეორეტიულად შეიძლება საგნის გამოხატულების გადიდება ყოველგვარ საჭირველ ზომამდე, მაგრამ პრაქტიკულად გადიდებას აქვს საზღვარი, რასაც დებს მიღებულ გამოხატულებათა ბუნდოვანობა. სწორედ აქ შეუძლია დახმარების აღმოჩენა ტელევიზიას. თვალის მაგიერ სინათლის შუქი ეცემა გადამცემ მოწყობილობის მიმღებ ფირფიტაზე და იქ იქცევა ელექტრო-დენით. უკანასკნელი შეიძლება გაძლიერებულ იქნეს რამოდენიმე ათასჯერ და უკვე ამ სახით გადამცემ ეკრანზე აღადგენს გარკვეულ სურათს იმისას, რაც ტელესკოპში ბუნდოვანად სჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტეხნიკის თანამედროვე მდგომარეობის პირობებში ელექტრონის ტელესკოპის (ასეთი ტელესკოპის პროექტი შეიმუშავა ამერიკელმა ასტრონომმა დ. მენზელმა) დამზადება იმდენად ძვირი დაჯდება, რომ ხარჯებს ვერ დაფარავს მიღებული სარგებლობა. მაგრამ ტელევიზიის განვითარების წყალობით,—შესაძლებელია ითქვას,—ელექტრონის ტელესკოპის განხორციელება, უახლოესი წლების საკითხია. რამდენიმე მიმღები სადგურის მოწყობით, ტელესკოპში მიღებულ გამოხატულების ნახვა შესაძლებელი გახდება ასეულ და ათას მაყურებლისათვის.

სახელმწიფო ოპერა
ნ. 880

ხუთშაბათი 5 აპრილს, ლ. ი. ლიპკოვსკაიას მე-2 გასტროლი **ლაკმე**
კონტრამარკები და სასეზონო ბილეთები გაუქმებულია
პარასკევს, 6 აპრილს, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ე. ი. ლიუკომის და ბ. ვ. შავროვის გასტროლი
კოპელია—ბალეტი 2 მოქმედებად და საბალეტო დივერტისმენტი
დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი
სახკინმრეწვის თეატრები

მეორე კვირა **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
მთავარ როლებში: მარჩელა ალბანი, პაულ რიხტერი, პაულ ვეგენერი
მხატვრული შედევრი **განკიცხულნი** გ. შაუგის რომანის მიხედვით 1 და 2 სერია
პირლ უაიტი ამერიკულ კინო-სურათში **ვუ-ფანგის საიდუმლოება** 1 და 2 სერია ერთად
მხატვრული ფილმი „მუდამ უცხონი"
„უთაო მხედარი" ჰარი პილის მონაწილეობით 1 და 2 სერია
0—4

გორის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
ვ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 7 აპრილს 1928 წ. დღის 12 საათზე ქ. გორში ძველი სასწორის მოედანზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის დათა ისაკის-ძე გრიგოლაშვილის იგივე გოგოლაშვილის მოძრავ ქონებას: ერთ ხავსფერ შავ ძროხას, ერთ ჭურჭლის შკაფს, ერთ ყუთს, ხის ბოჭკას, ერთ დიდ ყვითელ სამოვარს, ერთ ჟესტის ფეჩს ოთხი მილით და კლიტით და ერთ პატარა ნავს შეფასებულს 80 მანეთად, ალექსანდრე შალიკაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად გორის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 17 მარტის 1928 წ. თარიღით № 397 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 883

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფებს მიიღებს ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორპუსის ქ. კუთხე.
25—1

მალე ეკრანზე
სურათი, რომელსაც მოუთმენლად ელოდით
„ოქტომბერი"
სურათი თავისი მხატვრული ღირსებით და თავისი შინაარსით სჯარბობს ყველა დღემდე ნახულ სურათს. ეს იმათი დამსახურებაა, რომლებიც მუშაობდნენ ამ სურათზე—ეიზენშტეინის, ალექსანდროვისა და ტისსეს.
გაზეთი „კინო" 20 მარტი, 1928 წ.
ნ. 884

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობა,
თანახმად თავის წესდების 52 პარაგ., ამით აცხადებს, რომ აქციონერთა მეთერთმეტე
ჩვეულებრივი საზოგადო კრება
დანიშნულია მიმდინარე წლის აპრილის 26 ქალ. ჭიათურაში დღის 12 საათზე, კანტორის შენობაში.

განსახილველი საკითხები:
1) საზოგადოების გამგეობის მოხსენება 1927 წ. თავის მოქმედების შესახებ.
2) 1927 წ. ანგარიშების განხილვა.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1927 წ. მოქმედების შესახებ.
4) მიმდინარე საკითხები.
5) 1928 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
6) თანამდებობის პირთა არჩევნები.

1981

მინოგრაფია
СТЕКЛОГРАФИЯ
სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ
ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47801, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მინოგრაფიისთვის საჭირო მაღალი ხარისხის რეაქტივებს, რომლებიც დაუთმობათ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მინოგრაფებს ოფიციალური მოთხოვნის წარმოდგენისათანავე
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. რძისა და კეფირის ლაბორატორიაში. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 9 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—

ბაღდათის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ 22 აპრილს 1928 წ. დღის 12 საათზე ის გაჰყიდის საჯარო ვაჭრობით მიქია ვასილის-ძე სოფრომაძის მდებარე სოფ. გორაში, ქუთაისის მაზრაში, არა საცხოვრებელ ფიცრულ სამზარეულო სახლს უჭერო-უიატაკოს, დახურული ყავრით, შეფასებული 100 მანეთად, დასაკმაყოფილებლად გორას საკრედიტო ამხანაგობის ფულადი გადასახადისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 198

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამარ. აღმასრულებელი
დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 10 აპრილს 1928 წ. დღის 11 საათზე სახლში № 34, ქ. ქუთაისში ივანოვ-მარდალეიშვილის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის სადიკო მოგელაძის მოძრავ ქონებას: შკაფს ბუფეტისას, შკაფს გარდეირობის, კამოდს, ლამფა და სარკეს შეფასებულს 190 მანეთად, ილიკო ჭელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 8 თებერვლის 1928 წ. თარიღით, № 584 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 882

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
ნაწილებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—4

დაკარგვა: „ზაკტპის" წიგნაკი № 28757 გრიშა ნიკოლოზის ძე მელქაძის სახელზე, ჩ. გ 985

დაკარგვა: საბჭოთა მუშაკების კავშირის საწევრო წიგნაკი № 20180 სოლომონ დღებუაძის სახელზე ჩ. გ ნ. 888

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—0

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1 ტელ. 12—76

დაკარგვა თბილისის ლომბარდის ქვითარი № 73,403. ჩ. გ. 1983

დაკარგვა: მოწმობა № 7232 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედ. ფაკ. სიტყვიერების დარგის დამთავრებისა 1927 წ. ივანე კონსტანტინესძე დარსაველიძეს სახელზე, ჩ. გ. 1986

დაკარგვა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი შაქრო მღვდლაძეს სახელზე, ჩ. გ. 1988

დაკარგვა: პირადობის მოწმობა გაცემული სერგო მამრიკიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 882

დაკარგვა: მაჩხის მიერ მოცემული მოწმობა (ქორწინების) უშანგი გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1987

დაკარგვა: დამზღვევი სალაროს საანგარიშო წიგნაკი პართენ თოდუას სახელზე, ჩ. გ. ნ. 878

დაკარგვა: კ. პ. საკანდიდატო ბარათი № 12935 მიხეილ ქარჩავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 87

8

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 60